ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State Universitety

საქართველოს გეოგრაფია

GEOGRAPHY OF GEORGIA

№ 14, 2024

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი
Interdisciplinary scientific Journal

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

გამოიცემა 2001 წლიდან *Published since 2001*

მთავარი რედაქტორი პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
Editor-in-Chief, Prof. DSc. Nodar Elizbarashvili

სარედაქციო საბჭო:

ასოც. პროფ. გიორგი მელაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი *(მთავარი რედაქტორის მოადგილე)*
გელა სანდოძე (*პასუხისმგებელი მდივანი)*
პროფ. დიანა ძიძიგური
პროფ. ზურაბ სეფერთელაძე
პროფ. ლია მაჭავარიანი
პროფ. დავით კერესელიძე
პროფ. იოსებ სალუქვაძე
პროფ. გიორგი გოგსაძე
პროფ. ზურაბ დავითაშვილი
პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი
გეოგრაფიის დოქტორი მანანა რატიანი
პროფ. ჯაბა სამუშია
ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე
გეოგრაფიის დოქტორი ნოდარ წივწივაძე
გეოგრაფიის დოქტორი გიორგი დვალაშვილი
პროფ. ზურაბ მანველიძე
პროფ. ზურაბ ლაოშვილი
ასოც. პროფ. ია იაშვილი

Editorial Board:

Assoc. Prof. Giorgi Meladze
(Deputy Editor-in-Chief)
Assoc. Prof. Tengiz Gordezian
(deputy editor-in-chief)
Gela Sandodze *(responsible secretary)*
Prof. DSc. Diana Dzidziguri
Prof. Zurab Seferteladze
Prof. Lia Machavariani
Prof. Davit Kereselidze
Prof. Ioseb Salukvadze
Prof. Giorgi Gogsadze
Prof. Zurab Davitashvili
Prof. Elguja Mekvabishvili
Dr. Manana Ratiani
Prof. Jaba Samushia
Assoc. Prof. Vazha Trapaidze
Dr. Nodar Tsivtsivadze
Dr. Giorgi Dvalashvili
Prof. Zurab Manvelidze
Prof. Zurab Laoshvili
Assoc. Prof. Ia Iashvili

საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია:

ასოც. პროფ. მარინე ელბაქიძე, სკინს კატენბერგი, შვედეთი
პროფ. აშოტ ხოეციანი, ერევანი, სომხეთი
პროფ. რანა სინგხი, ვარანასი, ინდოეთი
გეოგრაფიის დოქტორი ჰეინო მეესსენი, ბერნი, შვეიცარია
პროფ. ვოლკერ რედელოფი, ვისკონსინი, აშშ
პროფ. რესეპ ეფე, ბალიკესირი, თურქეთი
პროფ. ლიუდმილა ნიემეცი, ხარკოვი, უკრაინა

International Editorial Board:

Assoc. Prof. Marine Elbakidze, SkinsKattenberg, Sweden
Prof. Ashot Khoetsian, Yerevan, Armenia
Prof. Rana Singh, Varanasi, India
Heino Meessen, PhD in Geography, Bern, Switzerland
Prof. Walker Redeloff, Wisconsin, USA
Prof. Recipe Efe, Balikesir, Turkey
Prof.DSc. Lyudmila Nyemets, kharkiv, Ukraine

ვებსაიტი: http://geographyge.tsu.ge/
ელ. ფოსტა: meladzeg@gmail.com
gela.sandodze@gmail.com

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

ISSN 1512-1267

სარჩევი

ნოდარ ელიზბარაშვილი. სივრცითი დაგეგმარება და გეოგრაფია 5

Nodar Elizbarashvili. Spatial planning and geography

გიორგი მელაძე. განქორწინების პროცესების ტრანსფორმაცია საქართველოში 19

Giorgi Meladze. Transformation of divorce processes in Georgia

მანანა ალადაშვილი, მაია ხეჩიკაშვილი, ინეზა ვაწაძე. მთიანი რეგიონების ტურისტულ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მაგალითზე) 34

Manana Aladashvili. Maia Khechikashvili. Ineza Vatsadze. Peculiarities of tourism and economic development of mountainous regions

გელა სანდოძე. სანდრო გოგოლაძე. ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასება 46

Gela Sandodze. Sandro Gogoladze. Environmental Impact Assessment of Construction and Operation of Hydroelectric Power Stations

ლადო გრიგოლია. ევროპაში მიწათსარგებლობის ევოლუციის თავისებურებანი და თანამედროვე გამოწვევები 54

Lado Grigolia. Peculiarities of land use evolution in Europe and modern challenge

რუსუდან ელიზბარაშვილი. გეოგრაფიული მოდელირება და კურორტის გეოგრაფიული მოდელი 62

Rusudan Elizbarashvili. Geographic modeling and geographic model of the resort 63

ლუიზა ბუბაშვილი. თბილისის დიღმის ჭალების გარემოს ფონური მდგომარეობა და არსებული ზეგავლენის შეფასება 75

Luiza Bubashvili. Environmental Background Condition and Current Impact Assessment of Digomi Meadows in Tbilisi

მირანდა გურგენიძე. დენდროთერაპია: არსი და გეოგრაფიული თავისებურებანი 81

Miranda Gurgenidze. Dendrothepy: essence and geographical features

ლუკა დავითაშვილი. საქართველოს რეგიონული ისტორიული გზების გეოგრაფიული თავისებურებანი 92

Luka Davitashvili. Geographical features of regional historical roads of Georgia

ანა ჩართოლანი. ევროპის მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება (იტალიის და ავსტრიის მაგალითზე) 100

Ana Chartolani. Some usage features of tourist-recreational resources of mountainous regions of Europe (on the example of Italy and Austria)

ლანა კარაპეტიანი. ისტორიული ლანდშაფტების შესწავლის მოკლე ისტორია და მისი დაგეგმარების შედეგები (ქვემო ქართლის გერმანული დასახლებების მაგალითზე) 109

Lana Karapetiani. A brief history of the study of historical landscapes and the outcomes of their planning (using the example of the German settlements in Kvemo Kartli)

სივრცითი დაგეგმარება და გეოგრაფია

პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის გამგე,
თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალის
„საქართველოს გეოგრაფია“ მთავარი რედაქტორი
nodar.elizbarashvili@tsu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სივრცითი დაგეგმარების ფორმები (ეროვნული (ნაციონალური), სივრცის ანუ ტერიტორიული, მიწათსარგებლობის, რეგიონული, ურბანული, ლანდშაფტური და რეკრეაციული, დაგეგმარება) და მისი კავშირი გეოგრაფიული მეცნიერების შესაძლებლობებთან.

სივრცითმა დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს: სექტორული (დარგობრივი) სტრატეგიის ინტეგრირება, ეროვნული და ტრანსნაციონალური ინტეგრაცია, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია, ქვეყნის მდგრადი განვითარება, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების პრევენცია, დასახლების სისტემის და ურბანიზაციის ოპტიმიზაცია, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის საიმედოობა.

სივრცითი დაგეგმარება, თავისი მრავლმხრივობის გამო, ურთულესი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობაა. ამ პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს გეოგრაფიულ ობიექტთა განლაგების საბაზო ერთეულის განსაზღვრის საიმედოობა, მდგრადი განვითარების შეფასებისთვის გეოგრაფიული ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგიის გამოყენება და სხვა.

გასაგებია, რომ ნებისმიერი დონის სივრცითი დაგეგმარება და მასში გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის მეთოდოლოგიის ეფექტური გამოყენება, კვლევის მასშტაბის და ობიექტის განსაზღვრა, გეოგრაფიული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების სივრცე-დროითი განვითარების სისტემური და ჯეროვანი შეფასება თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

საკვანძო სიტყვები: *სივრცითი დაგეგმარება, ურბანული დაგეგმარება, მიწათსარგებლობის დაგეგმარება, ლანდშაფტური დაგეგმარება, გეოგრაფია*

SPATIAL PLANNING AND GEOGRAPHY

Nodar Elizbarashvili
Chief editor of TSU interdisciplinary scientific journal
"Geography of Georgia".
nodar.elizbarashvili@tsu.ge

Resume

The article discusses the forms of spatial planning (national, spatial or territorial, land use, regional, urban, landscape and recreational, planning) and its connection with the possibilities of geographical science.

Spatial planning should ensure: integration of sectoral (sectoral) strategy, national and transnational integration, adaptation to climate change, sustainable development of the country, prevention of environmental and social risks, optimization of settlement system and urbanization, reliability of transport and engineering infrastructure.

Spatial planning, due to its versatility, is the most difficult scientific and practical activity. In this process, the reliability of the definition of the base unit for the location of geographic objects, the use of the methodology of geographic analysis and synthesis for the assessment of sustainable development, etc., become crucial.

It is clear that spatial planning of any level and the effective use of the methodology of geographic analysis and synthesis in it, determination of the scope and object of research, systematic and systematic assessment of the spatial-temporal development of geographic objects, events and processes is one of the main challenges of modern geographical science.

Keywords: *spatial planning, urban planning, land use planning, landscape planning, geography*

შესავალი

საქართველოს სივრცითი დაგეგმარების და განვითარების პროცესი რამდენიმე ასპექტს უკავშირდება. მათ შორისაა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემები, ეკონომიკის ზდის ტენდენციები, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, კლიმატის ცვლილების ტენდენციები და ევროპასთან ინტეგრაციის აქტიური პროცესები. სივრცითმა დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეგიონების თანაბარი განვითარება, დეცენტრალიზაცია და ინტეგრაცია, დემოგრაფიული კრიზისის პრევენცია, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, გარემოსდაცვითი რისკების შემცირება და ჰარმონიული რეგიონული განვითარება.

სივრცითი დაგეგმარება ხორციელდება მრავალმხრივი და მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე. იგი დაეხმარება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებასა და კოორდინაციაში, ადგილობრივ მოსახლეობას – ცნობიერების ამაღლებაში, სახელმწიფო, აკადემიურ და კერძო უწყებებს – თანამშრომლობის გაძლიერებაში. მან უნდა უზრუნველყოს ხელმისაწვდომი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, სექტორული (დარგობრივი) პოლიტიკის წარმატებული ინტეგრაცია, ეროვნული სტრატეგიული მიზნების ჰარმონიზაცია ადგილობრივ განვითარების მიზნებთან, სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპული და საერთაშორისო განვითარების ძირითად მოთხოვნებთან.

სივრცით დაგეგმარებას უკავშირდება მისი არაერთი ფორმა. მათ შორის ძირითადია: ეროვნული (ნაციონალური), სივრცის ანუ ტერიტორიული, მიწათსარგებლობის, რეგიონული, ურბანული, ლანდშაფტური და რეკრეაციული დაგეგმარება.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მასალები, სამეცნიერო წყაროები და პუბლიკაციების ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. კვლევა განხორციელდა გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემატიზაციის და კლასიფიკაციის მეთოდების გამოყენებით.

ამგვარმა მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა წარმოგვეჩინა: 1. სივრცითი დაგეგმარების და მისი სხვადასხვა ფორმის არსი, მიზნები, ამოცანები და მნიშვნელობა; 2. სივრცით დაგეგმარებასთან დაკავშირებული ტემინოლოგიური აპარატი; 3. სივრცითი დაგეგმარების ტიპები და ფორმები; 4. სივრცითი დაგეგმარების გეოგრაფიული პრობლემატიკა; 5. გეოგრაფიის როლი სივრცით დაგეგმარებაში და არსებული სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის გამოწვევები.

შედეგები

1. სივრცითი დაგეგმარება და მისი ძირითადი ფორმები

სივრცით დაგეგმარებაში ცნობილია ათეულობით სპეციალური ტერმინი, რომელშიც ასახულია მისი არსი და მნიშვნელობა. მათგან ძირითადი და საკვანძო რამდენიმეა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სრულად გავიაზროთ სივრცითი დაგეგმარების რეალიზაციის მეთოდები და გამოყენების მნიშვნელობა.

სივრცითი დაგეგმარების არსი

სივრცითი დაგეგმარება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს მდგრადი განვითარების ეფექტურ რეალიზაციაზე

და მიწათსარგებლობის რაციონალურ ორგანიზაციაზე. მისი მეშვეობით უმჯობესდება საზოგადოების ცხოვრების ხარისხი, ნარჩუნდება ჯანსაღი გარემო, ხორციელდება სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და ხელშეწყობა. იგი მოიცავს და უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების, ტერიტორიის გამოყენების, გეოგრაფიული სივრცის სტრუქტურის, რესურსების განაწილების, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ურთიერთდამოკიდებულების დაგეგმვასა და მართვას.

დაგეგმარების ტერიტორია, ანუ დაგეგმარების სივრცე წარმოადგენს დაგეგმარების ობიექტს. იგი განსხვავდება საკვლევი ტერიტორიისაგან, რომელიც შეისწავლება გარკვეული მიზნებისთვის და ასპექტში. საკვლევი ტერიტორია მოიცავს დაგეგმარების ტერიტორიას. ამიტომ იგი უფრო ვრცელია, ვიდრე დასაგეგმარებელი ტერიტორია.

სივრცითი დაგეგმარების მეშვეობით ხორციელდება თანამშრომლობა სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას (თემს) შორის. ამგვარი თანამშრომლობის მიზანია ტერიტორიის გამოყენებასთან, ახალი სივრცის ათვისებასთან დაკავშირებული სექტორული (დარგობრივი) პოლიტიკის იმგვარი ინტეგრირება, რომელიც უზრუნველყოფს სამივე მათგანის მდგრად განვითარებას.

სივრცითი დაგეგმარების მიზანია სივრცის (ტერიტორიის) ეფექტური განვითარება მისი ფუნქციების განსაზღვრის, სხვადასხვა აქტორის სპეციფიკური მოთხოვნების და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით და ინტეგრირებით.

სივრცითი დაგეგმარებით ხორციელდება გარემოზე სხვადასხვა დარგის ზემოქმედების იმგვარი გათვალისწინება, რომლის მეშვეობით მიიღწევა რესურსების თანაბარი განაწილება და მოხმარება, მდგრადი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

სივრცითი დაგეგმარების მეთოდოლოგია სახელწოდებით Geodesign, ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. იგი, ძირითადად, მოიცავს ეროვნულ, ტერიტორიულ (მიწათსარგებლობის), ურბანულ, რეგიონულ, ლანდშაფტურ (გარემოსდაცვით) და აგრარულ დაგეგმარებას (https://www.sciencedirect).

სივრცითი დაგეგმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასა და კატასტროფების რისკის შემცირებაში. ამიტომ, იგი სამართლიანად მიიჩნევა კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული რისკების შემცირების უმთავრეს ინსტრუმენტად (Joanna M. McMillan, 2021). მისი შედეგების გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას გეოეკოლოგიური რისკის, წყალდიდობის და წყალმოვარდნის (დატბორვის), ტყის და სტეპის ხანძრების, მეწყრული და ღვარცოფული ნაკადების, გაუდაბნოების და ნიადაგის დეგრადაციის არეალებში მცხოვრებ მოსახლეობას და ინფრასტრუქტურას.

1.1. ეროვნული (ნაციონალური) სივრცითი დაგეგმარება

ეროვნული დაგეგმარება გულისხმობს ქვეყნის სივრცითი განვითარების მიზნების და ამოცანების დასახვის პროცესს და დარგობრივი სტრატეგიების შემუშავებას, აგრეთვე, მისი განხორციელებისთვის შესაბამისი დროის გრაფიკების დასახვას (https://www.google.com). ეროვნული დაგეგმარების სისტემა უზრუნველყოფს ერთიან მიდგომას ყოველგვარი საფრთხის მიმართ მათი პრევენციის, გარემოს დაცვის, ზემოქმედების შერბილების, ეფექტური რეაგირებისა და გარემოს აღდგენის მიმართულებით. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა მივიღოთ რეალიზებადი გადაწყვეტილებები. კერძო სექტორი მოითხოვს სტაბილურ და მიმზიდველ გარემოს, რომელშიც ინვესტირებას განახორციელებს უსაფრთხოდ და მომგებიანად (https://www.google.com/search).

ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა შედგება რამდენიმე დარგისგან (სექტორისგან). ეროვნული ეკონომიკური განვითარების გეგმა წარმოაჩენს ქვეყნის განვითარების მიზნებსა და პრიორიტეტებს ყველა ამ სექტორთან (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.) მიმართებაში. იგი, რეალური გადაწყვეტილებების მეშვეობით, აკავშირებს განვი-

თარების დარგობრივ გეგმებს და პრიორიტეტებს არსებულ რესურსებთან და საზოგადოებრივ, ანუ ეროვნულ სარგებელთან (https://www.undp.org/sites).

ეროვნული სივრცითი დაგეგმარების პროცესი განისაზღვრება ქვეყნის მთავრობის მიერ და ჩართულია ქვეყნის საერთო განვითარების გეგმებში. მთავრობის მიერ განისაზღვრება დაგეგმარების პროცესი, ვადები, ინსტიტუტები და მონაწილეები. სწორედ მთავრობები ადგენენ განვითარების ეროვნულ გეგმებსა და სტრატეგიებს მათი მოქალაქეების აღქმული საჭიროებებისა და პრიორიტეტების საფუძველზე. ეროვნული განვითარების გეგმები, როგორც წესი, ორიენტირებულია ეკონომიკურ ზრდაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე და ამით სიღარიბის შემცირებაზე. შესაბამისად, ეს გეგმები მოიცავს მიზნებს, რომლებიც ეხება მშპ-ს, დასაქმების მაჩვენებლებს და სიღარიბის დონეს. ისინი ფორმალიზებულია, როგორც მრავალწლიანი ეროვნული განვითარების გეგმები, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავს ხუთწლიან ან უფრო მეტ პერიოდს. ქვეყნებს, ჩვეულებრივ, აქვთ გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და წლიური დაგეგმვის პროცესები (https://www.nss.nhs.scot).

1.2. სივრცის, ანუ ტერიტორიული დაგეგმარება

სივრცის, ანუ ტერიტორიული დაგეგმარება მოიცავს: სივრცის ტერიტორიულ ორგანიზაციას, ლანდშაფტურ დაგეგმარებას, რეგიონულ დაგეგმარებას და მშენებლობის პერსპექტიულ დაგეგმარებას. იგი სახელმწიფოს ტერიტორიის დაგეგმარებაა სხვადასხვა დეტალიზაციით: განსახლების გენერალური სქემებით, რაიონული დაგეგმარების სქემებითა და პროექტებით, მენეჯმენტის გეგმებით და სხვა. ტერიტორიული დაგეგმარება, დარგობრივი დაგეგმარების მსგავსად, არსებობს დარგთაშორისი, დისციპლინათაშორისი და ზოგადი.

საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ აღნიშნულია, რომ (https://www.matsne.gov.ge) სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის ამოცანებია: საქართველოს მთელი ტერიტორიის და მისი ნაწილების, დასახლებების მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, განსხვავებული დარგობრივი ინტერესების შეჯერება და დაგეგმვის სხვადასხვა დონეს შორის შესაძლო წინააღმდეგობების დაძლევა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა. საქართველოს ტერიტორიის ცალკეული ნაწილების განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სივრცის დაგეგმარების ძირითად პრინციპებს, ხოლო საქართველოს მთელი ტერიტორიის სივრცის დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ცალკეული ნაწილების განვითარების ძირითადი მოთხოვნები. საქართველოს სივრცის დაგეგმარების ძირითადი მიზნები ხელს უნდა უწყობდეს მის სრულფასოვან ინტეგრაციას ევროპული და საერთაშორისო განვითარების ძირითად მოთხოვნებთან.

საქართველოში მოქმედებს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემდეგი იერარქია: ა) სივრცის დაგეგმარების გეგმები. მათ მიეკუთვნება: საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების სივრცის დაგეგმარების გეგმა. ა.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იერარქიულად ქვემდგომი გეგმების იერარქიულად ზემდგომ გეგმებთან თავსებადობა.

სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ხორციელდება ინტეგრირებული გეგმებისა და დარგობრივი გეგმების მეშვეობით.

დარგობრივი, ანუ სექტორული დაგეგმარება უკავშირდება სპეციალურ საქმიანობას და ხორციელდება ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე ბუნების დაცვის და ლანდშაფტის შენარჩუნების მიზნით. დარგობრივი დაგეგმარება წარმოადგენს დაგეგმარებას, რომელიც ბუნების დაცვის და რეკრეაციის სფეროსთან ერთად, კოორდინაციას უწევს სხვა სახის დარგობრივ დაგეგმარებას, მათ ზემოქმედებას გა-

რემოზე, და თანაც, წარმოადგენს მათთვის გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

ტერიტორიის დარგობრივი განვითარების გეგმების ძირითადი ასპექტები შეტანილი და ჰარმონიზებული უნდა იქნეს საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების სისტემაში. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იერარქიულად ზემდგომ დარგობრივ გეგმას და უნდა ითვალისწინებდეს მის მოთხოვნებს. სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. მათ შორისაა: ისტორიული და კულტურული კავშირების, კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების, მათი დამახასიათებელი ნიშნების, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების დაცვა და შენარჩუნება; დაცული ტერიტორიებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება, ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება, დაცვა და აღდგენა; ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნება და მდგრადი განვითარება, განსაკუთრებით – სოფლის მეურნეობის ტერიტორიებისა და მრავალფუნქციურ-კომპაქტურ დასახლებათა განვითარების ხელშეწყობით (https://www.matsne.gov.ge).

ტერიტორიული დაგეგმარება არის კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში მიწისა და რესურსების გამოყენებისა და განვითარების გეგმების შექმნისა და განხორციელების პროცესი. ტერიტორიული დაგეგმარება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სივრცის ტექნიკურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება განვითარების ძირითადი სტრატეგიების იდენტიფიკაციისა და განხორციელებისთვის, ყოვლისმომცველი და ინკლუზიური სტრატეგიების შემუშავებისთვის. ადეკვატური ტერიტორიულ დაგეგმარება მოითხოვს ადგილობრივი მონაწილეობის ინტერესების გათვალისწინებას, ტერიტორიის განვითარებით დაინტერესებული ან ჩართული ყველა აქტორის მონაწილეობას და ხელშეწყობას. (https://www.google.com/search?).

1.3. მიწათსარგებლობის დაგეგმარება

მიწათსარგებლობის დაგეგმარება ტერიტორიის ოპტიმიზაციას, მიწის რესურსების გამოყოფას, გადანაწილებას და მდგრად გამოყენებას უკავშირდება (https://www.sciencedirect).

მიწათსარგებლობის დაგეგმარება საყოველთაოდ მიიჩნევა კრიტიკულად მნიშვნელოვან პროცედურად მდგრადი განვითარებისთვის. იგი განსაკუთრებით არსებითია იმ ქვეყნებისთვის, სადაც მუდმივად მზარდია მოთხოვნა მიწის ან სხვა ბუნებრივ რესურსებზე, სადაც ეკონომიკური პროცესები განაპირობებს ტერიტორიის სწრაფ ათვისებას და გარემოსდაცვითი პრობლემების გამწვავებას, სადაც მწვავდება მდგრადი განვითარების სხვადასხვაგვარი გამოწვევები.

მიწათსარგებლობის დაგეგმარება ნებისმიერი განვითარების გეგმის აუცილებელი კომპონენტია. მას შეუძლია ხელი შეუწყოს მიწათსარგებლობის კონფლიქტების თავიდან აცილებას და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, ეკონომიკური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას. მიწათსარგებლობის დაგეგმარებისას ეფექტურია მიწის მესაკუთრეების, დეველოპერების, მუნიციპალიტეტების და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა იმ პრინციპების დასაცავად, რომლებიც ხელს უწყობენ ჯეროვანი სოციალური და გარემოსდაცვითი ეფექტის მიღწევას (https://www.thefgfirm.law/blog). ამ პროცესის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენება კონკრეტული სამეურნეო, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური, რეკრეაციული კომერციული, ურბანული და სხვა მიზნებისთვის.

მიწათსარგებლობის დაგეგმარება დაფუძნებულია ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგზე, რომლის მიზანია მოლაპარაკება და გადაწყვეტილება. იგი უზრუნველყოფს მიწათსარგებლობის მდგრადი ფორმის მიღწევის წინაპირობებს, რომელიც მისაღებია სოციალური და გარემოსდაცვითი კონტექსტებით (www.iapad.org/wp-content/upload).

მიწათსარგებლობის დაგეგმარება აქტიურად გამოიყენება ისეთი ტიპის პროექტებში, როგორიცაა: რესურსების მართვა (სატყეო მეურნეობა, საძოვრების მართვა, გეოდინამიკური პროცესების პრევენცია და სხვ.), სოფლის მეურნეობის რეგიონული განვითარება და ზონალური სპეციალიზაცია, თემის მხარდაჭერა, გარემოსდაცვითი სტრატეგიის დაგეგმვა, განვითარების დაგეგმვა, მიწის პოტენციალის შეფასება და სხვ. ყველა შემთხვევაში, მიწათსარგებლობის დაგეგმარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიის თანამედროვე მდგომარეობის, ზემოქმედების ფორმების, პოტენციალის, მდგრადობის და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების გეოგრაფიულ შეფასებას.

1.4. რეგიონული დაგეგმარება

რეგიონული დაგეგმარება გეოგრაფიული არეალის მიხედვით განსაზღვრული დაგეგმვის ფორმაა, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავს საქალაქო აგლომერაციას, მუნიციპალიტეტს, სამხარეო ერთეულს ან ქვეყნის ნაწილს. იგი უკავშირდება რეგიონის ფარგლებში კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტას. მათ შორისაა ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, ეკოლოგიური ვითარება, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხები (https://www.google.com/search?q, https://www.sciencedirect.com).

ცნობილია სხვადასხვა ტიპის რეგიონული დაგეგმარება, რომლებიც განსხვავდება დაგეგმვის პროცედურების, მასშტაბის, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით. რეგიონული დაგეგმარების სახეები მოიცავს ყოვლისმომცველ დაგეგმვას, ფუნქციონალურ დაგეგმვას, ფიზიკურ დაგეგმვას, გარემოსდაცვით დაგეგმვას და ეკონომიკურ დაგეგმვას. ყოვლისმომცველი რეგიონული დაგეგმარება მიზნად ისახავს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების ყველა ასპექტის გათვალისწინებას. მისი მეშვეობით მუშავდება ინტეგრირებული და კოორდინირებული სტრატეგია ეკონომიკური განვითარების, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და რეგიონში მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად (https://www.google.com/search?q).

ფუნქციონალური რეგიონული დაგეგმარება ფოკუსირებულია კონკრეტულ და არა ზოგად ამოცანებსა და მიზნებზე, რეგიონის ცალკეულ ტერიტორებზე და უბნებზე. მათ შორის შეიძლება იყოს ლოჯისტიკა, ტრანსპორტი, ნარჩენების და წყლის რესურსების მართვა, რეკრეაცია და სხვ.

ფიზიკური რეგიონალური დაგეგმარება უკავშირდება რეგიონის ტერიტორიის სტრუქტურულ განვითარებას, მიწათსარგებლობას, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის მდგრადობას და ესთეტიკურ მიმზიდველობას, ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ურთიერთობის ჰარმონიზაციას.

გარემოსდაცვითი რეგიონული დაგეგმარება მიზნად ისახავს რეგიონის ბუნებრივი გარემოს დაცვას და მართვას. იგი განსაზღვრავს ეკოლოგიურად მგრძნობიარე ეკოსისტემებს და ლანდშაფტებს, რომლებიც საჭიროებს შენარჩუნებას, გაუმჯობესებას და განვითარებას. გეგმები მოიცავს სტრატეგიებს ბუნებრივი ჰაბიტატების შესანარჩუნებლად, დაბინძურების კონტროლისთვის. იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვის მოთხოვნების დაბალანსებას (https://www.google.com/search?q).

ეკონომიკური რეგიონული დაგეგმარება კონცენტრირებულია მთლიანად რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შემუშავებაზე. იგი განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკასა და სტრატეგიებს ინვესტიციების მოზიდვის, მრეწველობის ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ადამიანური კაპიტალისა და უნარების განვითარების მიზნით (https://www.google.com/search?q).

ყოვლისმომცველი დაგეგმარება აერთიანებს რეგიონული დაგეგმარების ყველა ფორმას და მოწოდებულია შეიმუშაოს რეგიონის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების კოორდინირებული გეგმა.

1.5. ურბანული დაგეგმარება

ტერმინი „ქალაქის დაგეგმარება“ 1890-იან წლებში გამოჩნდა, რაც ეფუძნებოდა ფართო საერთაშორისო ინტერესს ინდუსტრიული ქა-

ლაქების გაუმჯობესების მიმართ (Margo Huxley, Andy Inch, 2020) და დაუკავშირდა ქალაქების დიზაინსა და მისი ფუნქციური უბნების განლაგებას.

ურბანული დაგეგმარება არის სივრცითი დაგეგმარების ერთ-ერთი და სპეციფიკური ნაწილი. მისი მეშვეობით განიხილება და ფასდება განსახლების ფორმები და თვისებები, ფუნქციები და მნიშვნელობა. თანამედროვე ფორმულირებებით, სივრცითი დაგეგმარება განიხილება, როგორც „ადგილის შექმნის" პროექტის ნაწილი (Margo Huxley, Andy Inch, 2020), რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიული განვითარების თავისებურებებს და საზოგადოების ინტერესებს. ქალაქები და ურბანული რეგიონები ითვლება უმნიშვნელოვანეს ობიექტებად საზოგადოების მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად.

ურბანული დაგეგმარება ინტერდისციპლინური საქმიანობაა. იგი უკავშირდება არაერთ სხვა „გეგმარებას", რომელთა შორისაა ქვეყნის (ნაციონალური), რეგიონული, მიწათსარგებლობის, სოფლების, გარემოსდაცვითი და სხვა ტიპის დაგეგმარება.

ურბანული დაგეგმარების მიზანი ქალაქების განვითარების გენერალური გეგმების შედგენაა. საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" (https://www.matsne.gov.ge) ურბანულ დაგეგმარებას უკავშირდება. აქ რამდენიმე ისეთი ცნებაა, რომლებიც, გარკვეულწილად, ასახავს ურბანული დაგეგმარების მიზნებს და ამოცანებს. კერძოდ: **განაშენიანებული ტერიტორია** – დასახლების ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ძირითადი დებულებებით განსაზღვრულ ნებისმიერ ზონას, გარდა გარემოს დამცავი ზონისა, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა, სასოფლო-სამეურნეო ზონისა და სხვ.; **განსაკუთრებული რეგულირების ზონა** – მუნიციპალიტეტისათვის ან მისი ტერიტორიის ნაწილისათვის მაღალი მნიშვნელობის საზოგადოებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, თავდაცვითი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო, კულტურული ან/და სხვა ფაქტორიდან გამომდინარე მინიჭებული სტატუსი; **ფუნქციური ზონა** – რეგულირებული არეალი, რომელსაც აქვს ზოგადი მახასიათებლები, დანიშნულება, გამოყენება და კონკრეტული შეზღუდვების საგანია. ფუნქციური ზონა იყოფა სხვადასხვა დანიშნულების ქვეზონებად (კონკრეტული მახასიათებლების მქონე ზონებად); **ქალაქთმშენებლობითი გეგმა – გენერალური გეგმა,** განაშენიანების გეგმა ან/და განაშენიანების დეტალური გეგმა, რომელიც არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ქალაქთმშენებლობითი გეგმა შეიძლება მომზადდეს ქალაქისთვის, დაბისთვის, სოფლისთვის; **ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა** – მდგრადი განვითარების პრინციპებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების საფუძველზე ადამიანის ცხოვრების, საქმიანობისა და რეკრეაციისათვის ღირსეული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით დასახლებებისა და სხვადასხვა ტიპის ტერიტორიებისთვის ქალაქთმშენებლობითი გეგმის შემუშავების პროცესი; **ქალაქთმშენებლობითი ზონირება** – დასახლებული ტერიტორიის დაგეგმარება ფუნქციური ზონების განსაზღვრისა და განაშენიანების რეგულირების პარამეტრების დადგენის მიზნით.

აღნიშნული კანონის მიხედვით, ურბანულმა დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს დასახლების მდგრადი განვითარება, საზოგადოების კეთილდღეობა, სოციალურად სამართლიანი მიწათსარგებლობა, ღირსეული და უსაფრთხო გარემო, არქიტექტურული, ქალაქთმშენებლობითი და ლანდშაფტური სახის ესთეტიკური ხარისხის შენარჩუნება და ამაღლება, აგრეთვე, გარემოსა და რეკრეაციული ტერიტორიების დაცვა (ბიომრავალფეროვნებაზე, მიწაზე, წყალსა და ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, კლიმატისა და ლანდშაფტის დაცვა, ემისიების შემცირებისა და განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობა და სხვ.), სხვადასხვა დარგობრივი გარემოსდაცვითი გეგმით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

ამრიგად, ურბანული დაგეგმარება, მიუხედავად ქალაქების ფარგლებში სრულად ტრანსფორმირებული ბუნებრივი გარემოსი, ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება გეოგრაფიული მეცნიერების არაერთ მიმართულებას.

1.6. ლანდშაფტური დაგეგმარება

ლანდშაფტური დაგეგმარება იგივეა, რაც ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიული დაგეგმარება, რაც სხვადასხვა მიდგომის მიხედვით, გარემოსდაცვით დაგეგმარებასთანაცაა გაიგივებული.

ლანდშაფტური დაგეგმარება დისციპლინათშორისი პრობლემაა, რომელიც აერთიანებს გეგმის შემმუშავებელ, განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სამეცნიერო-პრაქტიკული პროფილის უწყებებს. მისი არსი საზოგადოების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში, ეკოლოგიური ვითარების სწორად განსაზღვრაში, შეფასებასა და გათვალისწინებაში მდგომარეობს. ევროპის ლანდშაფტური კონვენციის (ფლორენცია, 2000) მიხედვით, ტერმინი განისაზღვრება, როგორც პერსპექტიული დაგეგმარება, რომლის მიზანია ლანდშაფტის გაუმჯობესება, აღდგენა და ფორმირება. ლანდშაფტური დაგეგმარება პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე ორიენტირებული დაგეგმარების იარაღია. მისი ობიექტია ტერიტორია, რომელზეც უპირატესად ხორციელდება ლანდშაფტის, ანუ მთლიანად ბუნების მოვლა და განვითარება. ლანდშაფტური დაგეგმარების ჩარჩოებში, ასევე, ხორციელდება ცალკეული ლანდშაფტური კომპონენტის ფუნქციების გამოვლენა და შეფასება. მისი შინაარსი და ფორმა ვარირებს დაგეგმარების მასშტაბიდან გამომდინარე. ლანდშაფტური დაგეგმარების მასშტაბი შეესაბამება ტერიტორიული დაგეგმარების კონკრეტულ დონეს. მის მიხედვით გამოყოფენ: რეგიონულ (სახელმწიფო) ლანდშაფტურ დაგეგმარებას, ანუ ლანდშაფტურ პროგრამას, რაიონულ, ანუ ჩარჩო ლანდშაფტურ გეგმას, ლოკალურ ლანდშაფტურ დაგეგმარებას, ანუ ლანდშაფტურ გეგმას და მიკრო, ანუ მწვანე გეგმას. ლანდშაფტური დაგეგმარებისას ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება, რის გამოც ლანდშაფტური გეგმები შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც შემდგომ გამოიყენება სხვადასხვა პროგრამების და დაგეგმარების სტრატეგიის შემუშავებისას.

ლანდშაფტური დაგეგმარება, თავისი არსით სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის ხელსაყრელი ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით შესაძლებელია:

- ბუნებრივი გარემოს ცალკეული კომპონენტების და კომპლექსების თანამედროვე მდგომარეობის, მნიშვნელობის, პოტენციალის, მდგრადობის და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი და სინთეზი;
- ტერიტორიის კომპლექსური შეფასება, რომელიც მოიცავს: მისი მდებარეობის, გამოყენების თანამედროვე ფორმების და პერსპექტივების შეფასებას, მიწათსარგებლობის საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაციას ქვეყნის ან კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში;
- ტერიტორიის მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება, რაც გულისხმობს სამეურნეო და სახელმწიფო უწყებების ეფექტურ და პროდუქტიულ თანამშრომლობას;
- ლანდშაფტური დაგეგმარების პროცესში საზოგადოების ფართოდ ჩაბმა შემუშავებული პროგრამების ინფორმატიულობის და ხელმისაწვდომობის პრინციპის გამოყენებით;
- ოპტიმალური ბუნებათსარგებლობისთვის გადაწყვეტილებების მიღება;
- ტერიტორიის მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა.

ლანდშაფტური დაგეგმარების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა და ადმინისტრაციული ორგანიზაციები იღებენ მრავალმხრივ ინფორმაციას ლანდშაფტთა თანამედროვე მდგმარეობის (სტრუქტურის) და ბუნებრივი პროცესების თავისებურებათა შესახებ, ბუნე-

ბათსარგებლობის პრობლემებზე და მათი დაძლევის გზებზე. ამგვარად, ლანდშაფტური დაგეგმარება იძლევა ცოდნას ბუნებისა და ლანდშაფტის შესახებ და ამაღლებს კომპეტენტურობას მოქმედებათა პროგრამის განსაზღვრისას.

ლანდშაფტური დაგეგმარება, დარგობრივი დაგეგმარებისთვის, წარმოადგენს ფუნდამენტურ ბაზას მათი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დამუშავებისა და შეფასებისთვის. იგი, ამავე დროს, საფუძველია ეკოლოგიურ ექსპერტიზაში სპეციალური ბუნებისდაცვითი ინსტრუმენტების გამოყენებისთვის, აგრეთვე, გარემოზე ზემოქმედების რეგულირებისა და შეფასებისთვის.

ლანდშაფტური დაგეგმარება საშუალებას აძლევს სივრცით და დარგობრივ დაგეგმარებას დასაწყისშივე იქონიოს ინფორმაცია მოსალოდნელ კონფლიქტებზე და ბუნებისდაცვით მოთხოვნებზე.

ამრიგად, ლანდშაფტური დაგეგმარება ხელს უწყობს არა მარტო ბუნებათმოსარგებლეთა ქმედებების კოორდინაციას, არამედ ამცირებს კონფლიქტებს ბუნებათსარგებლობისას და ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს მდგრადი განვითარებისთვის.

1.7. რეკრეაციული დაგეგმარება

რეკრეაციული დაგეგმარება უკავშირდება რეკრეაციის მიზნით ტერიტორიის გამოყენების სტრატეგიის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებას. ლანდშაფტური დაგეგმარების ერთ-ერთ საბაზო ამოცანას წარმოადგენს მოცემული ლანდშაფტის რეკრეაციული პოტენციალის წარმოჩენა. აქედან გამომდინარე, რეკრეაციული დაგეგმარება ნაწილობრივ შედის ლანდშაფტურ დაგეგმარებაში. რეკრეაციული დაგეგმარება არის პროცესი, რომელიც მოიცავს მეთოდებს, რომლებითაც შესაძლებელია განხილულ იქნას მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ადამიანის თავისუფალ დროს (მოთხოვნა და საჭიროებები) და დასვენების რესურსებს (მიწოდებას) შორის (https://www.google.com/search?q, https://www.linkedin.com/pulse).

2. საქართველოს სივრცითი დაგეგმარების აქტუალობა და თემატური სტრუქტურა

საქართველოს სივრცითი დაგეგმარება უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ვითარებას, ისტორიულ და კულტურულ ფასეულობებს, დეცენტრალიზაციის და რეგიონული განვითარების პრობლემატიკას, ქვეყნის ბუნებრივ მრავალფეროვნებას და მიწათსარგებლობის თავისებურებებს.

სივრცითი დაგეგმარების ეკოლოგიური მოთხოვნები სასურველია ითვალისწინებდეს შემდეგ ვითარებას:

- საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (თითქმის 1/10) წარმოდგენილია ბუნებრივი ლანდშაფტებით, რაც რეკრეაციული მეურნეობის, დაცული ტერიტორიების, ბუნებათსარგებლობის სპეციფიკური ფორმების და არაერთი სამეცნიერო მიმართულების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა;
- საქართველოში დაცული ტერიტორიების ახალი ქსელის ფორმირება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რაც ყოველმხრივ უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო და ქვეყნის მდგრადი განვითარების ინტერესებს;
- საქართველო მცირემიწიანი და მაღალი გეოეკოლოგიური რისკების მქონე ქვეყანაა, რაც განაპირობებს სივრცითი დაგეგმარების სპეციფიკას და მიზანმიმართულებას;
- საქართველოს მთიანი ტერიტორიები ხასიათდება მოსახლეობის მაღალი მიგრაციით და დეპოპულაციით, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება რეგიონების მდგრად განვითარებაზე და ამწვავებს სოციალურ ვითარებას.

საქართველომ უკანასკნელ წლებში მიაღწია სწრაფ ეკონომიკურ ზრდას და უკვე მოიპოვა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსი. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება ძალაში 2016 წლის ივლისში შევიდა, რომლის მიხედვით ევროკავშირი მხარს უჭერს ქვეყნის პოლიტიკურ ასოცირე-

ბასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამგვარი პროცესის წარმატების რეალიზაციისთვის აუცილებელია ქვეყნის შიგნით რეგიონული უთანასწორობის პრევენცია, სიღარიბის დაძლევა, ქვეყნის სტრუქტურული და მისი შესაბამისი სივრცითი ტრანსფორმაცია.

ამასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგას საქართველოს სივრცითი განვითარების ეროვნული გეგმის შემუშავება და განხორციელება, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების კოორდინაცია, სივრცითი დაგეგმარების უპირატესობებისა და აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სივრცითი დაგეგმარების მეშვეობით კლიმატის ცვლილების გავლენის პრევენცია ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, სივრცითი დაგეგმარების პროცესში სახელმწიფო, აკადემიურ და კერძო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

საქართველოს კოდექსის „სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ნორმატიული სივრცითი განვითარების ეროვნული გეგმა (NSDP) და, შესაბამისად, სივრცითი და ურბანული განვითარების საააგენტო (SUDA), საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელსაც ზედამხედველობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. SUDA-ს მთავარი ფუნქციაა საქართველოს სივრცითი და ურბანული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა.

საქართველოს სივრცითმა დაგეგმარებამ, ეროვნული გეგმის მიხედვით, უნდა უზრუნველყოს: სექტორული სტრატეგიების ინტეგრირება, ეროვნული და ტრანსნაციონალური ინტეგრაცია, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია, ქვეყნის მდგრადი განვითარება, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების პრევენცია, დასახლების სისტემის და ურბანიზაციის ოპტიმიზაცია, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის საიმედოობა.

კლიმატის ცვლილების ტენდენციები საქართველოს სივრცითი დაგეგმარების უპირველეს ფოკუსად ითვლება. ამგვარი დამოკიდებულება უკავშირდება ტემპერატურის მატებას, სოფლის მეურნეობის ზონალურ სპეციალიზაციას, მყინვარების დნობას და უკან დახევას, ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებას, წყალდიდობისა და გვალვის რისკების მატებას, ეკოსისტემურ და ლანდშაფტურ ცვლილებებს, მოსავლიანობის შემცირებას და სოციალურ რისკებს, ენერგეტიკულ პრობლემებს, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ტრანსფორმაციას, მოსახლეობის მიგრაციას და სხვა თანამდევ პროცესებს.

საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს განსაკუთრებულ რეგიონულ ინტერესს, რაც უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი სატრანსპორტო ნაკადების, ენერგიის წყაროების გადატანის და ლოჯისტიკური ცენტრების ფორმირებას. საქართველო თანდათან ფორმირდება აზია-ევროპის დამაკავშირებელ სატრანზიტო ფუნქციის მქონე ტერიტორიად, რაც საჭიროებს რეგიონული თანამშრომლობის გადახედვას და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებას. დიდ გამოწვევად რჩება დეოკუპაციის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემებიც.

განსკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დემოგრაფიული პროცესები, რაც უკავშირდება მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრ შემცირებას, მიგრაციას, ბუნებრივი მატების უარყოფით მაჩვენებლებს, თბილის-რუსთავის აგლომერაციის მოსახლეობის არანორმირებულ ზრდას, დევნილი მოსახლეობის კონცენტრაციას, მოსახლეობის დაბერების ტენდენციებს და კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებას საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში, ურბანიზაციის მაჩვენებლების სწრაფ ზრდას, ადამიანური (შრომითი) რესურსების არათანაბარ განაწილებას და სხვ.

საქართველოს ბუნებრივი და ლანდშაფტური მრავალფეროვნება გამორჩეულია მსოფლიოში. ასევე, მრავალფეროვანია ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები, რაც უკავშირდება მუნიციპალურ მყარ ნარჩენებს, ჰაერის დაბინძურებას (ძირითადად, ქვემო ქართლში, იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთში), მდინარეებსა და წყალსატევებში გაუწმენდავი

ჩამდინარე წყლების ჩადინებას, ნიადაგების დაბინძურებას და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ იზრდება დაცული ტერიტორიების ფართობი და უახლოეს წლებში იგი ქვეყნის ტერიტორიის 14%-ს მიაღწევს.

განსაკუთრებულია საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და იდენტობა. საქართველო ამაყობს თავისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით, ლიტერატურული, არქიტექტურული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნებით. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში პრაქტიკულად არ გვხვდება საერთაშორისოდ აღიარებული ისტორიული და კულტურული ლანდშაფტები. ამგვარი სტატუსი თავისუფლად შეიძლება განესაზღვროს არაერთ ტერიტორიას, სამონასტრო კომპლექსს, ნაქალაქარს თუ ისტორიულ უბნებს.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში არსებული ობიექტების მიმდებარედ აღინიშნება სტიქიური ურბანიზაციის პროცესი, რაც საფრთხეს უქმნის ამგვარი ობიექტებს იდენტობას და სტატუსს. მათი კონსერვაცია და დაცვა რეალური საფრთხის ქვეშაა.

ამგვარ, საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებს, ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ ვითარებას, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ექნება გრძელვადიანი ზემოქმედება ქვეყნის სივრცულ ორგანიზაციაზე.

ამჟამად მუნიციპალიტეტების 15%-ზე ნაკლებს აქვს სივრცითი განვითარების გეგმები. ქვეყნის სივრცითი დაგეგმარება ხორციელდება ფრაგმენტულად, ძირითადად, ზოგიერთი მსხვილი ქალაქების და ცნობილი კურორტების ფარგლებში. საქართველოს რეგიონების, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების უდიდესი ნაწილი სივრცითი დაგეგმარების გარეშეა დარჩენილი. დარგობრივი სამინისტროები ახორციელებენ საკუთარ პროგრამებს და ისინი არსებითად მოკლებულია ინტეგრირებას. დღის წესრიგში დგას საქართველოს გადასვლა დარგობრივი დაგეგმარებიდან ტერიტორიული და მიწათსარგებლობის დაგეგმარების ინტეგრირებულ მიდგომაზე, რაც მოითხოვს ეროვნული და რეგიონული სივრცითი პოლიტიკის კოორდინაციას. ამგვარმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მდგრადი განვითარება ოთხი ძირითადი საყრდენის მიხედვით: ეკონომიკური ზრდა, სოციალური სტაბილურობა, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, კულტურული ფასეულობების შენარჩუნება.

ამრიგად, საქართველოს სივრცითი დაგეგმარება მთლიანად უკავშირდება მდგრადი განვითრების სამივე – ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემატიკას. ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი პრობლემებია, რაც მოითხოვს არაერთი სამეცნიერო დისციპლინის ჩართულობას, მათი სამუშაოების ინტეგრაციას. გასაგებია, რომ სივრცითი ინფორმაციის მრავალფეროვნება და სპეციფიკური ხასიათი მოითხოვს მონაცემთა ერთიანი ბაზის შემნას, მათ ინტეგრაციას, ინტერპოლაციას და გენერალიზაციას. ამგვარი ქმედებები სრულად უკავშირდება გეოგრაფიული ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგიას, გეოინფორმაციულ სისტემებს და მათი მეშვეობით, სივრცითი დაგეგმარების შედეგების კარტოგრაფიულ ასახვას.

3. სივრცითი დაგეგმარება და გეოგრაფია

სივრცითი დაგეგმარება პირდაპირ კავშირშია სივრცით (ტერიტორიულ) ანალიზთან, გეოგრაფიული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების სივრცე-დროითი თავისებურებების შეფასებასთან.

გეოგრაფიული ანალიზი და სინთეზი სივრცითი დაგეგმარების საკვანძო საფეხურია. სწორედ გეოგრაფიის მეშვეობითაა შესაძლებელი მულტიდისციპლინური ინფორმაციის სინთეზი და სივრცითი დაგეგმარების ნებისმიერი ფორმის წარმატებით რეალიზაცია.

სივრცით დაგეგმარებაში გეოგრაფიული ანალიზის მეშვეობით ხორციელდება ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეფასება. მასში გადამწვეტი როლი შეუძლია ითამაშოს ინტეგრაციულმა გეოგრაფიამ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფიის ურთიერთდამოკიდებულებამ, საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიულმა შეფასებამ და კვლევისთვის საბაზისო

გეოგრაფიული ერთეულების (ადმინისტრაციული ერთეულები, მდინარეთა აუზები, ლანდშაფტები) გამოყენებამ.

სივრცით დაგეგმარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოგრაფიულ მონაცემებს და ინფორმაციას. ისინი შესაძლებელია დავაჯგუფოდ ხუთ: გეოგრაფიულ, ბუნებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ნაწილად.

სივრცით მონაცემთა გეოგრაფიული ნაწილი უკავშირდება გეოგრაფიულ მდებარეობას. აქ სასურველია განხილულ იქნას ისეთი საკითხები, როგორიცაა ზოგადგეოგრაფიული, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებანი. მათი შეფასება აუცილებელია სივრცითი დაგეგმარების სტრატეგიის განსაზღვრისთვის.

სივრცით მონაცემთა ბუნებრივი ნაწილი უკავშირდება რელიეფს და გეოლოგიურ აგებულებას, სასარგებლო წიაღისეულს, ჰავას და კლიმატურ რესურსებს, წყლებს და წყლის რესურსებს, ცოცხალ სამყაროს და მცენარეულ რესურსებს, ეკოსისტემებს და მათ განაწილებას, ნიადაგებს და მიწის რესურსებს, ლანდშაფტებს და რეკრეაციულ რესურსებს.

მონაცემთა ეკონომიკური ნაწილი უკავშირდება მეურნეობის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და სხვ.) და ინფრასტრუქტურის (გზები, კომუნიკაციები და სხვ.), ტურიზმის და სხვა სამეურნეო პროფილის დარგის განვითარებისა და განლაგების თავისებურებებს.

სივრცით მონაცემთა სოციალური ნაწილი უკავშირდება დემოგრაფიულ ვითარებას (მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა, ურბანიზაცია, განსახლება, მიგრაციები, სოციალური სტრუქტურა და სხვ.), ისტორიული და კულტურული ლანდშაფტების, განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, კულტურის, და სხვა სოციალური ობიეტების განლაგების და განვითარების თავისებურებებს.

სივრცით მონაცემთა ეკოლოგიური ნაწილი უკავშირდება კლიმატის ცვლილების ტენდენციებს, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის, მიწის დეგრადაციის, ატმოსფეროს და წყლის დაბინძურების, დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ფორმის და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების სივრცე-დროითი განაწილების თავისებურებებს.

ამრიგად, სივრცითი დაგეგმარების განხილული ნაწილები სრულად უკავშირდება გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურას, მის არსს და შესაძლებლობებს.

დასკვნები და კვლევის პერსპექტივები

სივრცითმა დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს: სექტორული (დარგობრივი) სტრატეგიის ინტეგრირება, ეროვნული და ტრანსნაციონალური ინტეგრაცია, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია, ქვეყნის მდგრადი განვითარება, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების პრევენცია, დასახლების სისტემის და ურბანიზაციის ოპტიმიზაცია, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის საიმედოობა.

სივრცითი დაგეგმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასა და კატასტროფების რისკის შემცირებაში. ამიტომ, იგი სამართლიანად მიიჩნევა კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული რისკების შემცირების უმთავრეს ინსტრუმენტად. მისი შედეგების გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას გეოეკოლოგიური რისკის, წყალდიდობის და წყალმოვარდნის (დატბორვის), ტყის და სტეპის ხანძრების, მეწყრული და ღვარცოფული ნაკადების, გაუდაბნოების და ნიადაგის დეგრადაციის არეალებში მცხოვრებ მოსახლეობას და ინფრასტრუქტურას.

ამრიგად, სივრცითი დაგეგმარება, თავისი მრავლმხრივობის გამო, ურთულესი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობაა. ამ პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს გეოგრაფიულ ობიექტთა განლაგების საბაზო ერთეულის განსაზღვრის საიმედოობა, მდგრადი განვითარების შეფასებისთვის გეოგრაფიული ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგიის გამოყენება და სხვა. საქართველოს სივრცით დაგეგმარებას სასურველია ეწოდოს სივრცითი დაგეგმარების სტრატეგიული გეგმა, ხოლო სხვა ადმინისტრაციული ერთეულების სივრ-

ცით დაგეგმარებას – ჩარჩო გეგმა. სტრატეგიულ (საქართველოს) და ჩარჩო გეგმებში სასურველია ჩაერთოს (განხილულ იქნეს) ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: განვითარების და ცვლილების სცენარები (კლიმატური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და სხვ.), ტერიტორიის შეფასების (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური) სისტემა და კრიტერიუმები.

აქვე წარმოჩინდება სივრცით დაგეგმარებასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა, რაც უკავშირდება: საყოველთაოდ აღიარებული მეთოდოლოგიის არქონას, მკაფიოდ განსაზღვრულ კვლევის მასშტაბს, კვლევის ობიექტს (ლანდშაფტი, მდინარეთა აუზი თუ ადმინისტრაციული ერთეული), კვლევის შედეგებს (მიზანი – ტერიტორიის განვითარება, გაუმჯობესება ან შენარჩუნება), ამოცანებს (დარგობრივი გეგმარებითი უპირატესობის განსაზღვრას), ინტეგრაციის დონეებს და მიზნებს, დაგეგმარების პროცესში ჩართული სპეციალისტების პროფილს და სხვ.

გასაგებია, რომ ნებისმიერი დონის სივრცითი დაგეგმარება და მასში გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის მეთოდოლოგიის ეფექტური გამოყენება, კვლევის მასშტაბის და ობიექტის განსაზღვრა, გეოგრაფიული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების სივრცე-დროითი განვითარების სისტემური და ჯეროვანი შეფასება თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ. (2017). გეოგრაფიის საფუძვლები (მეორე გადამუშავებული გამოცემა). სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებელების სტუდენტებისათვის. თბ., გამომც. „უნივერსალი“, გვ. 220.
2. ელიზბარაშვილი ნ. და სხვ. (2009). ლანდშაფტური დაგეგმარება: მეთოდოლოგია და გამოცდილება. მონოგრაფია. თბილისი-ბონი-ირკუტსკი. თბ., გამომც. „უნივერსალი“, გვ. 200.
3. ელიზბარაშვილი ნ. (2015). მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება (მონოგრაფია). თბ., გამომც. „უნივერსალი“, გვ. 119.
4. ნ. ელიზბარაშვილი (2021). ინტეგრაციული გეოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, №11, თსუ, გვ. 4-14.
5. ნ. ელიზბარაშვილი (2023). რატომ გეოგრაფია?. თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, №13, თსუ, გვ. 4-14.
6. ნ. ელიზბარაშვილი, გ. სანდოძე (2023). გარემოზე ზემოქმედების შეფასება. სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (თსუ), გვ. 264.
7. Nodar Elizbarashvili, Nino Sulkhanishvili, Besik Kalandadze, Giorgi Meladze, Tengiz Gordeziani, Tedo Gorgodze, Tsetsilia Donadze, Giorgi Meladze, Maia Meladze, Rusudan Elizbarashvili, david Sidamonidze (2020). Main Problems of the Sustainable Development of the South Caucasus and Processes of Transformation of Landscapes (Ecosystems) Biodiversity. Journal of Environmental Biology – Special Issue., Vol. 41. p. 382 – 290. http://www.jeb.co.in/journal_issues/202003_mar20_spl/paper_16.pdf
8. Nodar Elizbarashvili, Giorgi Meladze, Gela Sandodze, Lado Grigolia (2022). Climate change and mountain Landscapes of Georgia. Proceedings Book: International Euasia Climat Change Congress. Van, Turkey, p. 34-42. http://webportal.yyu.edu.tr/images/content/1671603869_Book_of_proceedings.pdf
9. Joanna M. McMillan, Siwaporn Tangwanichagapong, in Disaster Resilience and Sustainability, 2021.
10. https://www.google.com/search?q=national+planning&safe=active&sca_esv=42205e6ff90f437
11. https://geo.appstate.edu/node/31#:~:text=Planning
12. https://www.sheffield.ac.uk/undergraduate/courses
13. G. Donald Hudson, Pages 267-277 | Published online: 01 Jul 2008, https://doi.org/10.1080/00221343508987853
14. https://www.google.com/search?q=geography+and+planning
15. https://www.fao.org/4/s4862e/s4862e02.htm

16. https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/publications/Chapter-4.pdf
17. https://www.google.com/search?q=national+planning&safe=active&sca
18. https://www.fao.org/4/s4862e/s4862e02.htm
19. https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/publications/Chapter-4.pdf
20. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4276845?publication=30
21. https://www.sciencedirect.com/topics/earth-and-planetary-sciences/land-use-planning
22. https://www.thefgfirm.law/blog/why-land-use-planning-is-critical-for-future-development/
23. www.iapad.org/wp-content/uploads/2015/07/gtz_plup.pdf
24. https://www.google.com/search?q=territorial+planning&rlz=1C1GCEB_enGE948GE948&oq=territorial
25. https://www.sciencedirect.com/topics/earth-and-planetary-sciences/territorial-planning
26. regionaluri gegmebisTvis.
27. https://www.google.com/search?q=regional+planning&rlz=1C1GCEB
28. https://www.sciencedirect.com/topics/earth-and-planetary-sciences/territorial-planning
29. https://www.google.com/search?q=regional+planning&rlz=1C1GCEB
30. https://www.linkedin.com/pulse/recreation-planning-deeply-hierarchical-process-neal/
31. https://www.linkedin.com/pulse/recreation-planning-deeply-hierarchical-process-neal/

განქორწინების პროცესების ტრანსფორმაცია საქართველოში

გიორგი მელაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
giorgi.meladze @tsu.ge

აბსტრაქტი

განქორწინება რთული სოციალური პროცესია. მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ბუნებრივია არ არის დამუშავებული მისი კანონზომიერებების საერთო კონცეფცია. განქორწინებათა რაოდენობას მრავალი გარემოება განაპირობებს, მათ შორის წამყვანი ადგილი სოციალურ-კულტურულ ნორმებს ენიჭებათ, რომლებიც მოცემული დროისათვის ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებით, ქორწინების არსებული ფორმებით, ქალის მდგომარეობით საზოგადოებაში, ოჯახის ცხოვრების წესით არის განპირობებული. მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის, რელიგიის დამოკიდებულება განქორწინებათა მიმართ.

ისტორიულ წარსულში საქართველოში დაბალი იყო განქორწინებების მაჩვენებელი, რაც უმთავრესად განქორწინებათა მიმართ, მართლმადიდებლური რელიგიის დამოკიდებულებით იყო განსაზღვრული, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავდა განქორწინებას. საბჭოთა ეპოქის 1930-1960-იანი წლების შუა პერიოდი, კლასიკური მაგალითია თუ როგორ ერეოდა სახელმწიფო ადამიანების პირად ცხოვრებაში და კანონის ძალით როგორ ართულებდა განქორწინებებს.

ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო განქორწინებათა მაჩვენებელი. უკანასკნელ წლებში განქორწინებათა რაოდენობის ზრდამ საქართველოში პანდემიის სახე მიიღო. დღესდღეობით განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

წარმოდგენილ სტატიაში შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციაზე და გაანგარიშებებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია განქორწინებათა დინამიკა და გაანგარიშებულია განქორწინებებით გამოწვეული შობადობის დანაკარგები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, განქორწინება, კოეფიციენტი, რეგიონები, დანაკარგები*

TRANSFORMATION OF DIVORCE PROCESSES IN GEORGIA

Associate Professor Giorgi Meladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giorgi.meladze @tsu.ge

Abstract

Divorce is a complicated social process. Its determining factors have not yet been sufficiently studied. Naturally, a general concept of its regularities has not been developed. The number of divorces is determined by many circumstances, among which the leading place is given to socio-cultural norms, which are determined by the social development of the country, existing forms of marriage, the status of women in society, and the family's way of life. The attitude of the legislation and religion of one or other country towards divorce is of great importance.

Historically, Georgia had a low divorce rate, which was mainly due to the Orthodox religion's attitude towards divorce, which practically excluded divorce. The period of the Soviet era in the 1930's and the mid-1960's is a classic example of how the state interfering in people's private lives and made divorces difficult by force of law.

Among the republics of the former USSR, Georgia had one of the lowest divorce rates. In recent years, the rise in divorce rates in Georgia took the form of a pandemic. Today, the overall divorce rate in Georgia is one of the highest in the world.

Based on relevant statistical information and calculations, the presented article analyzes the dynamics of divorces in Georgia. The losses of fertility caused by divorces in Georgia have been calculated.

Key words: *Georgia, divorce, coefficient, regions, losses*

თემის აქტუალობა

უკანასკნელ წლებში, საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს შორის თვალსაჩინო მოვლენას განქორწინებათა უპრეცენდენტო მატება წარმოადგენს. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში კონფუცი წერდა – „სახელმწიფო – ეს დიდი ოჯახია, ხოლო ოჯახი – პატარა სახელმწიფო“. შექმნილი ვითარების მომავალში უცვლელობა, საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტის – ოჯახის ფუნქციონირებაზე ნეგატიურად იმოქმედებს, რასაც შედეგად შესაძლებელია სახელმწიფოს საფუძვლების შერყევაც კი მოჰყვეს.

საქართველოში 1921 წლამდე, განქორწინების პროცედურა მართლმადიდებლური ეკლესიის პრეროგატივა იყო. ქრისტიანულ რელიგიაში 7 საეკლესიო საიდუმლო არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი ქორწინების საიდუმლოა. მამაკაცისა და ქალის ქორწინება უფლის მიერაა კურთხეული. ქრისტიანულ საფუძველზე შექმნილ ოჯახებში – გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, განქორწინება გამორიცხულია. საბჭოთა სეკულარული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ეს უკანასკნელი უხეშად ერეოდა ადამიანების პირად ცხოვრებაში, სახელმწიფო კანონების ძალით ცდილობდა განქორწინებათა შეზღუდვას. არსებული მდგომარეობა გაგრძელდა 1960-იანი წლების შუა პერიოდამდე, რის შემდგომ განქორწინებათა რაოდენობა მონოტონურად მატულობდა. მიუხედავად ცვლილებებისა, ყოფილ სსრ კავშირში საქართველოში განქორწინებების დონე დაბალი იყო. 1989 წელს უფრო დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ სომხეთში დაფიქსირდა.

საქართველოს დემოგრაფიული სისტემა გლობალური დემოგრაფიული სისტემის შემადგენელი ნაწილია და მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიული ტენდენციები გვერდს ვერ აუვლის ჩვენს ქვეყანას. შესაძლებელია ითქვას, რომ გლობალური მასშტაბით შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება განქორწინებათა მიმართ. სულ უფრო იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც პიროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებენ ვიდრე მეუღლისა და ბავშვების მიმართ პასუხისმგებლობას. ყოველივე ეს მიმდინარეობს ადამიანებზე რელიგიის გავლენის შესუსტების ფონზე. 2007-2019 წლებში ჩატარებული მსოფლიო ღირებულებების გამოკვლევის (World Value Survey) შედეგების მიხედვით, ღმერთის მნიშვნელობა 44 ქვეყნიდან 39-ში შემცირდა (Pomeroy, 2023). თანამედროვე დასავლეთის კულტურებში, მოსახლეობის გარკვეულ ფენებში იმდენად გაუფასურდა ოჯახის მნიშვნელობა, რომ განქორწინების შემთხვევაში ადამიანები საზეიმო საღამოებსაც ("divorce parties") კი აწყობენ, ისევე როგორც ნიშნობის დროს.

საქართველოში უკანასკნელ წლებში მიმდინარე ოჯახების რღვევის პროცესები შეშფოთების საფუძველს იძლევა. აღნიშნული პრობლემა შესწავლასა და ღრმა მეცნიერულ გაანალიზებას მოითხოვს, ვინაიდან ოჯახი სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს, მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ძლიერება და მისი მომავალი.

ნაშრომის მიზანი

საქართველოში რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს განქორწინების სფეროში. ჩვენი ქვეყანა განქორწინების მაღალი მაჩვენებელით „მოწინავე“ ქვეყნების ჯგუფშია. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ჩვენს ხელთ არსებული დემოგრაფიულ-სტატისტიკური მასალების საფუძველზე შევისწავლოთ და გავაანალიზოთ მიმდინარე პროცესები, მე-19 საუკუნიდან დღემდე. ასევე განვიხილოთ განქორწინებების მიზეზები. უახლოეს მასალებზე დაყრდნობით საქართველოს რეგიონებში განქორწინების სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით, განქორწინებებით გამოწვეული შობადობის დანაკარგების გაანგარიშება.

კვლევის მეთოდები

სტატიის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსახლეობის საყოველთაო აღწერებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მასალების შესწავლისა და ანალიზისათვის გამოყენებულია: ისტო-

რიული, შედარებითი, აღწერილობითი, სტატისტიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები.

განქორწინების პროცესის საანალიზოდ გამოყენებულია შემდეგი შეფარდებითი კოეფიციენტები:

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (K), რომელიც გარკვეულ პერიოდში განქორწინებათა საერთო რაოდენობის შეფარდებას წარმოადგენს მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან (იზომება პრომილებში). აღნიშნული კოეფიციენტი განქორწინებათა შესახებ მიახლოებით წარმოდგენას იძლევა.

$$K = \frac{D}{S} \times 1000$$

D – განქორწინებათა რაოდენობა მოცემულ წელს.

S – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა მოცემულ წელს. გამოისახება პრომილებში.

განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი (K_x). აღნიშნული კოეფიციენტი წარმოადგენს მამაკაცებისა და ქალების განქორწინებათა რაოდენობებისა და იგივე პერიოდის მათი საშუალო რაოდენობის თანაფარდობას. იგი გვიჩვენებს სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანების განქორწინებათა ინტენსივობას. განქორწინების ზოგად კოეფიციენტთან შედარებით, აღნიშნული კოეფიციენტი პროცესის უფრო ზუსტ დახასიათებას იძლევა.

$$Kx = \frac{D_x}{W_x} \times 1000$$

D – x ასაკის ქალების (მამაკაცების) განქორწინებათა რაოდენობა გარკვეულ დროში.

W – იგივე დროში x ასაკის ქალების (მამაკაცების) საშუალო რაოდენობა. გამოისახება პრომილებში.

განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი (K_T) – გვიჩვენებს განქორწინებათა საშუალო რაოდენობას მოცემული თაობის სიცოცხლის მანძილზე, იმ პირობით თუკი განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ინტენსივობა შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელი პერიოდისათვისაც იყო გაკეთებული გაანგარიშებები.

$$KT = \frac{\sum_{15}^{49} D_x}{1000}$$

D_x – განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები.

განქორწინების ინდექსი (K_I) გვიჩვენებს თუ მოცემულ წელს, რამდენი განქორწინება დაფიქსირდა ყოველ 100 ქორწინებაზე. იგი ერთგვარ წარმოდგენას იძლევა განქორწინებათა დონის ცვლილების პირველადი დახასიათებისათვის.

$$KI = \frac{D}{M} \times 100$$

D – განქორწინებათა რაოდენობა გარკვეულ დროში.

M – ქორწინებათა რაოდენობა გარკვეულ დროში.

განქორწინების პროცესს შედარებით ზუსტად ასახავს მისი კორექტირებული კოეფიციენტი ($K_{corr.}$), რომელიც წარმოადგენს ქორწინებაში მყოფთა (ქალების ან მამაკაცების) შეფარდებას განქორწინებულთა (ქალების ან მამაკაცების) რაოდენობასთან. აღნიშნული მაჩვენებელის გაანგარიშება მხოლოდ მოსახლეობის აღწერების წლებშია შესაძლებელი. გამოისახება პრომილებში.

$$Kcorr. = \frac{D}{M_m} \times 1000$$

D – განქორწინებული ქალების ან მამაკაცების რაოდენობა.

M_m – ქორწინებაში მყოფი ქალების ან მამაკაცების რაოდენობა.

განქორწინებებით გამოწვეული შობადობის დანაკარგები, გაანალიზებულ იქნა მეთოდიკით, რომელიც განქორწინებათა დაუყოვნებელი აღდგენის (ხელმეორე ქორწინებების მეშვეობით) ან მათი არარსებობის ჰიპოთეზას ემყარება (Синельников, 1989).

ძირითადი შედეგები

განქორწინების მოკლე ისტორია

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია განქორწინებას ერთგვარ ანომალიად თვლიდა და ყოველგვარ ზომებს ატარებდა მის წინააღმდეგ. სახელმწიფო და ეკლესია, მართალია, განქორწინებას ერთგვარ ბოროტებად მიიჩნევდა, მაგრამ ზოგჯერ განუქორწინებ-

ლობა ისეთ ვითარებას წარმოშობდა, როცა მეუღლეთა ერთად ცხოვრება წარმოუდგენელი იყო და არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს არ შეეძლოთ ოჯახის შენარჩუნება. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ქრისტიანული მოძღვრება მაინც ქადაგებდა, რომ ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მეუღლის სიკვდილის შემდეგ, თუმცა ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც მთლიანად არ ისპობა ქორწინება (მეტრეველი, 2014).

ქართული წყაროების თანახმად, განქორწინების ამსახველ ფაქტებს საქართველოში ქრისტიანობის მიღების პერიოდიდან ვხვდებით. ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა ი.ცურტაველის „შუშანიკის წამება“ უნდა დავასახელოთ. შუა საუკუნეების საქართველოში გახმაურებელ განქორწინებას წარმოადგენდა, თამარ მეფის ქორწინების შეწყვეტა მის მეუღლესთან იური ბოგოლიუბსკისთან, ამ უკანასკნელის სოდომური ცოდვების გამო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ის იშვიათი შემთხვევებია, როდესაც არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას არ შეეძლოთ აღეკვეთათ განქორწინება.

განქორწინების საკითხებს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, მეფე ვახტანგ VI-ის სამართალის წიგნთა კრებულში, რომელიც 1705-1708 წლებშია შექმნილი. აღნიშნული ისტორიული დოკუმენტიდან აშკარად იკვეთება განქორწინებათა თავიდან აცილებისა და ოჯახის სიმტკიცის გაზრდის ტენდენცია. აქვე დავსძენთ, რომ გამოუვალ სიტუაციებში განქორწინების ინიციატივა მამაკაცს ეკუთვნოდა.

როგორც აღვნიშნეთ, რელიგიური კანონების მიხედვით, პრაქტიკულად, თითქმის შეუძლებელი იყო განქორწინება. მსგავსი მდგომარეობა იყო ევროპულ სახელმწიფოებშიც. მაგალითად, ინგლისში 1857 წლამდე არ არსებობდა კანონი, რომელიც სასამართლოს დადგენილების საფუძველზე განქორწინების საშუალებას იძლეოდა. სახელგანთქმული ინგლისელი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე, საქვეყნოდ ცნობილი ეპიკური რომანის – „დაკარგული სამოთხე“ ავტორი ჯ. მილტონი, 1642 წელს მიატოვა საკუთარმა ცოლმა. ჯ. მილტონი ითხოვდა განქორწინებას, რომელსაც ვერ მიაღწია. ამის საპასუხოდ მან 1643-1645 წლებში ოთხი ტრაქტატი დაწერა, რომლებშიაც იგი იცავდა მეუღლეთა ინტერესებს განქორწინების სფეროში (Raupp, 2024). იმჟამინდელმა საზოგადოებამ, რომელიც აღნიშნულ საკითხში რელიგიური ნორმებით საზრდოობდა, ნეგატიურად მიიღო ჯ. მილტონის მოსაზრებები.

ინგლისის პარლამენტმა, 1670 წელს ეკლესიის გვერდის ავლით მიიღო – ინგლისის იურიდიულ ისტორიაში განქორწინების პირველი აქტი, რომლის მიხედვითაც ლორდი როოსი განქორწინებულ იქნა თავის მეუღლესთან, ამ უკანასკნელის მრუშობის საფუძველზე (Hager, 2010).

განქორწინების სფეროში არსებულ მდგომარეობის ნათელსაყოფად, საინტერესოა გენიალური ქიმიკოსის დ. მენდელეევის ისტორია, რომელსაც დიდ პრობლემად ექცა განქორწინება და მეუღლის სიცოცხლეში მეორედ დაქორწინება. ამასთანავე, რელიგიური კანონების მიხედვით, მას ხელმეორედ დაქორწინების შემთხვევაში, 7 წლის მანძილზე არ ჰქონდა ჯვრისწერის უფლება. არსებული დაბრკოლებების გადასალახად დ. მენდელეევმა ჯვრისწერის სანაცვლოდ, მღვდელს ქრთამის სახით 10 ათასი რუბლი გადაუხადა (რის გამოც ეს უკანასკნელი ჩამოაშორეს სასულიერო მოღვაწეობას). რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III დიდად აფასებდა გ. მენდელეევის გენიას. როდესაც იმპერატორმა მეცნიერის პირადად გაცნობა მოინდომა, მასთან დაახლოებულმა პირებმა განუცხადეს, რომ ადამიანისათვის, რომელიც მეორედ დაქორწინდა პირველი მეუღლის სიცოცხლეში, არ შეიძლებოდა აუდიენციის მოწყობა, ვინაიდან მან დაჰკარგა წესიერ საზოგადოებაში ყოფნის უფლება. აღნიშნული ფაქტი ნათლად მეტყველებს იმჟამინდელი საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებაზე განქორწინების მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში განქორწინების პრეროგატივა მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნოდა. თანამედროვე საქართველოში, სამოქალაქო კოდექსის 1123 მუხლის 1 ნაწილის მიხედვით – განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სამოქალაქო აქტების რეგისტრა-

ციის ორგანოში (საქართველოს კანონი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი).

განქორწინების მიზეზები

განქორწინებათა მიზეზები მრავალია, რომელთა შორის სპეციალისტები გამოჰყოფენ ქალის როლისა და სტატუსის ცვლილებას საზოგადოებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, სუსტი სქესის წარმომადგენელთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს. განქორწინებას, აგრეთვე, ხელს უწყობს წარმოდგენათა ცვლილება სექსუალურ მორალზე და ურბანიზაციული პროცესები. ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელების შედეგად სუსტდება სოციალური კონტროლი, მცირდება ოჯახის ზეგავლენა პიროვნებაზე, თუ ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანის კონტაქტები გარეშე სამყაროსთან ოჯახის მეშვეობით ხდებოდა, ამჟამად სოციალიზაციის პროცესი სხვა ალტერნატიული ინსტიტუტების საშუალებითაცაა შესაძლებელი.

განქორწინებათა რაოდენობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სპეციალისტთა მიერ დადგენილია, რომ არსებობს პირდაპირი კორელაციური კავშირი ქმრის ეკონომიკურ სტატუსსა და ქორწინების სტაბილურობას შორის. რაც უფრო დაბალია შემოსავლები, მით უფრო მატულობს განქორწინების შანსი. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ტ. პარსონსის სენტენციის მიხედვით, მამა ოჯახში ინსტრუმენტული როლის შემსრულებელია (იგი ოჯახის მარჩენალი და დამცველია გარეგანი ზემოქმედებისგან), დედას კი ექსპრესიული როლი ეკისრება (იგი ოჯახის კერისა და სიმშვიდის დამცველია, მისი ემოციური ცენტრია, რომელიც გარემომცველი სამყაროსაგან ქმნის ბავშვებისა და მამის გადარჩენის შესაძლებლობას სტრესებისა და გადატვირთვისაგან). ქვეყანაში სადაც შექმნილია კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქმრების დიდი ნაწილი ვერ ამართლებს ოჯახის, როგორც მარჩენალის იმედებს (ინსტრუმენტულ როლს), რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის ოჯახის ნორმალური ფუნქციონირების სფეროში. აქედან გამომდინარე მატულობს განქორწინების შანსი.

თანამედროვე ეტაპზე იშვიათობას არ წარმოადგენენ ის ოჯახები, რომლებშიც ცოლს ქმარზე მეტი შემოსავალი გააჩნია, რაც ზრდის განქორწინების ალბათობას (Becker, 1991). მსგავსი შემთხვევები, ფაქტობრივად, ოჯახში ტრადიციულად ქმრის, როგორც მარჩენალის როლის ანულირების ტოლფასია და, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უწყობს განქორწინებებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ოჯახის ახალი ტიპი – „დისტანტური ოჯახი“ გაჩნდა, რაც მეუღლეების სამუშაოდ ხანგრძლივი დროით ქვეყნიდან გასვლას უკავშირდება (მელაძე, 2013). აღნიშნული ტიპის ოჯახთა არსებობა, ბუნებრივია ზრდის განქორწინებათა ალბათობას.

განქორწინებათა შეზღუდვის მიზნით არსებობს მოსაზრება, რომელიც კანონის გამკაცრებას გულისხმობს. კერძოდ, კ. დევისის აზრით, განქორწინების მიღწევის სიადვილე ხელს უწყობს განქორწინებათა მატებას (Davis, 1984). აღნიშნული მოსაზრება მოკლებულია საფუძველს, ვინაიდან განქორწინებით მხოლოდ უიღბლო ქორწინებები მთავრდება, რომელსაც კანონის ძალით ვერ შევზღუდავთ. პირიქით, ასეთი იძულებითი მოქმედებით შესაძლებელია უიღბლო ქორწინებების რაოდენობა გაიზარდოს.

განქორწინებათა მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია ასაკი. ქორწინება ძალიან ახალგაზრდა ასაკში, ზრდის განქორწინების ალბათობას, განსაკუთრებით ქორწინების პირველ წლებში. აღნიშნულ ასაკში დაქორწინებულებს გააჩნიათ განქორწინებათა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. 21-22 წლის ასაკში განქორწინებათა რისკი მკვეთრად კლებულობს (Bramlett and Mosher, 2002; Heaton, 2002; White, 1990).

სპეციალისტების აზრით, დაბალი შემოსავალი და განათლება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მათი შეფასებით, იმ პირებს, რომელთა წლიური შემოსავლები 50 ათას დოლარზე მეტია, განქორწინების ნაკლები შანსი გააჩნიათ მათთან შედარებით, რომელთა წლიური შემოსავალი 25 ათას დოლარზე ნაკლებია. განქორწინებათა რისკი კიდევ უფრო მაღალია და დაახლოებით 60%-ის ტოლია ხელმეორედ ქორწინების შემთხვევაში (Bramlet, and Mosher, 2002).

ტრადიციულად მიიჩნევდნენ, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობის პირდაპირპროპორციულად კლებულობდა განქორწინების შანსი. თანამედროვე, პოსტმოდერნისტულ სამყაროში სულ უფრო სუსტდება განქორწინების ხელშემშლელი ზემოაღნიშნული ფაქტორის როლი. დღესდღეობით სულ უფრო ნაკლები მშობელი არ ეთანხმება – ოჯახში მეუღლეებს შორის ცუდი ურთიერთობების არსებობისას, ბავშვების გამო ოჯახის შენარჩუნების აზრს.

განქორწინებათა მატების მიზეზებიდან, უმნიშვნელოვანესი მიზეზი თანამედროვე ადამიანთა სულიერ სამყაროში მომხდარ ტრანსფორმაციაში უნდა ვეძიოთ. ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ საქართველოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ, ერთ-ერთ ეპისტოლეში გამოთქმულ აზრს მომრავლებული განქორწინებების შესახებ – „არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს დარღვეულ ოჯახთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. მიზეზი კვლავ ურწმუნოებაა. ცოლ-ქმრულ კავშირს რელიგიური საფუძველი არა აქვს. ახალგაზრდები სულიერად მოუმზადებელნი არიან ამ საიდუმლოს აღსრულებისათვის. ისინი მხოლოდ სიამოვნებას მიელტვიან და ავიწყდებათ, რომ ოჯახი არის მოწოდება, რომლის წმინდა ვალდებულებაც მათ ღირსეულად უნდა აღასრულონ, რადგან ვალდებულებათა გარეშე სიყვარული ცხოველურ ყოფას უახლოვდება. ავიწყდებათ, რომ ისინი მხოლოდ წუთისოფლისთვის არ გაჩენილან, არამედ მარადიული სიცოცხლისათვის არიან მოწოდებულნი და რომ ქორწინება არა მხოლოდ მიწიერი ურთიერთობაა, არამედ მოსამზადებელი საფეხურია იმქვეყნიური ცხოვრებისათვის (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, 1997).

განქორწინების პროცესები საქართველოში

სტატისტიკური მონაცემები მე-19 საუკუნის საქართველოში მიმდინარე განქორწინების პროცესების შესახებ ძალიან მწირია. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1825 წლით დათარიღებული ისტორიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის სახელზეა გაგზავნილი განქორწინების უფლების მისაღებად. დოკუმენტში მთხოვნელის მიერ აღნიშნულია, რომ მან და მისმა ცოლმა კანონიერ ქორწინებაში ათ წელზე მეტი იცხოვრეს, რის შემდგომ ცოლმა იგი მიატოვა და გარყვნილებას მიეცა. აღნიშნული ფაქტის საფუძველზე იგი ითხოვდა განქორწინებისა და ხელმეორედ დაქორწინების უფლებას (საქართველოს ეროვნული არქივი).

მე-19 საუკუნეში არსებული საზოგადოებისათვის, რომელიც სოციალური ქცევის ტრადიციული ნორმებით იყო გაჯერებული, განქორწინების ფაქტი განსაკუთრებით უარყოფითად აღიქმებოდა და საყოველთაო გაკიცხვის საგანი ხდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განქორწინების მაჩვენებლები საქართველოში უმნიშვნელო იყო. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით – ჩვენი გაანგარიშებით საქართველოში 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1000 მამაკაციდან მხოლოდ ერთი იყო განქორწინებული, მსგავსი ფაქტი ფიქსირდებოდა ქალების შემთხვევაშიც (Первая всеобщая..., т. 66, 1906; Первая всеобщая..., т. 69, 1906). 2014 წლის აღწერის მიხედვით, იდენტური მონაცემები შესაბამისად 23 და 43‰-ს შეადგენდა.

1921 წლამდე საქართველოში განქორწინების პროცედურა მართლმადიდებლური საქორწინო-საოჯახო წესების მიხედვით რეგულირდებოდა, რაც განქორწინებებს თითქმის გამორიცხავდა. საბჭოთა წყობის პირველსავე წლებში განქორწინების პროცედურა, ისევე როგორც ქორწინებისა და ოჯახის სფეროში არსებული კანონმდებლობა მძლავრი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ზემოქმედების ქვეშ მოექცა. 1917 წლის დეკემბერში რუსეთში გამოცემული დეკრეტის მიხედვით, საქართველოში 1921 წლის აპრილში მიღებულ იქნა პირველი კოდექსი საოჯახო სამართლის დარგში „მოქალაქეობრივი მდგომრეობის აქტების შესახებ“ (ჯორბენაძე, 1957), რომლის მიხედვითაც განქორწინების პროცედურა მთლიანად ჩამოშორდა ეკლესიას, მყარდებოდა განქორწინების სრული თავისუფლება, რაც ნიშნავდა, რომ განქორწინება შესაძლებელი იყო როგორც

ორივე მეუღლის თანხმობით, ასევე ერთ-ერთის სურვილის მიხედვითაც. კანონმდებლობით განქორწინება დაშვებული იყო სასამართლოს გარეშეც, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის (მმაჩ) ბიუროში რეგისტრაციით, ორივე მეუღლის შეთანხმების საფუძველზე.

განქორწინების პროცედურა კიდევ უფრო გამარტივდა 1926 წელს, განქორწინებისათვის უკვე საკმარისი იყო მმაჩ-ის ორგანოში, მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის განცხადება. ადამიანთა ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის მეტად გამარტივებამ გამოიწვია ერთგვარი გადახრა სრული ნებაყოფლობისა და თვითნებობისკენაც კი... ქარაფშუტული დამოკიდებულების საშიშროება წარმოიშვა მოსახლეობის შეუგნებელ ნაწილში (ბექაია, 1980).

საქართველოს მასშტაბით 1897 წლის შემდგომ, 1926 წლის აღწერამდე არ მოგვეპოვება მონაცემები განქორწინებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 1939, 1959, 1970 წლების აღწერების პროგრამები, აღარ ითვალისწინებდნენ განქორწინებულთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას (აღნიშნული კატეგორიის ადამიანები შეჰყავდათ საერთო ჯგუფში – „ქორწინებაში არ მყოფი“) რის გამოც მონაცემები 1979 წლამდე არ არსებობს.

ჩვენი გაანგარიშებით, 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის ყოველ ათას მამაკაცზე 3 განქორწინებული მოდიოდა, საწინააღმდეგო სქესის შემთხვევაში კი 5 (Всесоюзная перепись населения 1926 года, 1932).

საბჭოთა სახელმწიფოს ფორსირებული მშენებლობის წლებში, ტოტალიტალური მმართველობის ჩამოყალიბების პერიოდში, თანდათანობით იცვლებოდა იდეოლოგიური ორიენტაცია და აქცენტი გადატანილი იქნა „მდგრად ოჯახზე“, რაც მიღწეულ უნდა ყოფილიყო იძულებითი და ადმინისტრაციული მეთოდებით. განქორწინება არ ითვლებოდა ადამიანთა პირადულ საკითხად. მიიჩნეოდა, რომ სიყვარული ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა განქორწინებას.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, 1936 წლის 27 ივნისს მიღებულ იქნა №65 დადგენილება, გრძელი სათაურით „აბორტების აკრძალვის, მშობიარე ქალების მატერიალური დახმარების გაზრდის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების დაწესების, სამშობიარო სახლების ქსელის გაფართოების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, ალიმენტების გადაუხდელობის გამო სისხლის სამართლის სასჯელის გაძლიერების და განქორწინებათა კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილებების შესახებ“ (https://www.economics). მიღებული დადგენილების თანახმად – თუკი ადრე განქორწინების მისაღებად საკმარისი იყო ერთი მეუღლის თანხმობა, ამ შემთხვევაში უკვე ორივე მეუღლის თანხმობა იყო სავალდებულო (Кощеев, 2010).

საზოგადოებრივი ცხოვრების ადმინისტრაციული როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით გადასინჯულ იქნა განქორწინების საკანონმდებლო საფუძვლები, ზემოაღნიშნული დადგენილებით გართულებულ იქნა ზოგიერთი პროცედურა. დაკანონდა მოქალაქის პასპორტში განქორწინების ფაქტის აღნიშვნა, ყოველი ხელახალი განქორწინების რეგისტრაციისათვის შემოღებულ იქნა ფულადი გადასახადი, რომლის ოდენობაც იზრდებოდა განქორწინებათა რაოდენობის შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით – ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, განქორწინება კიდევ უფრო გართულდა. განქორწინების მსურველებს ორი სასამართლო ინსტანცია უნდა გაევლოთ, წინასწარ ადგლობრივ გაზეთში ოფიციალური განცხადების გაკეთების შემდეგ (Борисов., Синельников, 1995). გატარებული ღონისძიება მე-2 მსოფლიო ომის უმძიმესი დემოგრაფიული დანაკარგებით იყო გამოწვეული. შედეგად მიღებულ იქნა ის, რომ თუ ომის წინა წელს განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 1‰-ს ტოლი იყო, აღნიშნული კანონის შედეგად 1950 წელს 0.1‰ -მდე შემცირდა (თოთაძე, 1999). განხილული მაჩვენებელი აღნიშნული ათწლეულის მეორე ნახევარშიც სტაბილურად დაბალი იყო. მისმა მნიშ-

ვნელობამ 1957 წელს 0.18‰ შეადგინა (Народное хозяйство..., 1972).

განქორწინებათა არსებული დრაკონული კანონი ი. სტალინის შემდგომ ე.წ. „ხრუშჩოვის დათბობის“ პერიოდშიც უცვლელად რჩებოდა. არსებული სტატუს-ქვო მ.ნაკაჩის გამოკვლევის მიხედვით (Nakachi, 2008) გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ნ. ხრუშჩოვი, რომელიც 1953 წელს გახდა სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1958 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პრაქტიკულად ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველ პერსონას წარმოადგენდა, სწორედ მის მიერ იყო ჩამოყალიბებული 1944 წლის ბრძანებულების ძირითადი დებულებები. ამ უკანასკნელის ცვლილება მხოლოდ 1965 წელს მოხერხდა, მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ. საქორწინო-საოჯახო სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად, მოხდა გადასვლა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებიდან მორალურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე (Кон, 1997).

განქორწინების სფეროში, თითქმის 1965 წლის დასასრულამდე იყო შენარჩუნებული არსებული ადამიანის უფლებათა შემზღუდველი კანონები. ცვლილებები დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 10 დეკემბრის N 4238-VI ბრძანებულებით – „სასამართლოებში განქორწინების საქმეთა განხილვის ზოგიერთი პროცედურის ცვლილებათა შესახებ“, რომლის მიხედვითაც მარტივდებოდა განქორწინების ორსაფეხურიანი პროცედურა. 1965 წელს საქართველოში 2221 განქორწინება დაფიქსირდა, შემდგომ 1966 წელს კი განქორწინებათა რაოდენობა პრაქტიკულად გაორმაგდა და 4396 შეადგინა (თოთაძე, 1999). განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 0.5‰-დან, 1.0‰-მდე გაიზარდა.

განქორწინების მაჩვენებლები საქართველოში ყოველთვის გამოირჩეოდა დაბალი მაჩვენებლებით. 1980-იანი წლების მიწურულს განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო ყოფილ სსრ კავშირში (იხ. ნახაზი 1).

პოსტსაბჭოთა საქართველოში განქორწინების სფეროში საინტერესო პროცესები განვითარდა. 1992-1999 წწ. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი მუდმივად კლებულობდა. 1998 და 1999 წლებში კი მისი უდაბლესი მნიშვნელობა დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ კოეფიციენტის ასეთი დაბალი მნიშვნელობა 1965 წლამდე არსებობდა, როდესაც კანონი განქორწინებების შესახებ მეტად მკაცრი იყო (იხ. ნახაზი 2).

ნახაზი 1



წყარო: Демографиеский ежегодник СССР 1990

ნახაზი 2



**აქ და შემდგომ, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის გარეშე 1993 და 1994 წლებიდან.*
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კრიზისულ ვითარებებში განქორწინებათა დინამიკის შესახებ მეცნიერებაში არ არის ერთიანი აზრი. მაგალითად, აშშ-ში 1970-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს განქორწინებულთა რაოდენობამ ყოველ ათას ადამიანზე გაანგარიშებით 5.3-ს მიაღწია, რაც სარეკორდო მაჩვენებელს წარმოადგენდა (Statistical abstract of the United States, 1970). ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, ამა თუ იმ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისების პერიოდში განქორწინებათა რაოდენობა მცირდება. რაც აიხსნება იმ ფაქტით, რომ ერთობლივი მეურნეობა მეუღლეებს საშუალებას აძლევს დაზოგონ ფინანსური რესურსები და შეინარჩუნონ მატერიალური კეთილდღეობა. მაგალითად 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში ესპანეთში, წინა წელთან შედარებით განქორწინებათა რაოდენობის 12%-ით შემცირებას, სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზით ხსნიან (Morán, 2009). მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა აშშ-იც, 2020 წელს განქორწინებათა აბსოლუტურმა რაოდენობამ 630.0 ათასი შეადგინა, რაც 120 ათasით ნაკლები იყო 2019 წელთან შედარებით (https://www.statista.com).

ჩვენი აზრით, საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაფიქსირებული განქორწინებების კლების ფაქტი, გარკვეულწილად, განქორწინების პროცედურასთან დაკავშირებული პრობლემებით უნდა აიხსნას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომლის შემოსავალიც საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა, უბრალოდ არ გააჩნდა სათანადო თანხები განქორწინების იურიდიულად გაფორმებისათვის. შესაძლებელია ითქვას, რომ ფაქტობრივი განქორწინებები აკუმულირებული იყო და მათი რაოდენობა ქვეყანაში ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთანავე მკვეთრად მოიმატებდა (მელაძე., წულაძე, 1997). აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნულ პერიოდში და შემდგომ მომიჯნავე წლებშიაც, სავარაუდოდ, საქართველოში ადგილი ჰქონდა განქორწინებათა აღურიცხაობის შემთხვევებს. 2001-2008 წწ. განხილული მაჩვენებელი კვლავ დაბალი იყო (1‰-ზე ნაკლები). 2009 წლიდან მიმდინარეობს განქორწინებათა მატების პროცესი (იხ. ცხრილი 1). უკანასკნელ წლებში უპრეცენდენტოდ გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა. 2022 წლის მონაცემებით (Divorce Rates in the World), განქორწინების ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველო მსოფლიოში მალდივების რესპუბლიკის (5.5‰) და რუსეთის (3.9‰) შემდგომ მესამე - მეოთხე ადგილს იყოფდა მოლდოვასთან ერთად (3.8‰). 2023 წელს განხილული მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა მისი მნიშვნელობა კვლავ ძალიან მაღალია (3.7‰).

ცხრილი 1

განქორწინებათა აბსოლუტური რაოდენობა და ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში 1990 – 2023 წწ.*

წლები	განქორწინებათა აბსოლუტური რაოდენობა	განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი	წლები	განქორწინებათა აბსოლუტური რაოდენობა	განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი	წლები	განქორწინებათა აბსოლუტური რაოდენობა	განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი
1990	7796	1.4	**2002**	1836	0.5	**2014**	9119	2.5
1991	7440	1.4	**2003**	1825	0.5	**2015**	9112	2.4
1992	4890	0.9	**2004**	1793	0.5	**2016**	9539	2.6
1993	3211	0.6	**2005**	1928	0.5	**2017**	10222	2.7
1994	3089	0.6	**2006**	2060	0.5	**2018**	10288	2.8
1995	2685	0.6	**2007**	2325	0.6	**2019**	11205	3.0
1996	2269	0.5	**2008**	3189	0.8	**2020**	7643	2.1
1997	2267	0.5	**2009**	4030	1.1	**2021**	10654	2.9
1998	1758	0.4	**2010**	4726	1.2	**2022**	14098	3.8
1999	1622	0.4	**2011**	5850	1.6	**2023**	13664	3.7
2000	1854	0.5	**2012**	7136	1.9			
2001	1987	0.5	**2013**	8089	2.2			

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი განქორწინების პროცესის უხეშ მაჩვენებელს წარმოადგენს, ვინაიდან იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაზე. განხილული პროცესის უფრო ზუსტი გაანგარიშებისათვის, გამართლებულია განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტის გამოყენება.

1995-2023 წწ. განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი მნიშვნელობები როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით გაზრდილია (იხ. ცხრილი 2). ორივე სქესის მიხედვით, განხილული კოეფიციენტების მნიშვნელობები განსაკუთრებითაა გაზრდილი 50-54 წლის ასაკობრივ ჯგუფებში (მამაკაცებში 11.1-ჯერ, ქალებში 13.9-ჯერ).

ცხრილი 2

განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 1995, 2015 და 2023 წლებში

ასაკობრივი ჯგუფი	1995		2015		2023	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
15-19	0.1	0.3	0.2	0.9	0.1	0.7
20-24	1.1	1.8	3.5	7.4	3.4	8.3
25-29	2.3	2.6	9.0	11.9	11.8	17.7
30-34	3.2	3.1	12.5	12.9	18.9	20.7
35-39	3.0	2.6	13.9	11.9	19.3	18.8
40-44	2.8	2.1	11.6	10.1	18.1	14.5
45-49	2.0	1.4	8.7	6.5	13.6	11.5
50-54	0.9	0.6	6.3	4.3	10.0	7.7
55-59	1.7	1.0	4.1	2.4	6.8	5.2
60+	1.2	0.6	4.7	1.8	9.8	5.1

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ორივე სქესის მიხედვით, 1995-2023 წწ. მნიშვნელოვნად გაიზარდა განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტები, რომლებმაც 2023 წელს მამაკაცებში 0.559, ხოლო ქალებში 0.552 შეადგინეს (იხ. ნახაზი 3).

ნახაზი 3



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ 1990 წლიდან მიმდინარეობდა განქორწინების ინდექსის კლება-მატების პროცესი (იხ. ნახაზი 4). უკანასკნელ წლებში განქორწინების ინდექსმა ძალიან მაღალ მნიშვნელობებს მიაღწია. 2023 წელს საქართველოში ყოველ 100 ქორწინებაზე 61 განქორწინება მოდიოდა.

ნახაზი 4



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

თანამედროვე ქართული საზოგადოება სულ უფრო ლოიალური ხდება განქორწინებების მიმართ. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ, 2011 და 2017 წლებში ჩატარებული გამოკვლევის „კავკასიის ბარომეტრი“, კითხვაზე – „ყოველთვის გამართლებულია თუ არა განქორწინება?“, 2011 წლის კვლევის მიხედვით იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც არასოდეს არ ამართლებდნენ განქორწინებას 47%-ს შეადგენდა, ხოლო ნეიტრალურად განწყობილთა წილი 20%-ის ტოლი იყო. 2017 წლის კვლევის თანახმად რესპონდენტთა პასუხები, შესაბამისად, 27 და 41%-ს შეადგენდა. განქორწინებას ყოველთვის გამართლებულად მიიჩნევდა გამოკითხულთა 5%. 2011 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3%-ის ტოლი იყო (https://caucasusbarometer 2011; https://caucasusbarometer 2017).

საგანგაშო ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში განქორწინებათა საერთო რაოდენობაში მაღალი იყო იმ ქორწინებათა წილი, რომლებიც სწრაფად (ერთ წლამდე) დასრულდა. 2023 წელს ამ უკანასკნელთა წილი 14.4%-ს შეადგენდა.

საქართველოში დაფიქსირებული განქორწინებების საერთო რაოდენობიდან 1995 წელს, თბილისზე განქორწიებათა 54.6% მოდიოდა. 2023 წელს დედაქალაქის წილი შემცირდა და 34.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ, სავარაუდოდ, 1995 წელს განქორწინებათა აღურიცხაობა არსებობდა – განსაკუთრებით რეგიონებში და თბილისის წილის გაზრდა ამ მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. 2023 წელს. აღრიცხვიანობის თვალსაზრისით, 1990-იან წლებთან თბილისის წილი შემცირდა (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

განქორწინების მაჩვენებლები საქართველოს რეგიონებში 1995 და 2023 წლებში

რეგიონი	განქორწინებების აბსოლუტური რაოდენობა		განქორწინებების წილი განქორწინებათა საერთო რაოდენობიდან (%)		განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი*	
	1995 წ.	2023 წ.	1995 წ.	2023 წ.	1995 წ.	2023 წ.
თბილისი	1465	4688	54.6	34.3	1.2	3.8
აჭარა	187	1054	7.0	7.7	0.5	2.9
გურია	31	355	1.2	2.6	0.2	3.4
იმერეთი	215	2285	8.0	16.7	0.3	5.0
კახეთი	114	965	4.2	7.1	0.3	3.2
მცხეთა-მთიანეთი	18	259	0.7	1.9	0.1	2.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	1	90	0.0	0.7	0.0	3.4
სამეგრელო ზემო სვანეთი	156	1507	5.8	11.0	0.4	5.1
სამცხე-ჯავახეთი	63	287	2.3	2.1	0.3	2.0
ქვემო ქართლი	309	1331	11.5	9.7	0.5	3.0
შიდა ქართლი	126	843	4.7	6.2	0.4	3.4

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

უახლოესი მონაცემებით (2023 წ.), განქორწინების ზოგადი კოეფიციენტების ძალიან მაღალი მნიშვნელობები ფიქსირდება სამეგრელო ზემო სვანეთისა (5.1‰) და იმერეთის რეგიონებში (5.0‰). აღნიშნული მაჩვენებლები 1.4-ჯერ აღემატება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

მოსახლეობის აღწერების მიხედვით, განქორწინების კორექტირებული კოეფიციენტების განხილვამ ორივე სქესის მიხედვით, მისი მატების ტენდენცია გვიჩვენა (იხ. ნახაზი 5). ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ქალების მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება მამაკაცების მაჩვენებლებს.

ნახაზი 5



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

განქორწინებათა რაოდენობა, გარკეულწილად, განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ შობადობის დონეს, განსაკუთრებით კი როდესაც ეს უკანასკნელი დაბალი მნიშვნელობებით ხასიათდება. განქორწინებები ამცირებს ქორწინებაში მყოფი ქალების წილს, რის გამოც ბუნებრივია მცირდება შობადობაც (მელაძე, 2002).

განქორწინებებით გამოწვეული შობადობის დანაკარგების გაანგარიშებებისათვის, საბაზო მონაცემებად, მოსახლეობის აღწერის მიხედვით დაფიქსირებული ქვეყნის მოსახლეობის საქორწინო მდგომარეობაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ვისარგებლებთ საქართველოს მოსახლეობის ბოლო (2014 წ.) აღწერის მონაცემებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს 60635 ბავშვი დაიბადა, ჩვენი გაანგარიშებით განქორწინებათა დაუყოვნებელი აღდგენის ან მათი არარსებობის შემთხვევაში, სავარაუდოდ, უნდა დაბადებულიყო 63877 ბავშვი. სხვაობა ამ ორ რიცხვს შორის 3242 ბავშვს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში 5.1%-ით ნაკლები ბავშვი დაიბადა, ეს უკანასკნელი, საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი დანაკლისია (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

შობადობის ფაქტობრივი და სავარაუდო ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში 2014 წელს

ასაკობრივი ჯგუფი	აბსოლუტური მონაცემები		ასაკობრივი კოეფიციენტები	
	საქსტატი	სავარაუდო*	საქსტატი	სავარაუდო*
15-19	5579	5703	51.5	53.2
20-24	19131	19839	144.7	151.6
25-29	18257	19347	131.3	139.5
30-34	11398	12286	86.5	93.0
35-39	4941	5354	38.9	42.3
40-44	1148	1253	9.2	10.0
45-49	181	95	0.7	0.8
ჯამი	60635	63877	შჯკ** = 2.31	შჯკ** = 2.45

**გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*
*** შჯკ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი.*
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შობადობის სავარაუდო ასაკობრივ კოეფიციენტებზე გაანგარიშებული შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.45-ის ტოლია, აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელს 2.31-ის ტოლი იყო.

დასკვნა

თანამედროვე გლობალურ დემოგრაფიულ მოლენათა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენას განქორწინებათა მატება წარმოადგენს. დღესდღეობით საზოგადოება განქორწინების ფაქტს აღარ აღიქვამს, როგორც სოციალურ დევიაციას, შესაბამისად, ლოიალურია მისადმი დამოკიდებულებაც.

უკანასკნელი 40-45 წლის მანძილზე, დასავლეთის ქვეყნებში განქორწინებათა გლობალურ პროცესებში, ყოველ ათას მცხოვრებზე განქორწინების კლების პროცესი ფიქსირდება. საქართველოში პროცესები დიამეტრულად განსხვავებული სცენარით მიმდინარეობს. საქმის არსი დასავლეთის ქვეყნებში იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები შედარებით ნაკლებად შედიან ქორწინებაში და სულ უფრო მეტი ადამიანი ანიჭებს უპირატესობას პარტნიორთან თანაცხოვრებას, რაც, განშორების შემთხვევაში, იურიდიული და სხვა სახის პრობლემების პრაქტიკულად არარსებობას განაპირობებენ.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა. 2004 წლიდან, 2019 წლის ჩათვლით საქართველოში მიმდინარეობდა განქორწინებების მატების პროცესი. 2019 წელს 11.2 ათასი განქორწინება დაფიქსირდა, რაც უპრეცენდენტო მოვლენას წარმოადგენდა. 1990 წელს ქვეყანაში 7.8 ათასი განქორწინების ფაქტი აღირიცხა და ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა 5424.4 ათასის ტოლი იყო. 2019 წელს მოსახლეობამ 3723.5 ათასი შეადგინა. 2020 წელს COVID-19-ის გლობალური პანდემიის გამო განქორწინებათა რაოდენობა 7.6 ათასამდე, შემცირდა, რასაც იუსტიციის სახლის შეზღუდვით მუშაობამაც შეუწყო ხელი. უახლოესი მონაცემებით – 2023 წელს განქორწინებათა რაოდენობამ 13.7 ათასი შეადგინა. დღესდღობით მსოფლიო მასშტაბით საქართველოში განქორიწინებების მაჩვენებელი ყოველ ათას მცხოვრებზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

მიუხედავად განქორწინების სფეროში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებისა, საქართველო დღემდე რჩება ტრადიციული კულტურის ქვეყანად, რაც თავისთავად ოჯახის სტაბილურობას გულისხმობს. ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მასალები არ იძლევა განქორწინების ურთულესი პროცესის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას. განქორწინებათა სიღრმისეული შესწავლისათვის, აუცილებლობად მიგვაჩნია სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება საქართველოს მასშტაბით, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ზუსტი მეცნიერული დასკვნების გაკეთება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბექაია მ. (1980). ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები. თბილისი, გვ. 75.
2. თოთაძე ა. (1999) საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბილისი, გვ. 297, 298.
3. მელაძე გ. (2002). განქორწინებათა გავლენა შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკაზე// ჟ. „დემოგრაფია“, №1 (5), გვ. 84-88.
4. მელაძე გ., წულაძე გ. (1997). საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, გვ. 64-65.
5. მელაძე გ. (2013). საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, გვ. 8.
6. მეტრეველი ვ. (2014). ქართული სამართლის ისტორია. თბილისი, გვ. 360.
7. საქართველოს კანონი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი // https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=131

8. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 414, აღწ. 2, დოკ. 3, ფურცელი 529.
9. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II (1997). ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი 1. თბილისი, გვ. 401.
10. ჯორბენაძე ს. (1957). საბჭოთა სამართალი. თბილისი, გვ. 110.
11. Борисов В.А., Синельников А.Б. Семья и демографические тенденции. М., 1995. С. 39.
12. Всесоюзная перепись населения 1926 года. т.48, Тбилиси, 1932. С. 242-245.
13. Демографиеский ежегодник СССР 1990. М., 1990. С. 220-227.
14. Кощеев А.В. Расторжение брака по советскому законодательству // Право, 2010 С. 76 .file:///C:/Users/admin/Downloads/rastorzhenie-braka-po-sovetskomu-zakonodatelstvu.pdf
15. Кон И.С. Сексуальная культура в России: клубничка на берёзе. М., ОГИ. 1997. С. 118.
16. Народное хозяйство ГССР. Тбилиси, 1972. С. 33.
17. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897. т.66, Кутайсская губерния. СПб., 1906.
18. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897. т.69, Тбилисская губерния. СПб., 1906.
19. Синельников А. Брачность и рождаемость в СССР. М., 1989. С. 63.
20. Becker G. Assortative Mating in Marriage Markets // Besker G. A Tretise on the Falily. Cambridge, London: Harvard Unoversity Press, 1991, ch. 4, p. 108-134.
21. Bramlett, M. D., & Mosher, W. D. Cohabitation, marriage, divorce, and remarriage in the United States. Vital and Health Statistics, 23(22). Hyattsville, MD: National Center for Health Statistics. 2002.
22. Davis K. Wives and Work: The Sex Role Revolution and Its Consequences // Population and Development Review. Vol. 10, No. 3, Sep., 1984. Published by: Wiley on behalf of Population Council https://www.jstor.org/stable/i307514.
23. Divorce Rates in the World: Divorce Rates by Country. 15.07.2024 // https://divorce.com/blog/divorce-rates-in-the-world/
24. Heaton, T. B. Factors contributing to increased marital stability in the United States. Journal of Family Issues, 23, 2002. P. 392–409.
25. Hager Kelly. Dickens and the Rise of Divorce. The failed –Marriage Plot and the Novel Tradition. Published by Ashgate Publishing Company. Burlington, USA. 2010, p.33.
26. https://www.economics.kiev.ua/download/ZakonySSSR/data04/tex16511.htm
27. https://caucasusbarometer.org/ge/cb2011ge/JUSDVRS/
28. https://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/JUSDVRS/
29. https://www.statista.com/statistics/195939/number-of-divorces-in-the-united-states-since-1981/#statisticContainer).
30. Morán Carmen. Crisis económica ha disminuido los divorcios / El País de España. 17 de septiembre de 2009. https://www.elespectador.com/mundo/europa/crisis-economica-ha-disminuido-los-divorcios-article-161960/
31. Nakachi M. Replacing the Dead: The Politics of Reproduction in the Postwar Soviet Union, 1944-1955. PhD dissertation, University of Chicago. 2008.
32. Pomeroy R. (2023). A surprising explanation for the global decline of religion ნანახია 27 ივნისი, 2024.
https://bigthink.com/the-present/a-surprising-explanation-for-the-global-decline-of-religion/
33. Private Act of Parliament, given Royal Assent on 11 April 1670 (ციტირებულია ნაშრომიდან Kha H. The Reform of English Divorce Law: 1857–1937. The University of Queensland in 2017. P. 17).
34. Raupp E. Milton on divorce: it all comes down to freedom // Caucasus Journal of Milton Studies. Vol. 3, Issue 1. March 2024. PP. 1-9.
35. Statistical abstract of the United States: National, Data Book and Guide to Sources. Washington, Volume XVI. P. 1031. 1970.
36. White, L. K. Determinants of divorce: A review of research in the eighties. Journal of Marriage and the Family, 52. 1990. P. 906–908.

მთიანი რეგიონების ტურისტულ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი

(თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

მანანა ალადაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
Manana.aladashvili@gmail.com

მაია ხეჩიკაშვილი
ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
გეოგრაფიის დოქტორი
maiakhechikashvili@hotmail.com

ინეზა ვაწაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი,
ტურიზმის დოქტორი
Ina.vatsadze@tsu.ge

აბსტრაქტი

მთიანი რეგიონების განვითარება, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, ტურიზმზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიოს და, მათ შორის, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური პროფილის ფორმირებაში, განსაკუთრებული გავლენა მთიან რეგიონებზე შეიმჩნევა. ნაშრომში მოცემულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის ანალიზი, კონკრეტულად კვლევის შედეგები მეტყველებს იმის შესახებ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გამოუვლინდა ლიმიტირებული ხედვა ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში ჩართვის შესახებ. მუნიციპალიტეტის მთიანი ნაწილის მოსახლეობამ, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სირთულეებიდან გამომდინარე, აქტიურად მოახდინა ტურიზმის ინდუსტრიის სექტორებში ჩართვა, როგორც უფრო „ადვილი“ შემოსავლის წყარო. თუმცა, ტურისტების მიერ ადგილობრივ ნატურალურ პროდუქტებზე გამოჩენილმა ინტერესმა, ადგილობრივი ტურიზმის ინდუსტრიის სექტორი აიძულა ესარგებლა და განევითარებინა სოფლის მეურნეობა და სხვადასხვა დარგები, რამაც საგრძნობლად გაზარდა მომხმარებლების რიცხვი – ტურისტების სახით. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთიან რეგიონებში, განსაკუთრებით შეიმჩნევა სხვადასხვა დარგების ინტეგრირება ტურიზმის სექტორში. ქვეყნის მთიანი მუნიციპალიტეტების სასოფლო დასახლებების ეკონომიკური განვითარება, ძირითადად, ტურიზმზეა ორიენტირებული, მაგრამ ტურიზმის საჭიროებიდან გამომდინარე, მათ შეინარჩუნეს მომიჯნავე დარგების განვითარებაც, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და სხვა შინამეურნეობები, რომლებიც სწრაფად ინტეგრირდნენ ტურიზმში, რათა რეგიონებში არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტის ფონზე, თავად მოახდინონ ტურისტების საკუთარი ნაწარმით გამასპინძლება.

საკვანძო სიტყვები: *მთიანი რეგიონები, რეგიონული განვითარება, ტურისტული რესურსები, ტურიზმის მიწოდების ჯაჭვი*

PECULIARITIES OF TOURISM AND ECONOMIC DEVELOPMENT OF MOUNTAINOUS REGIONS

Manana Aladashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Lecturer at the Faculty of Economics and Business
Doctor of Business administarion
Manana.aladashvili@gmail.com

Maia Khechikashvili
St. Andrew the First-Called of the Georgian Patriarchate
Associate Professor of the Georgian University
Doctor of Geography
maiakhechikashvili@hotmail.com

Ineza Vatsadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Lecturer at the Faculty of Economics and Business
Doctor of Tourism
Ina.vatsadze@tsu.ge

Abstract

The development of mountainous regions, based on the data of the World Tourism Organization, is significantly dependent on tourism. The rapid development of tourism has played an important role in the formation of the economic profile of the regions of the world, including Georgia, and especially the impact is noticeable on the mountainous regions. The paper provides an analysis of the research conducted in Tetritskaro municipality, specifically the results of the research show that the local population has a limited vision of inclusion in the tourism supply chain. The population of the mountainous part of the municipality, based on the issues related to agriculture, has actively engaged in tourism industry sectors, which is increasingly "Easy" source of income. However, the interest shown by tourists in local natural products has forced the local tourism industry sector to take advantage and develop agriculture and other industries, which have significantly increased the number of consumers – in the form of tourists. In recent years, in the mountainous regions of Georgia, the integration of various industries in the tourism sector is especially noticeable. The economic development of the rural settlements of the mountainous municipalities of the country is mainly focused on tourism, But due to the needs of tourism, they also maintained the development of adjacent fields, such as agriculture and other households, which were quickly integrated into tourism, in order to entertain tourists with their own products in the background of the shortage of agricultural products in the regions.

Key words: *mountainous regions, regional development, tourism resources, tourism supply chain*

შესავალი

ტურიზმის განვითარებას საქართველოს მთიან რეგიონებში დიდი შესაძლებლობა აქვს, რაც გამოწვეულია ტურისტული რესურსების მრავალფეროვნებით. ტურიზმის საშუალებით შესაძლებელი ხდება მთიანი რეგიონების ეკონომიკური გამოცოცხლება. ბოლო ხუთი წლის ტურიზმის განვითარების ტენდენციებს თუ დავეყრდნობით, ტურისტული ნაკადების რაოდენობა მაღალმთიან რეგიონებში საკმაოდ გაიზარდა, რამაც გაზარდა მოთხოვნა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის ხელმისაწვდომობაზე. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიწყეს საკუთარი სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაკეთება, ხოლო ნაწილმა დაიწყო ტურიზმის მომიჯნავე სექტორებში ჩართვა.

თემის აქტუალობას და მიზანს წარმოადგენს ტურიზმის დახმარებით მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა და ტურიზმის განვითარებით სხვა თანმხვედრი დარგების ეკონომიკური გაძლიერების გამოვლენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვახდინეთ ტურიზმის მი-

წოდების ქსელისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შესწავლა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მივიჩნიეთ სტატისტიკური და რაოდენობრივი კვლევის მეთოდიკა. მონაცემების შეგროვება მოხდა უშუალოდ საკვლევ ლოკაციაზე – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. კვლევის დროს გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის წამყვანი სპეციალისტები, დარგის მუშაკები, ადგილობრივი განთავსების, კვების, აგროტურისტული და ღვინის საწარმოების მენეჯერები და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების წამომადგენლები. მიღებული მონაცემები და პრობლემისადმი სისტემური თუ სიტუაციური საკითხების მიმართულებით ჩატარებული კვლევის გარდა, ნაშრომის თეორიულ მეთოდოლოგიას წარმოადგენს, ტურისტული დანიშნულების ადგილების მართვის მიმართულებით გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წლიური ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

ძირითადი შედეგები

1. მთიანი რეგიონების განვითარების და ტურიზმის ხელშეწყობის საკითხთა ანალიზი

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO-ს) მიდგომით, მთიან რეგიონებში, ტურისტული დანიშნულების ადგილები, რომელიც განსაზღვრულ და შეზღუდულ გეოგრაფიულ სივრცეში – მთაგორიან სისტემებშია განთავსებული, გამორჩეული მახასიათებლებით - ლანდშაფტით, ტოპოგრაფიით, კლიმატით, ბიომრავალფეროვნებით (ფლორა და ფაუნა) ხასიათდება, რაც იძლევა დასვენებისა და სპორტული აქტივობების ფართო სპექტრს (UNWTO, 2023).

„მთის ტურიზმს აქვს ადგილობრივი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ცვლილებების სტიმულირების მაღალი პოტენციალი, სხვა ეკონომიკურ აქტივობებთან მისი კომპლემენტარობის გამო. ფართო მასშტაბურია მისი წვლილი მშპ-სა და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით“ (UNWTO, 2023).

თანამედროვე ურბანიზებულ სამყაროში, მთის ტურიზმის განვითარება აუცილებელია რეგიონების და ქვეყნების ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობების განვითარება-გაუმჯობესებისთვის. მთიან ზონებს უჭირავს დედამიწის ხმელეთის ზედაპირის 22%; აქ ცხოვრობს გლობალური მოსახლეობის 13%, ხოლო 14% - მათ უშუალო სიახლოვეს (Richins H. & Hull J., 2016).

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), სამთო პარტნიორობისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ ჩატარებულ სამთო ტურიზმის ღონისძიებებზე (მსოფლიო კონგრესი თოვლისა და მთის შესახებ ევრო-აზიის სამთო ტურიზმის მე-11 კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 2022 წ.-ის 23-25 მარტს) მიღებული ინფორმაცია (FAO & UNWTO, 2023) ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც შეიძლება ტურიზმმა შეასრულოს მთების ბუნებრივი და სულიერი მემკვიდრეობის, მთის ხალხების კულტურული მრავალფეროვნებისა და ტრადიციული პრაქტიკის შეფასებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთის ტურიზმი დაკავშირებულია ბუნებასთან და სოფლის ტურიზმთან. მთის ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი კვების სისტემების პოპულარიზაციასა და ადგილობრივ პროდუქტებზე ღირებულების მატების პროცესში. მთის ტურიზმის პოტენციალის გაცნობიერებით, ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის უნდა შეიქმნას ნაყოფიერი საფუძველი.

მთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის ამოქმედების გზებზე საუბრობს კ. ხმალაძე თავის ნაშრომში, სადაც მოცემულია კანონპროექტი, რომელიც საქართველოში მთიანი რეგიონების განვითარების ერთგვარი რეკომენდაციაა. კანონპროექტში დეტალურად არის მოცემული მთიან რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო აქტივობები და რეკომენდაციები როგორც საკანონმდებ-

ლო რეგულირების მიმართულებით, აგრეთვე ეკონომიკური აქტივობებისათვის განკუთვნილი (Khmaladze K., 2014).

ტურიზმი, საერთაშორისო დონეზე, განიხილება, როგორც მთიანი რეგიონის ეკონომიკური განვითარების ძირითადი საშუალება. რეგიონული განვითარების პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის და მისი ტერიტორიების თანაბარზომიერი და მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების პროცესს, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნისა და მისი ტერიტორიების სოციალური, ეკონომიკური და რესურსული პოტენციალის გამოყენებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია ტურისტული რესურსების არსებობა. სხვადასხვა სახის ტურისტული რესურსი, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული ტურისტული რეგიონისათვის, ქმნის ტურიზმის მიმართულებების განვითარების შესაძლებლობას. რეგიონებში ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას ტურისტული რესურსების პოტენციალი წარმოადგენს. ტურისტული რესურსის კონცეფცია ფართო ცნებაა. ტურიზმის საბაზისო განზომილება – ბუნებრივი რესურსები, გარემოს შემადგენელი კომპონენტებია. ნებისმიერი მარშრუტი წარმოდგენილია ტურისტული რესურსებით, რომლებიც მრავალფეროვანია და შერწყმულია ადამიანის და ბუნების მიერ შექმნილი სანახაობებით (Kharkheli M., 2014).

ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია კონკრეტულ რესურსებზე, გეოგრაფიულ ფაქტორებზე და ამა თუ იმ რეგიონის თვისებებზე. რეგიონის თვისებებში იგულისხმება ტერიტორიის სიდიდე, ბუნებრივი პირობები და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ ვაკეთებთ აქცენტს რეგიონული ტურიზმის განვითარებაზე, ამით შეიძლება მიღწეული იქნას არა მარტო რეგიონის, არამედ მთლიანად ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მაღალი დონე. რეგიონული ტურიზმი სტრუქტურითაც და შინაარსითაც ერთობ რთული ორგანიზებული სისტემაა, რომელიც რიგი ელემენტებისაგან ფორმირდება (რეკრეაციული რესურსები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური და პირადი უსაფრთხოება და ა.შ). აღნიშნული ელემენტები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და ტურისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტურიზმის განვითარებაში (Elizbarashvili N., Meesen H.,… 2018).

ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ასევე, პირდაპირი და არაპირდაპირი ელემენტები. პირდაპირი ელემენტები – ეს ტურიზმის ის არეებია, რომლებიც პირდაპირ კონტაქტში იმყოფება ტურისტებთან: გაყიდვები, განთავსება, ტრანსპორტირება, ტურისტული აქტივობები, ღირსშესანიშნაობები, სანახაობები და სხვა დაქვემდებარებული სერვისები. არაპირდაპირი ელემენტები ხშირად მოიხსენიება, როგორც დამხმარე არეები, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტი არ აქვთ ტურისტებთან, თუმცა მათ გარეშე ვერ იარსებებს ტურისტული ინდუსტრია, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა, გზები, აეროპორტები, კომუნიკაციები, საინფორმაციო (მაგ., საგზაო) ნიშნები, მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია, ელექტროენერგია, წყალი, დასუფთავების ინფრასტრუქტურა და ა.შ.

საქართველოსთვის ტურიზმის მიმართ რეგიონული მიდგომა, მიუხედავად მისი მცირე ტერიტორიისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალის მნიშვნელობის მხრივ, საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომლის მიმართაც ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა. მას თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო, ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია. ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ტურიზმი და კურორტები ერთმანეთისაგან განუყოფელია. არ არსებობს ტურისტული მარშრუტი, რომელიც გვერდს უვლიდეს კურორტსა და საკურორტო ადგილს, ისევე როგორც, წარმოუდგენელია კურორტებზე დასვენება, მკურნალობა და გაჯანსაღება, რომელსაც არ ავსებდეს კულტურულ-შემეცნები-

თი, ბუნების გაცნობითი და სხვა სახის ტურიზმის მიმართულებები.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, მთიანი რეგიონების განვითარება პირდაპირ ტურიზმზეა დამოკიდებული. მაგალითად, ალპებში ტურიზმის განვითარებამ მთლიანად შეცვალა და გააუმჯობესა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე და ღარიბი სოფლის დასახლება გადაკეთდა მდიდრულ და პრესტიჟულ კურორტად (WTO, 2023). სწორედ ამიტომ, საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა რესურსების სწორი დაგეგმვა, მართვა და გამოყენება.

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტურისტულ რესურსს ფლობს. განსაკუთრებით მდიდარია საქართველოს მთიანი რეგიონები ბუნებრივი რეკრეაციული რესურსებით, რაც ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობად მიიჩნევა. საქართველოს ტერიტორიის 54% მთებს უკავია, მთებში ყველა ტიპის რესურსის მნიშვნელოვანი ნაკლებობაა, ერთადერთი გამონაკლისი შესაძლოა ბუნებრივი რესურსები - იყოს, რაც ქმნის მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარებისათვის მაღალ პოტენციალს (Elizbarashvili N., Meladze G.,… 2018).

ქვეყნის მთიანი რეგიონების თანაბარი განვითარების და მისი მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2015 წელს შეიმუშავა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. ამავე წელს შეიქმნა მთის განვითარების ფონდი.

მთის კანონით, მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობისთვის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და მთაში ეკონომიკური საქმიანობის წახალისების მიზნით, დაწესდა როგორც სოციალური, ისე საგადასახადო შეღავათები. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ, მთაში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის მოტივით, 1999 წლის ივნისში მიღებულ იქნა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. მისი ძირითადი მიზნები იყო – მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა; მოსახლეობის მთიდან მიგრაციის შეჩერება და ხალხის დაბრუნება რეგიონებში; ასევე, ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის განვითარება და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა და ა.შ. მაგრამ, აღიშნული კანონი მხოლოდ „კეთილი სურვილების“ გამოხატულებად დარჩა მთავრობის მხრიდან და მას რეალურად ეფექტი საერთოდ არ მოუტანია და ვერც მოიტანდა, რამდენადაც ის არ იყო გამაგრებული ფინანსური რესურსით, რომლის განხორციელება დამოუკიდებლად მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებს შეუძლიათ.

ბოლო რამდენიმე წელია, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მოსახლეობასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ავსტრიისა და შვეიცარიის მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, საქართველოს უნიკალური მაღალმთიანი რეგიონების განვითარების, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების აღმოფხვრის რეალური შესაძლებლობები გაჩნდა.

2019 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა პირველი ოთხწლიანი სტრატეგია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების შესახებ. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 2019-2024 წლებში 240 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსებას მაღალმთის ეკონომიკური განვითარების, სოციალური პირობებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

შესაბამისი პოლიტიკის გატარებასა და პროგრამების შექმნის საფუძველზე, 2015 წლიდან დღემდე, საქართველოს 1,800-მდე დასახლებას მაღალმთიანი სტატუსი მიენიჭა, ხოლო მთიან რეგიონებში არაერთი ადგილობრივი პროექტი განხორციელდა, მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით (MEPA, 2019).

შვეიცარიასა და ავსტრიასთან თანამშრომლობით, UNDP აფინანსებს სათემო და მუნიციპალურ ინიციატივებს, რომლებიც ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება. შვიდმა მუნიციპალიტეტმა უკვე მიიღო 195,000 აშშ დოლარის დაფინანსება ადგილობრივი განვითარების ინიციატივებისთვის, რომელთა შედეგებით 65,000-ზე მეტი მაცხოვრებელი ისარგებლებს. ამასთან, 266,000 აშშ დოლარის დაფინანსება გადაეცა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ცხრა მაღალმთიან მუნიციპალიტეტში, ხოლო მათ მიერ განხორციელებული პროექტების მოსარგებლეთა რიცხვმა 4,000-მდე ადამიანი შეადგინა (საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო (GNTA, 2023)).

მთის კანონის მიღებიდან 5 წლის განმავლობაში, კანონით დადგენილი სოციალური შეღავათებით სარგებლობს 237 158 ბენეფიციარი, რისთვისაც გაცემულია 224 მილიონ 623 ათას 430 ლარი, ხოლო საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს 424 საწარმო. ამასთან, 2016 წლიდან, მთის განვითარების ფონდისათვის გამოყოფილია 106 მილიონი ლარი, საიდანაც დაახლოებით 50 მილიონი ლარი მოხმარდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, 2 მილიონ 900 ათას ლარზე მეტი – ელექტროენერგიის გარეშე არსებულ დასახლებებში 207 ოჯახისათვის მზის პანელების შეძენა-დამონტაჟებას, 2,5 მილიონი ლარით კი დაფინანსდა მთიან დასახლებებში სკოლა-პანსიონების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისკენ არის მიმართული ქვეყნის სექტორული სტრატეგიები. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის და დაბის კატეგორიის დასახლებებია. მათი განვითარების პოლიტიკას განსაზღვრავს „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2020“, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და სოციალური მდგომარეობის მუდმივ ზრდას.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება, შეიძლება ითქვას, ორი მხარის პრეროგატივაა – სახელმწიფო და მეწარმე. სწორედ ამ ორი მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მიღწევა. მეტი ვალდებულება აკისრია პირველ მხარეს, რათა უზრუნველყოს ქვეყანაში ნორმალური სამეწარმეო საქმიანობის გარემოს შექმნა. მეორე მხარემ კი სახელმწიფოს დახმარებით უნდა მართოს საკუთარი ბიზნესი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები აისახა 2019-2022 წლებისათვის საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში (GNTA, 2023).

2019-2022 წლებში, რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) განხორციელების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადდა 2019 და 2022 წლის მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიც ითავალისწინებდა, ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული პოლიტიკის მიზნების განხორციელებისას მიღწეული შედეგების ანალიზის უზრუნველყოფას, არსებული ნაკლოვანებების, პრობლემებისა და სუსტი მხარეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენას, ხოლო, მეორე მხრივ, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას. 2019-2022 წლების პროგრამაში წარმოდგენილია ახალი ღონისძიებები და განმახორციელებელი უწყებები. ასევე, ახალი პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 4.5-ჯერ აღემატება 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამისას; შესაბამისად, მასშტაბისა და შინაარსობრივი თვალსაზრისით, მრავალი განსხვავებიდან გამომდინარე, 2015-2017 წლების პროგრამის საბოლოო შედეგები, ახალი დოკუმენტის საბაზისო მაჩვენებლებად არ იქნა გამოყენებული. 2022 წელს რეგიონული განვითარების პროგრამაზე სულ დაახლოებით 4.387 მლრდ ლარი იყო გამოყოფილი, რაც 573 მლნ ლარით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე დოკუმენტში გაცემულია ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სფეროში აეროპორტების ინფრასტრუქტურის განვითარების, მაღალ-

სიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, კერძოდ, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ინტერნეტში ჩართვის მიმართულებით, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუმჯობესებისთვის, ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფის (მათ შორის მიკრო-გრანტების პროგრამის განხორციელება) ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების მხარდაჭერის მიზნით იმ ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობასა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერას, საინვესტიციო პროექტების წახალისებას და მათი განხორცილების ხელშეწყობისთვის რეგიონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ინდუსტრია სწრაფი ტემპით ვითარდება, მაინც მთიან რეგიონებში შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია (საქართველოს სოციალურ მომსახურებათა სააგენტო (SSA, 2023)).

ბოლო ხუთი წლის ტურიზმის განვითარების ტენდენციებს თუ დავეყრდნობით, ტურისტული ნაკადების რაოდენობა მაღალმთიან რეგიონებში საკმაოდ გაიზარდა, რამაც გაზარდა მოთხოვნა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის ხელმისაწვდომობაზე. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიწყეს საკუთარი სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაკეთება, ხოლო ნაწილმა დაიწყო ტურიზმის მომიჯნავე სექტორებში ჩართვა (Khartishvili L., 2018).

დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიან დასახლებათა უმრავლესობა განსაკუთრებით მიმზიდველია გარე და შიდა ტურიზმისთვის. მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის კურორტებით, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით. 20-ზე მეტ მაღალმთიან დასახლებას მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი. ტურისტული პოტენციალის დასახლებებში სახელმწიფოც და კერძო სექტორიც არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას და საინვესტიციო პროექტს ახორციელებს, მათ შორის, გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია. შედეგად, უმჯობესდება დასახლებების იერსახეც, რაც ტურისტული პოტენციალის კიდევ უფრო გაზრდის შესაძლებლობას იძლევა და გაცილებით მეტი შიდა, თუ საქართველოს ფარგლებს გარედან შემოსული ტურისტის მოზიდვას განაპირობებს.

თუ გადავხედავთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, 2023 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას, მონახულებული რეგიონების მიხედვით, ლიდერობს თბილისი – 34%, აჭარა – 22.9%, მცხეთა-მთიანეთი – 15,2%, ქვემო ქართლი – 7,4%, სამცხე-ჯავახეთი – 6.2%, იმერეთი – 3.7%, კახეთი – 3.6% და სხვა რეგიონები – 2.5%, საიდანაც გამოიკვეთა, რომ თბილისისა და აჭარის შემდეგ მაღალმთიან რეგიონებზე მოთხოვნა იზრდება (GNTA, 2023).

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტულ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებული გამოკვლევების საფუძველზე, შესწავლილ იქნა რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები. პირადი ინტერვიუების საშუალებით, რომელიც - განხორციელდა აღნიშნული მუნიციპალიტეტის დარგის წამყვან სპეციალისტებთან, გამოიკვეთა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ფარგლებში განვითარდა სრულიად ახალი ტურისტული სერვისები, ხოლო, ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის, რომელიც ძირითადად სოფლის მეურნეობას ეხება, ჩანაცვლება მოხდა ტურიზმის ბიზნესით.

კვლევისას გამოვლინდა, რომ შინამეურნეობებმა, რომლებმაც მასობრივად შეამცირეს,

ან მთლიანად მიატოვეს სოფლის მეურნეობა (მაგალითად, მეცხოველეობა, რძის პროდუქტების, კარტოფილისა და ლობიოს წარმოება), მსგავსი რისკი, ძირითადად, ტურიზმის ხარჯზე გასწიეს. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, სოფლის მეურნეობის წარმოების მხოლოდ ის მასშტაბი შეინარჩუნა, რაც საკმარისია მათი საოჯახო მოხმარებისა და ტურისტების გამასპინძლებისათვის და, როგორც წესი, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ინვესტირებას, ისევ ტურიზმში ახორციელებენ. რესპონდენტების აზრით, ასეთი რადიკალური გადასვლა ტრადიციულიდან, ახალ ეკონომიკურ სექტორში, გამოწვეულია გაცილებით მეტი შემოსავლის მიღებით, შედარებით ნაკლებ დროში და ნაკლები ფიზიკური რესურსის დანახარჯის ფასად. საჯარო სექტორში დასაქმებული რესპონდენტები, რომელთაც განზრახული აქვთ ტურიზმის ბიზნესში ინტეგრირება, თვლიან, რომ სოფლის მეურნეობა შრომატევადი და მძიმე ფიზიკური საქმიანობაა და ისინი ერთდროულად ტურიზმში და სოფლის მეურნეობაში საქმიანობას არარეალურ კომბინაციად მიიჩნევენ. მოსახლეობის მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით წინსვლის კიდევ ერთ არახელსაყრელ მიზეზად დასახელდა, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დაშორება დასახლებული პუნქტებიდან და მცირე ზომის (ჩვეულებრივ 1 ჰა-ზე ნაკლები) სამეურნეო ტერიტორიები, დიდი ფრაგმენტაციის გამო. მსგავსი გამოწვევების პირობებში, გამოკითხულთა უმრავლესობამ, სოფლის მეურნეობის ხარჯზე, ტურიზმისაკენ მიმართეს ყველა რესურსი, მათ შორის, არსებული ბუნებრივი და ადამიანური კაპიტალი.

აღსანიშნავია, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შინამეურნეობების წარმოება, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სინთეზირებული მიდგომით წარმართეს, კერძოდ, განავითარეს აგროტურიზმი.

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სივრცისთვის დამახასიათებელია ბუნებრივ-კლიმატური მიკროზონების სიმრავლე, რაც ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნებას, ხოლო ადგილობრივ პროდუქტს პიკანტურობას და უნიკალურობას მატებს. ასე მაგალითად, სოფელი ჯორჯიაშვილისთვის დამახასიათებელია გამორჩეული გემოვნური თვისებების პომიდორი, რომელიც მხოლოდ ამ მიკროზონისთვის არის ნიშანდობლივი. ეს პროდუქტი, სოფელ ჯორჯიაშვილის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და ხალხური სელექციის გზით იძენდა სპეციფიურ გემოს. გამორჩეულია აგრეთვე, ცნობილი „შალლა“ (ასურეთული შავი), რომელიც გერმანელმა ოტო შალლმა ვაზების ძველი ტრადიციული ჯიშების სელექციით გამოიყვანა.

მეორე მხრივ, ისტორიულად, თეთრიწყაროში ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი: ქართველები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – ეკომიგრანტები, თავისი კულტურული თავისებურებებით, ადათ-წესებითა და სამზარეულოთი. თუ ამას ადგილობრივების სტუმართმოყვარეობასაც დავამატებთ, თეთრიწყაროში აგროტურიზმის განვითარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

ევროკავშირისა და UNDP-ის მხარდაჭერით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ხორციელდება საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთშერწყმას აგროტურიზმის ფარგლებში, აღნიშნული პროექტის განხორციელების ვადაა – 2022-2025 წლები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა, რადგან აქ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობენ. იგი მდებარეობს სასაზღვრო რეგიონში, რაც იძლევა ტურისტების მოზიდვის და რელიგიური ტურიზმის განვითარების კარგ პოტენციალს. აღნიშნული მიმართულების ტურიზმის სხვა მიმართულებებთან (როგორიც არის აგროტურიზმი) ჩართვა, კიდევ უფრო გაზრდის რეგიონის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს (Alaverdov E., 2021).

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ნაწილი, რომლებიც აგროტურიზმის ეკონომიკურ აქტივობებს ახორციელებენ, აღნიშნავენ,

რომ მათთვის ტურიზმი არის შემოსავლის ძირითადი წყარო, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი შინამეურნეობა დაკავებულია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კომერციალიზაციით. ამის საპირისპიროდ, ადგილობრივებისთვის, რომლებიც წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით იღწვიან და მათთვის ახალია ტურიზმის ბიზნესი, შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რადგან წლებია თანამშრომლობენ პროდუქციის მიმღებებთან და, ასევე, გააჩნიათ სოციალური კონტაქტები მათივე პროდუქციის მომხმარებლებთან. შინამეურნეობებით დაკავებული მოსახლეობა აღნიშნავს, რომ კვების ობიექტები, ძირითადად, ხელმისაწვდომია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში, და თუ საოჯახო სასტუმროებს ცენტრალურ დასახლებებში არ ექნებათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა, ტურისტებს გარე სივრცეებშიც უპრობლემოდ გაუმასპინძლდებიან. სრულიად სხვა რეალობას აქვს ადგილი ცენტრის შემოგარენ, ან შორეულ, პერიფერიულ სოფლებში, სადაც ხელმისაწვდომი არაა გარე კვების ობიექტები და რის გამოც, ტურისტების გამასპინძლება უნდა მოხდეს საოჯახო სასტუმროებში. სხვა ფაქტორებთან ერთად, ზემოთ აღნიშნული ფაქტი არის მიზეზი, ცენტრს მოშორებულ დასახლებებში, რატომ ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობა, შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობა და, ამავე დროს, განავითაროს ტურისტული მომსახურებაც. გარდა ამისა, საოჯახო სასტუმროების მფლობელებმა დაიწყეს საკუთარი სასოფლო პროდუქტების გამოყენება ტურიზმის ბიზნესში, რაც ზრდის მათ მოგებას და დამატებით იზიდავს ტურისტებს. კვლევამ გამოავლინა, რომ ტურიზმის სეზონურობიდან გამომდინარე, რესპოდენტების გარკვეულმა ნაწილმა შეინარჩუნა სოფლის მეურნეობა; სწრაფადმზარდია მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე; ტურიზმმა შექმნა აშკარა პოტენციალი, სუსტად, ან თუნდაც სრულიად განუვითარებელი სოფლის მეურნეობის დარგების აღსადგენად/განსავითარებლად, როგორიცაა: კალმახის, ფრინველისა და პირუტყვის ფერმები. კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ გააჩნიათ გარკვეული მოტივაცია, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, გააფართოვონ თავიათი სამეურნეო საქმიანობა და აწარმოონ ისეთი მოთხოვნადი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, როგორიცაა: ფრინველის ხორცი, კურდღლის ხორცი, მწვანილეული, ხორბალი, ველური მცენარეები, ლობიო, ნიორი და ა.შ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა ტურიზმის განვითარებისადმი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია და იცვლება მათი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით. გამოვლინდა სხვადასხვა მიზეზები, რის გამოც შინამეურნეობებმა მოახდინეს თავიანთი საქმიანობების ტრანსფორმაცია. ისინი, ვინც ტრადიციული საქმიანობის (ძირითადად, სოფლის მეურნეობის) ხარჯზე გადავიდნენ ტურიზმზე, აღნიშნავენ, რომ ტურიზმმა მოახდინა შემოსავლების გენერირება მოსახლეობაში, გააააქტიურა ადგილობრივები (განსაკუთრებით ახალგაზრდები), შექმნა სამუშაო ადგილები და ა.შ. ადგილობრივი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გააუქმა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, სამაგიეროდ ააშენეს კოტეჯები და იმდენად შეამცირეს სოფლის მეურნეობა, რომ მთლიანად დამოკიდებული გახდნენ ტურიზმზე. აღასნიშნავია, რომ ტურიზმმა მნიშვნელოვნად გაზარდა ფასებიც. ინტერვიუებზე დაყრდნობით, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც, ძირითადად, პერიფერიულ დასახლებებში ცხოვრობს და ამჟამად ტრადიციულ საქმიანობას ეწევა (ძირითადად, სოფლის მეურნეობა), გამოხატავს დიდ ინტერესს, ტურისტულ ბიზნესში ჩართვის მიმართულებით. მათი უმრავლესობა, კატეგორიულად გამორიცხავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეჩერებას ტურიზმში ჩართვის შემთხვევაში. ნაწილი რესპოდენტების განზრახვაა, ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, აგროპროდუქტების წარმოების მოცულობის შემცირება – საარსებო მინიმუმამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობის უმეტესობა მზადაა შეაჩეროს მეურნეობის კომერციალიზაცია, რადგან, თუ ტურიზმი განვითარდება, მათი მთავარი მოტივა-

ცია სასტუმრო სახლების მართვა, მხოლოდ ოჯახისთვის და ტურისტებისთვის საკმარისი პროდუქციის წარმოება იქნება. ამავე დროს, არსებობს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომლებიც მზად არიან, ტრადიციული საქმიანობა – სოფლის მეურნეობა, მთლიანად ტურიზმით ჩანაცვლონ.

კვლევის თვისებრივი მონაცემები შეგროვდა 9 რესპონდენტისგან, რომლებიც წარმოადგენენ ტურიზმის ინდუსტრიას, მათ შორის განთავსების, კვების და სხვადასხვა აგროტურისტული ობიექტებიდან. მათ მოგვაწოდეს ინფორმაცია თავიანთი ეკონომიკური საქმიანობისა და მიწოდების ჯაჭვთან მათი ეკონომიკური კავშირის შესახებ.

ჩვენ მიერ შეგროვებული ნარატივებიდან იკვეთება, რომ რესპოდენტთა 91,7%-ს ტურიზმში ჩართვამ მოუტანა დამატებითი ეკონომიკური სარგებელი. გამოკითხულთა 33,3%, ძირითადად, ტურისტებს სთავაზობენ კვებას, 41,7% – ღამისთევას, 16,7% – აგროტურისტულ მომსახურებას, 10% – სხვადასხვა სახის სუვენირებს.

„იყენებდნენ თუ არა ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს“, გამოკითხულთა 58,3%-მა უპასუხა – „დიახ“, 8,4% – „არა“ და 33,3 % – ნაწილობრივ. როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ძირითადად, სარგებლობენ აგროტურისტული ობიექტები, ხოლო სასტუმროები და კვების ობიექტები კი, ადგილზე საკმარისი რაოდენობის პროდუქტების არარსებობიდან გამომდინარე, თბილისის ბაზრებიდან ახდენენ მათ შეძენას.

კითხვაზე – „ფიქრობთ, რომ ტურიზმსა და სხვა დარგებს შორის ურთიერთკავშირს შეუძლია გახადოს რეგიონი გამორჩეული, უფრო მიმზიდველი და უფრო მეტად ცნობადი“, გამოკითხულ რესპოდენტთა 100%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუ რომელი დარგების განვითარებას უწყობს რეგიონში ტურიზმი, რესპოდენტების 50% -მა სოფლის მეურნეობა, 8,3%-მა მრეწველობა, 8,3%-ნა ინფრასტრუქტურა, 16,7%-მა ჯანდაცვა და 10%-მა განათლება დაასახელა. კითხვაზე – „რა ნედლეულს იყენებთ ტურისტების კვებითი მომსახურებისათვის“, რესპოდენტების 41,7% – საკუთარ კარ-მიდამოში მოწეულს და საკოლმეურნეო ბაზარზე შეძენილს, 25% – დამოკიდებულია იმპორტირებულ პროდუქტზე, 16,7% – საკუთარ კარ-მიდამოზე მოწეულს და მეზობლისაგან შეძენილს, 16,7% – არ სარგებლობს კვებითი მომსახურებით. კითხვაზე – „ხორციელდება თუ არა ძირითადი სამეურნეო საქმიანობები საკარმიდამო ტერიტორიაზე“, რესპოდენტეთა 58,3%-ს გააჩნიათ სხვადასხვა ექსკლუზიური საქმიანობები სოფლად ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებისათვის, 33,3%-ს შინაური ცხოველების მოვლა/შენახვა, 8%-ს სიმინდის მოყვანა, 10%-ს კარტოფილის მოყვანა. კვლევებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში, სოფლის მეურნეობის პროდუქტები უფრო ინტენსიურად არის ინტეგრირებული. მოსახლეობის 100% მიიჩნევს, რომ ტურიზმს უდიდესი როლი გააჩნია რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში და რომ მნიშვნელოვანია ტურიზმის სხვა დარგებთან ურთიერთკავშირი.

კვლევებმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისათვის არსებობს გზები, რომელიც გააუმჯობესებს მთიანი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას:

- საჭიროა, მთიან რეგიონებში და, მათ შორის საკვლევ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, აქტიურად დაინერგოს და განვითარდეს ახალი ინოვაციური ტურისტული პროდუქტი, ადაპტირებული სეზონურ პერიოდებზე;
- შეიქმნას და თვისობრივად განვითარდეს ახალი ტურისტული მარშრუტები, მაღალმთიანი სოფლების შინამეურნეობების ჩართულობით;
- მოხდეს ადგილობრივი კადრების გადამზადება, რადგან რთულია დედაქალაქიდან ან მეზობელი რეგიონებიდან კადრების მოზიდვა;
- მაღალმთიანი რეგიონებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური დახმარება, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმთან ერთად მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ვინაიდან, თანამედროვე ტუ-

რისტი დიდწილადაა ორიენტირებული ავთენტურ პროდუქტებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მთიან რეგიონებში ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების წინსვლას (აგროტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, კულინარიული ტურიზმი და სხვ.) და ტურისტთა ნაკადების მოზიდვის პროცესს.

დასკვნა

საქართველოს მთიან რეგიონებში, ტურიზმის განვითარების მაღალი შესაძლებლობა განპირობებულია ტურისტული რესურსების მრავალფეროვნებით. ტურიზმი, მთიანი რეგიონების ეკონომიკური გამოცოცხლების ერთგვარი საფუძველია. მაღალმთიან დასახლებებში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულია, რადგან იგი ქმნის დასაქმების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარების ნაკლები საშუალება არსებობს.

ბოლო ხუთი წლის ტურიზმის განვითარების ტენდენციებს თუ დავეყრდნობით, ტურისტული ნაკადების რაოდენობა მაღალმთიან რეგიონებში საკმაოდ გაიზარდა, რამაც გაზარდა მოთხოვნა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის ხელმისაწვდომობაზე. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიწყეს საკუთარი სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაკეთება, ხოლო ნაწილმა დაიწყო ტურიზმის მომიჯნავე სექტორებში ჩართვა.

ჩვენ მიერ შესწავლილ მთიან მუნიციპალიტეტში, ადგილი აქვს ისეთი სამეურნეო მიმართულებების მზარდ განვითარებას, რომლებიც მანამდე არ წარმოადგენდნენ აღნიშნული რეგიონის მცხოვრებთა შემოსავლების ძირითად წყაროს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის და დაბის ტიპის დასახლებებში შეიცვალა ეკონომიკური ვექტორი, შემცირდა სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის ხვედრითი წილი და ადგილობრივების ძირითადი შემოსავლის წყაროდ ტურიზმი იქცა. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები, ძირითადად, პირდაპირი მიწოდების ჯაჭვით არიან დაკავშირებული მომწოდებლებთან, თუმცა იგი არ ატარებს მუდმივ ხასიათს, ვინაიდან მიმწოდებლებს პრობლემას უქმნის სეზონური ხასიათი და ტურიზმის სექტორი მეტწილად დამოკიდებულია ადგილობრივ საკოლმეურნეო ბაზრებზე. საკვლევი მუნიციპალიტეტის პერიფერიული დასახლებების ეკონომიკური განვითარება თითქმის მთლიანად ტურიზმზეა ორიენტირებული, მაგრამ ტურიზმის საჭიროებიდან გამომდინარე, შენარჩუნდა მომიჯნავე მეურნეობის დარგები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა და სხვა შინამეურნეობები, რომლებიც სწრაფად ინტეგრირდნენ ტურიზმში, რათა მუნიციპალიტეტში არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეფიციტის ფონზე, თავად მოახდინონ ტურისტების საკუთარი ნაწარმით გამასპინძლება.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ერთი ეკონომიკური წყაროდან მეორეზე გადასვლის პროცესს. ტურისტული ნაკადების მატებამ კი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების საჭიროების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alaverdov E. (2021). The Development of Islamic Knowledge and Tourism in the Modern Life of North Caucasus. In E. A. Bari, Global Development of Religious Tourism (pp. 11-24). Hershey: IGI Global.
2. Elizbarashvili N., Meesen H., Khoetsiani A., Meladze G., Koler T. (2018). Sustainable Development of Mountainous Regions and Resource Management. Tbilisi: Dani.
3. Elizbarashvili N., Meladze G., Meesen H., Khoetsiani A., Koler T. (2018). Sustainable Development of Mountainous Regions. Tbilisi: Dani.
4. Khmaladze K. (2014). Ways of Activating the Tourist Potential of Mountainous Regions. 5th International Scientific-Practical Conference, Tourism: Economy and Business (pp. 122-125). Batumi : Batumi Shota Rustaveli State University.

5. Kharkheli M. (2014). The Potential of Tourism Development in the Mountainous Regions of Georgia. V International Scientific-Practical Conference, Tourism: Economy and Business (pp. 151-153). Batumi: Batumi Shota Rustaveli State University.
6. Khartishvili L. (2018). Rural Tourism Support Guide for Family Guest House Owners. Tbilisi: Elkana;
7. Richins H., Hull J. (2016). Mountain Tourism: Experiences, Communities, Environments and Sustainable Futures. Wallingford: CABI International.
8. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2019). 2021-2027 strategy of agriculture and rural development of Georgia. Tbilisi: Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
9. Organization W. T. (2023, 04 26). Tourism's Potential for Mountain Ecosystems and Communities Outlined in New Report. Retrieved from *https://www.unwto.org/news/tourism-s-potential-for-mountain-ecosystems-and-communities-outlined-in-new-report*.
10. Food and Agriculture Organization of the United Nations and World Tourism Organization. (2023). Understanding and Quantifying Mountain Tourism. Retrieved from https://www.fao.org/documents/ca-rd/en?details=CC5210EN
11. *https://gnta.ge/ge/* – საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო.
12. *http://ssa.gov.ge/*- საქართველოს სოციალური მომსახურებიის სააგენტო.

ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გელა სანდოძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი
Gela.sandodze@gmail.com

სანდრო გოგოლაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
san.gogoladze@gmail.com

ანოტაცია

საქართველოში არაერთი ჰიდროელექტროსადგურის (ჰესის) მშენებლობის და ექსპლოატაციის პროექტი ხორციელდება. ენერგოდამოუკიდებლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რეგიონის და ქვეყნის განვითრებისთვის.

სტატიაში განხილულია იმ ზემოქმედების შეფასება, რომელსაც ახდენს ასეთი საქმიანობა გარემოზე. ასევე, განხილულია ჰესების მშენებლობის და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების ტიპები, გამოკვეთილია ის გეოგრაფიული (ლანდშაფტური) ობიექტები, რომლებიც ექცევა ზემოქმედების ქვეშ, განსაზღვრულია ის ძირითადი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, რომელიც უკავშირდება მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: *ჰიდროელექტროსადგურები, ზემოქმედება, შეფასება, კანონმდებლობა, ექსპლოატაცია*

ENVIRONMENTAL IMPACT ASSESSMENT OF CONSTRUCTION AND OPERATION OF HYDROELECTRIC POWER STATIONS

Gela Sandodze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ph.D at Geography
Gela.sandodze@gmail.com

Sandro Gogoladze
PhD student In Geography
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
san.gogoladze@gmail.com

Annotation

Construction and operation projects of many hydroelectric power stations (HPPs) are being implemented in Georgia. Energy independence is vital for the development of the region and the country.

The article discusses assessing the impact of such activities on the environment. The types of environmental impact of the construction and operation of HPPs are also discussed, the geographical (landscape) objects that are affected are highlighted, and the main environmental legislation related to the implementation of a similar type of project is defined.

Keywords: *Hydropower plants, impacts, assessment, legislation, operation*

შესავალი

საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში 2019 წლის მარტის მდგომარეობით, 93 ელექტროსადგურია ჩართული, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 4207.17 მგვტ-ია. 93 ელექტროსადგურიდან 87 ჰიდროელექტროსადგურია (ჯამური დადგმული სიმძლავრით- 3260.07 მგვტ), 5 – თბოელექტროსადგური (ჯამური დადგმული სიმძლავრით – 926.40 მგვტ) და 1 ქარის ელექტროსადგური (დადგმული სიმძლავრით – 20.70 მგვტ) (https://www.interpressnews.ge).

საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის (www.gse.com.ge) მონაცემების (2022) მიხედვით, საქართველოს ენერგოსისტემის ჰიდროსადგურების დადგმული ჯამური სიმძლავრე 3359,4 მგვტ-ია. მათ შორის: წყალსაცავიანი ჰესები 1993.1 მგვტ; სეზონური ჰესები 1100.1 მგვტ; მცირე ჰესები (<15 მგვტ) 266.1 მგვტ.

განარჩევენ ჰიდროელექტროსადგურების სამი სახის სქემას:

1. კაშხლური სქემა, როცა დაწნევა იქმნება მხოლოდ კაშხლით;
2. დერივაციული სქემა, როცა დაწნევა იქმნება დერივაციის საშუალებით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს არხის, გვირაბის ან მილსადენის სახით;
3. შერეული სახის კაშხლურ-დერივაციული სქემა, როცა წნევა იქმნება როგორც კაშხლით, ისე დერივაციით (კოდუა ნ., 2017).

ჰესისთვის გათვალისწინებულია წყალმიმღების, სადაწნეო მილსადენის, ჰესის შენობის და გამყვანი არხის მშენებლობა.

საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით:

- 2-დან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლოატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას;
- 5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლოატაცია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს; აღნიშნული საქმიანობა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონით რეგულირდება, ასევე, განეკუთვნება გარემოსთვის განსაკუთრებით საშიშ საქმიანობას.

სამეცნიერო ლიტერატურის, განხილული დოკუმენტაციის და სხვადასხვა ინტერნეტწყაროს განხილვისა და დამუშავების საფუძველზე, ანალიზი გაუკეთდა ჰესების გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოყოფილია შეფასების გეოგრაფიული ასპექტები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გეოგრაფიის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის გადაუდებელ საჭიროებას ამ კუთხით (როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის სახით).

ჰესების მშენებლობის და ექსპლოატაციისას გარემოზე პოტენციური ზემოქმედება შესაძლებელია იყოს ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე/ობიექტებზე და გამოიწვიოს შემდეგი პროცესები: კლიმატის, ცოცხალი სამყაროს (ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე), დაცული ტერიტორიების, ლანდშაფტის ბუნებრივი მახასიათებლების (იერსახე, ისე კომპონენტშორისი კავშირები) განადგურება, ცხოველთა მიგრაციის გზების გადაკეტვა, გეოდინამიკური პროცესების პროვოცირება და სტიმულირება, ჰაერის, ნიადაგებისა და წყლის დაბინძურება (წარმოქმნილი ნარჩენებით, სამშენებლო ტექნიკის მოძრაობით, და სხვ.), განსახლება და ბიზნესი, მიწათსარგებლობის ფორმების ცვლილება, არქეოლოგიურ და კულტურულ ობიექტებზე ზემოქმედება, ინფრასტრუქტურის ობიექტების გადატანა, ტექნოგენური ავარიების საფრთხის ზრდა, კარიერების და ნაგავსაყრელების წარმოქმნა (საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და ინერტული ნარჩენების სახით) (ელიზბარაშვილი. 2016).

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის შედარებითი, კარტოგრაფიული, სტატისტიკური, ასევე, გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის მეთოდები. განხილულ იქნა ჰესების მშენებლობასთან და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, რომლებიც მომზადებუ-

ლია სხვადასხვა ორგანიზაციისა და სპეციალისტის მიერ. 2020-2023 წლებში ჩვენ მიერ განხილულ იქნა არაერთი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია (23 დოკუმენტი).

ძირითადი შედეგები

დოკუმენტაციის და კანონმდებლობის განხილვისას გამოიკვეთა ის ინფორმაცია, რომელიც შეფასებული უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში:

- **დაგეგმილი საქმიანობის (რეგიონული, ადგილობრივი) მდებარეობა;**
- **დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შეფასება და ანალიზი** (არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი, გაცემული გადაწყვეტილების პირობების ცვლილების დროს ამ ცვლილებების საჭიროების დასაბუთება, ჰესის შენობის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ანუ რატომ კეთდება ეს ჰესი კონკრეტულად დაგეგმილ ტერიტორიაზე და არა სხვაგან);
- **დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა** (პროექტის ზოგადი აღწერა, სათავე ნაგებობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ინფრასტრუქტურული ობიექტები, მოსახლეობის უსაფრთხოება წყალსაცავის ექსპლოატაციის პერიოდში), წყლის ტრანსპორტირება (ინფორმაცია წყალმიმღების მიმყვანი გვირაბის სადაწნეო მილსადენის, სქემა და ა.შ.);
- **სამშენებლო სამუშაოების აღწერა** (მშენებლობის ვადები სამშენებლო ბანაკები სარეკულტივაციო სამუშაოები, მისასვლელი გზები და ა.შ.);
- **წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა** (მშენებლობის და ექსპლუოატაციის ეტაპზე წყალარინების და წყალმომარაგების საკითხები);
- **ჰესის მშენებლობის და ექსპლუოატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობა** (საყოფაცხოვრებო სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა);
- **დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების რაიონის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა:**

1. **კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები** (საპროექტო ტერიოტორიის კლიმატური მახასიათებლები, რეგიონულიი და ადგილობრივი კლიმატი, ჰავის ტიპი, ჰაერის ტემპერატურა, ნალექები, ჰაერის ტენიანობა, ქარის მიმართულება, სიჩქარე და მისი განმეორებადობა, მზის რადიაცია, აორთქლება);
2. **რელიეფი და გეოლოგიური გარემო** (თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესები და სეისმურობა, ზოგადი თავისებურებანი, მთავარი ოროგრაფიული ერთეულები, ჰესის და მისი კომუნიკაციების განთავსების ჰიფსომეტრული მაჩვენებლები, ზოგადი გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური თავისებურებანი, ჩატარებული გეოლოგიური კვლევის შედეგები);
3. **ჰიდროლოგია** (საპროექტო მდინარის მოკლე ჰიდროლოგიური დახასიათება, ჩამონადენის და ხარჯის შესახებ ინფორმაცია, ისტორული მონაცემები, წყალდიდობების რისკების შეფასება, დატბორვის ანალიზი, ნალექ-ჩამონადენის ანალიზი, დაგეგმილი წყალსაცავების ექსპლოატაციის საპროექტო მონაცემები, ჰიდროლოგიური ქსელი, ძირითადი არტერიები და მათი ჰიდროლოგიური მახასითებლები (სიგრძე, ვარდნა, ხარჯი, ჩამონადენის სეზონური განაწილება, სისტემა, წყალშემკრები აუზის ფართობი, საზრდოობა და სხვ.), წყლის ხარისხი და მოთხოვნა):
4. **ნიადაგები** (ტიპები, სიმძლავრე, შედგენილობა და სხვა);
5. **ბიოლოგიური გარემო** (ფლორა, ჭრას დაქვემდებარებული ტყე-მცენარეები, დაცული სახეობები, ფაუნა, იქთიო ფაუნა, ძირითადი სახეობები, ძირითადი ეკოსისტემები, საბინადრო ადგილები, მიგრაციის გზები);
6. **ძირითადი ლანდშაფტები** – განიხილება ტიპები, ტრანსფორმაცია, ზემოქმედება, პოტენციალი, მდგრადობა, ფუნქციები;

7. **დაცული ტერიტორიები;**
8. **სოციალურ-ეკონომიკური გარემო** (ზოგადი მიმოხილვა, მოსახლეობა და დემოგრაფია, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკა, ჯანდაცვა და განათლება, ინფასტრუქტურა, ისტორია, კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმი).

გარემოზე ზემოქმედება და შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას უნდა იყოს განხილული საქმიანობის განხორციელების არეალის ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის ანალიზი და ობიექტის შესაძლო ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნული მახასიათებლების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მიდგომით, თუმცა ყველაზე გავრცელებულია სამ (დაბალი, საშუალო, მაღალი) ან ხუთდონიანი (არანაირი, ძალიან მცირე, დაბალი, საშუალო, მაღალი) შეფასება სხვადასხვა ფაქტორის (ხასიათის, ალბათობის, არეალის, ხანგრძლივობის, მდგრადობის) მიხედვით (ელიზბარაშვილი ნ., 2016).

- **ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე** (მშენებლობის და ექსპლუოატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში გაფრქვევის ყველა წყაროსთან მიმართებაში, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ემისიის გაანგარიშება (მობილური,დისპერსიული და სტაციონალური);
- **წყალსაცავის ზემოქმედება ადგილობრივ და რეგიონულ კლიმატზე;**
- **ხმაურის გავრცელება მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპზე;**
- **ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.** საშიში გეოდინამიკური პროცესები;
- **ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე** (ბუნებრივი ხარჯების ცვლილება და სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯი, ნატანის გარეცხვა);
- **ზემოქმედება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე;**
- **ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე** (ზემოქმედება ფლორასა და ჰაბიტატებზე, ცხოველთა სამყაროზე, იქთიო ფაუნაზე);
- **ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე;**
- **ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენებზე, გრუნტის დაბინძურება;**
- **ზემოქმედება ლანდშაფტზე;**
- **ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება** (ნარჩენების კლასიფიკაცია, ნარჩენების მართვის პროცესის აღწერა, ნარჩენების შეგროვების მეთოდოლოგია, ნარჩენების რაოდენობა და სხვა);
- **ზემოქმედება სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე** (მიწის საკუთრებაზე და გამოყენებაზე ადგილობრივ რესურსებზე, დასაქმებასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები, წვლილი ეკონომიკაში, ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები);
- **ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;**
- **კუმულაციური ზემოქმედება მშენებლობის და ოპერირების ეტაპზე.**

ზემოქმედების თითოეული პუნქტის შეფასებაში უნდა იყოს აღწერილი ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კომპონენტზე – ლანდშაფტზე ზემოქმედება გზშ-ს ანგარიშებში, ძირითადად, განხილულია, როგორც ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება და აღწერილია, როგორც ვიზუალური ხედების ცვლილება. ლანდშაფტზე ზემოქმედება განხილული უნდა იყოს კომპლექსურად, მისი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით (სანდოძე, 2024).

ასევე, ხშირად წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია, რომელიც არ არის კავშირში დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიასთან.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ჰესებთან დაკავშირებული კანონმდებლობა (ჰესებთან დაკავშირებული კანონების და ტექნიკური რეგლამენტების სივრცითი რეგულაციები.

ანგარიშებში ხშირად წარმოდგენილია მხოლოდ კანონების ჩამონათვალი და არ არის აღნიშნული განსაზღვრული რეგულაციები რა კავშირშია დაგეგმილ საქმიანობასთან. შესაბამისად, ხშირად გვხვდება ისეთი კანონები, რომლის რეგულაციაც არ ეხება ჰესთან დაკავშირებულ საქმიანობას.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია განსაზღვროთ იმ ძირითადი გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის დაცვას. ესენია:

- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ;
- კანონი წყლის შესახებ;
- კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ;
- კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ;
- ნარჩენების მართვის კოდექსი;
- ტყის კოდექსი და სხვა.

ჰესების მშენებლობისას, ასევე, გასათვალისწინებელია ამ კანონებიდან გამომდინარე კანონმდებარე აქტებით განსაზღვრული რეგულაციები. მაგალითად, ნიადაგის მოხსნა დასაწყობების და რეკულტივაციის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება, ჩამდინარე წყლების ზღვრულად ჩაშვების პროექტი, და ა.შ.

ცხრილი 1

ჰესებთან დაკავშირებული კანონების და ტექნიკური რეგლამენტების სივრცითი რეგულაციები

ტექნიკური რეგლამენტი	**რეგულირება**	**საქმიანობის ზემოქმედების ტიპი**	**ზემოქმედების რეცეპტორები**	**კანონი**
„საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“	ზედაპირული წყლების მდგომარეობა	**მშენებლობის ეტაპზე:** წყლის დაბინძურების რისკები (ნარჩენებით, საწვავით); **ექსპლოატაციის ეტაპზე:** ნამუშევარი ზეთების ჩაღვრის რისკები; ნარჩენებით დაბინძურება;	წყალი	წყლის შესახებ
„ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“	ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაცის წესი	**მშენებლობის ეტაპზე:** ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ნარჩენების არასწორი მართვა; **ექსპლუოატაციის ეტაპზე:** ნამუშევარი ზეთების დაღვრის რისკები; ნარჩენებით დაბინძურება;	ნიადაგი	ნიადაგის დაცვის შესახებ
„წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ	ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლების საზღვრების დადგენის წესი	**მშენებლობის ეტაპზე:** წყალდაცვით ზოლში ხეების ჭრა; სხვადასხვა სამშენებლო და ინფრასტრუქტურული შენობების მოწყობა;	წყალი, ნიადაგი; ფლორა;	წყლის შესახებ
სასმელი წყლის შესახებ	სასმელი წყლის ხარისხი, სანიტარიული მოთხოვნები	**მშენებლობის ეტაპზე:** სასმელი წყლის (ბუნებრივად გამოყენებული) ხარისხის გაუარესება; **ექსპლოატაციის ეტაპზე:** ნარჩენების მოხვედრა	წყალი, მოსახლეობა,	საზოგადოებრივი ჯანრთელობის შესახებ

„საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“	აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები	**მშენებლობის ეტაპზე:** სამშენებლო ოპერაციები **ექსპლოატაციის ეტაპზე:** ჰიდროაგრეგატი, სატრანსპორტო ოპერაციები	მოსახლეობა, ფაუნა (ცხოველები)	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
„კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“.	ნარჩენები	**ჰესის მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპზე** ჰესის მშენებლობის და ექსპლუოატაციის ეტაპზე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა;	წყალი, ჰაერი, ნიადაგი	ნარჩენების მართვის კოდექსი
„სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“.				
ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“				
„ნარჩენების ტრანსპორტირების წესის შესახებ“				
„ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“				
„სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ				
„მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“				

ჰესების მშენებლობისას, ასევე, მნიშვნელოვანია იმ პირობების და ვალდებულებების დაცვა, რაც გზშ-ს ანგარიშში აქვს გაწერილი. ასეთი შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგი, წყლის, ნიადაგის სინჯების აღება დაბინძურების შემთხვევაში (მაგალითად, ნავთობპროდუქტებით), ცხელ ამინდებში გრუნტიანი გზების მორწყვა მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები (მაგალითად, ნარჩენების სეპარირება, სახიფათო ნარჩენების მართვა და ა.შ) (სანდოძე, 2024).

განხილულ გზშ-ს ანგარიშებში, მაგალითად, ბოდორნის არსებულ წყალსაცავზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტი (2017), ლანდშაფტებზე ზემოქმედებაზე მწირი ინფორმაციაა წარმოდგენილი. ძირითადად აღწერილია ლანდშაფტის ტიპები, რომლებიც გავრცელებულია საპროექტო რეგიონში, ასევე, განხილულია ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება, სადაც აღნიშნულია რამდენად მოახდენს/ან არ მოახდენს გავლენას დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე. შესაბამისად, ლანდშაფტზე, როგორც გეოგრაფიული გარსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტზე, საჭიროა მოხდეს ჯეროვანი შეფასება და გზშ-ს ანგარიშებში წარმოჩენილი იყოს ლანდშაფტური დაგეგმარების პრინციპები და მისი როლი ბუნებაში.

დასკვნა

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშების და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის დროს გამოიკვეთა ზემოქმედების რამდენიმე ძირითადი ტიპი. ესენია:

1. ზემოქმედების ობიექტები – ლანდშაფტი, ატმოსფერული ჰაერი, ნიადაგი, წყალი, ბიომრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მოსახლეობა, ასევე, მნიშვნელოვანია საქმიანობით გამოწვეული ნარჩენების ზემოქმედება ზემოაღნიშნულ ობიექტებზე;
2. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: ტერიტორიის აღწერა, ბუნებრივი და სოციალური ფონი, გეოგრაფიული ინფორმაცია (კლიმატი, წყლები, ნიადაგის ტიპები და ა.შ.);
3. საკანონმდებლო ნაწილი ძირითადი გარემოსდაცვითი კანონების ის ნუსხაა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის დაცვას. ესენია: საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, კანონი წყლის შესახებ, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, ნიადაგის დაცვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსი, ტყის კოდექსი და სხვა;
4. პირობებსა და ვალდებულებებს განეკუთვნება: გარემოსდაცვითი მონიტორინგი, წყლის, ნიადაგის სინჯების აღება დაბინძურების შემთხვევაში (მაგალითად, ნავთობპროდუქტებით), ცხელ ამინდებში გრუნტიანი გზების მორწყვა მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები (მაგ., ნარჩენების სეპარირება, სახიფათო ნარჩენების მართვა და ა.შ.).

კვლევის პერსპექტივები

ჰესების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების განხილვისას წარმოჩინდა გეოგრაფიული მეცნიერების ძალიან დიდი მნიშვნელობა ამ პროცესში. განხილულ ანგარიშებში მრავლადაა წარმოდგენილი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეოგრაფიულ ინფორმაციას. თუმცა, მთელი რიგი პარამეტრები (ლანდშაფტის სრუქტურის და მდგომარეობის განსაზღვრა, კომპონენტთაშორის კავშირების შესაძლო ტრანსფორმაცია, ლანდშაფტის მდგრადობა, ლანდშაფტის პოტენციალი და ფუნქციები; კლიმატური მახასიათებლები – ქარი, ყინვები, ნალექები, მზის რადიაცია და სხვ.), პრაქტიკულად არ განიხილება. ამგვარი შეფასება მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლას და წარმოჩენას, რაც პერსპექტიული სამეცნიერო ამოცანაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ. (2016). გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, თბილისი.
2. სანდოძე გ. (2024). გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული საფუძვლები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.
   (წყარო: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Gela_Sandodze.pdf)
3. კოდუა ნ. (2017). „ჰიდროელექტროსადგურები“, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი.
4. GWP ბოდორნის არსებულ წყალსაცავზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტი, 2017.
5. https://www.interpressnews.ge
6. www.gse.com.ge

ევროპაში მიწათსარგებლობის ევოლუციის თავისებურებანი და თანამედროვე გამოწვევები

ლადო გრიგოლია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
Ladogrigolia2@gmail.com

აბსტრაქტი

ევროპაში მიწათსარგებლობის თავისებურებანი ათასწლეულების განმავლობაში განიცდიდა მუდმივ ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეული იყო როგორც ადამიანის საქმიანობით, ასევე ბუნებრივი გარემოს ცვლილებით. ევროპის ლანდშაფტების იერსახე შეიცვალა როგოც სასოფლო-სამეურნეო ზემოქმედებით, ისე ინდუსტრიული თუ ტექნოლოგიური რევოლუციებით და თანამედროვე ურბანიზაციის გავლენით.

ნაშრომში განხილულია მიწათსარგებლობის ევოლუციის თავისებურებანი ევროპაში, გაანალიზებულია თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები. აქ დღის წესრიგში დგას ეკონომიკური ზრდის და გარემოს მდგრადობის დაბალანსების საჭიროება, იმ გამოწვევების იდენტიფიცირების აუცილებლობა, რასაც აწყდება მიწათსარგებლობის თანამედროვე ევროპული პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: *მიწათსარგებლობა, მდგრადი განვითარება, ევროპული გამოცდილება, ისტორია, მიწის ფონდი*

PECULIARITIES OF LAND USE EVOLUTION IN EUROPE AND MODERN CHALLENGES

Lado Grigolia
PhD student In Geography
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
ladogrigolia2@gmail.com

Abstract

The features of land use in Europe have undergone continuous transformation for millennia, which was caused by both human activities and changes in the natural environment. The appearance of European landscapes has been changed by agricultural influences, industrial and technological revolutions and the influence of modern urbanization.

The paper discusses the peculiarities of the evolution of land use in Europe, analyzes modern trends and perspectives. Here on the agenda is the need to balance economic growth and environmental sustainability, the need to identify the challenges faced by modern European land use policy.

Keywords: *Land use, sustainable development, European experience, history, land fund*

შესავალი

მიწათსარგებლობაში იგულისხმება იმ ქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი გარემოს გარდაქმნას ეკონომიკური, სოციალური, ურბანული თუ კულტურული დანიშნულებით. მიწათსარგებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ დინამიკაზე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მოსახლეობას უზრუნველყოფს საკვებით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით. მიწის ინდუსტრიული და კომერციუ-

ლი გამოყენება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, ინვესტიციებს და უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურას, ქმნის სამუშაო ადგილებს. ურბანული მიწათსარგებლობა პირდაპირ კავშირშია განსახლებასთან, ურბანულ ტრანსპორტთან და საჯარო სივრცეებთან, რაც, საერთო ჯამში, ხელს უწყობს დასახლებულ პუნქტებში ცხოვრების ხარისხის ზრდას.

მიწათსარგებლობას თან ახლავს სხვადასხვაგვარი გამოწვევებიც. ურბანული განვითარება ხშირად სოფლიდან ქალაქში მასიურ მიგრაციას იწვევს, რაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წესის და საქმიანობის რეგრესს. განსაკუთრებით მწვავედ ამ პრობლემის წინაშე მაღალმთიანი დასახლებები დგანან. ინტენსიურმა ურბანიზაციამ, რომელიც არ არის დარეგულირებული, შესაძლოა განავითაროს ჭარბი ურბანული ინფრასტრუქტურით გამოწვეული დისკომფორტი. მსგავს პროცესს თან ახლავს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ზრდა. მიწათსარგებლობის დაგეგმარების პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების და ბუნებრივი გარემოს მდგრადობაზე. ტყეების გაჩეხვა საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას, უარყოფითად მოქმედებს ნიადაგზე, ხელს უწყობს გეოდინამიკური პროცესების განვითარებას, ზრდის ნახშირორჟანგს ატმოსფეროში, რაც კიდევ უფრო ამწვავებს კლიმატის გლობალურ ცვლილებას. დროთა განმავლობაში, მსგავსი პროცესები იმოქმედებს არა მხოლოდ ბუნებრივ გარემოზე, არამედ ადამიანების კეთილდღეობაზეც, რადგან მცირდება სასმელი წყლის რესურსი, ნაყოფიერი ნიადაგი და სხვა ბუნებრივი რესურსები.

ევროპა ხშირად მოიხსენიება, როგორც ეფექტური მიწათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის ლიდერი რეგიონი. ევროპულ ქვეყნებში მიღებული საკანონმდებლო ჩარჩოები უზრუნველყოფს ეფექტური მიწის მართვის პრიორიტეტების განსაზღვრას, რაც გულისხმობს სარწყავი არეალების, მწვანე სივრცეების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტურ განვითარებას. ევროპის სივრცითი განვითარების დაგეგმარება (ESDP), მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდასა და ეკოლოგიურ სტაბილურობას შორის წონასწორობის დაცვას. აქ იგულისხმება ურბანული არეალების გავრცელების შემცირება. სტიმულირდება ინიციატივები, რომლებიც ორიენტირებულია განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაზე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, რაც მიზნად ისახავს ევროპის მიწათსარგებლობის ევოლუციის შესწავლას. კვლევის პროცესში გაანალიზდა ისტორიული წყაროები, სხვადასხვა დოკუმენტები და ანგარიშები, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ მიწათსარგებლობის გრძელვადიან ცვლილებებს ევროპაში, გამოვავლინოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება მდგრადი განვითარების პრობლემატიკას.

არსებულ მონაცემთა და სტატისტიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით, შეიქმნა ევროპის მიწათსარგებლობის ევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩო. მიწათსარგებლობის ტრანსფორმაციის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირებითა და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა მიწათსარგებლობის ტენდენციების ანალიზი და მასთან დაკავშირებული გამოწვევების პროგნოზირება.

შედეგები

1. მიწათსარგებლობის ისტორიული ეტაპების ძირითადი თავისებურებანი, ევროპაში პრეისტორიული და ადრეული სასოფლო-სამეურნეო პერიოდები (ძვ.წ 10,000 – ძვ.წ 1000)

პრეისტორიულ პერიოდში, ევროპა, ძირითადად, დაფარული იყო ტყეებით, მდელოებით და ჭაობებით, ხოლო ადამიანის საქმიანობა შეზღუდული იყო ნადირობით, შემგროვებლობით და მცირე მასშტაბის მებაღეობით. დაახლოებით 10,000 წლის წინ მომხდარი ნეოლითური რევოლუცია მნიშვნელოვანი გარდატე-

ხის წერტილი იყო, რადგან ადრეული ადამიანური საზოგადოებები გადავიდნენ მომთაბარე ცხოვრების წესიდან დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო თემებში. ამ პერიოდის სოფლის მეურნეობა ხასიათდებოდა ხე-ტყის მასალის მოპოვებით, სადაც მასალა საწვავად გამოიყენებოდა, ხოლო გაჩეხილი ტერიტორია კულტივაციისთვის მზადდებოდა (Zvelebil, 2001).

ამ პერიოდში მოხდა ცხოველების მოშინაურება, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მიწათსარგებლობაში. სოფლის მეურნეობაზე გადასვლამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო მიწის ზრდა და ბუნებრივი ლანდშაფტების ტრანსფორმაცია. ტყეების გაჩეხვამ მოახდინა ველების და საძოვრების გახსნა, რაც ფუნდამენტურად ცვლიდა კონტინენტის ეკოსისტემებს (Kaplan et al, 2009).

ანტიკური და შუა საუკუნეების მიწათსარგებლობა (ძვ.წ 1000 – ახ.წ 1500)

ანტიკურ ხანაში, საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციებმა შემოიტანეს უფრო განვითარებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები და მიწის მართვის მეთოდები. რომაული მიწათსარგებლობა იყო კარგად ორგანიზებული, დიდი მამულებით, სადაც მონებს მოჰყავდათ ხორბალი, ზეთისხილი და ყურძენი.

რომაული საინჟინრო მიღწევები საშუალებას აძლევდა მათ შეექმნათ ფართო საგზაო და აკვედუკების ქსელი, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობასა და კომუნიკაციას მთელ ევროპაში (Kaplan et al, 2009).

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ, მე-5 საუკუნეში, მიწის მფლობელობების ფრაგმენტაცია მოხდა, რის შედეგადაც ფეოდალური სისტემა დამკვიდრდა შუა საუკუნეების ევროპაში. მიწა იყოფოდა მამულებად, სადაც გლეხები ამუშავებდნენ მიწას და სანაცვლოდ ადგილობრივი ლორდებისგან დაცვას იღებდნენ. ამ პერიოდში განვითარდა ღია ველების სასოფლო-სამეურნეო სისტემები, სადაც დიდი ველები იყოფოდა ზოლებად, რომლებსაც საერთო წესით იყენებდნენ სოფლის მცხოვრებლები. ფართოდ იყო გავრცელებული კულტურების როტაცია და საერთო საძოვრების გამოყენება (Andersen et al, 2013).

ადრეული თანამედროვე პერიოდი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესება (ახ.წ 1500 – 1750)

ადრეული თანამედროვე პერიოდი ევროპაში ხასიათდებოდა სასოფლო-სამეურნეო ინოვაციებით, განსაკუთრებით მე-17-18 საუკუნეების აგრარული რევოლუციის დროს. კულტურების როტაციის, პირუტყვის სელექციური შერჩევისა და სასუქების გამოყენების გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ინგლისში შემოღობვის ტენდენციამ, ასევე, დიდი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო მიწის ტრანსფორმაციაზე. დიდი, საერთო ველები იყოფოდა კერძო მეურნეობებად, რაც მიწის მფლობელებს აძლევდა შესაძლებლობას, უფრო ეფექტურად შეესრულებინათ სამეურნეო პრაქტიკა. თუმცა, ამან გამოიწვია პატარა ფერმერების დევნა და ურბანული მოსახლეობის ზრდა (https://www.britannica.com/topic/enclosure).

მერკანტილიზმისა და კოლონიალიზმის ზრდამ, ასევე, მოახდინა გავლენა მიწის გამოყენებაზე, რადგან ევროპული ძალები ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეზარდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი. ეს პერიოდი საფუძველს უყრიდა დრამატულ ცვლილებებს, რომლებიც ინდუსტრიულ რევოლუციასთან ერთად მოვიდა.

ინდუსტრიული რევოლუცია და ურბანიზაცია (1750 – 1900)

ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რომელიც დაიწყო დიდ ბრიტანეთში მე-18 საუკუნის შუა პერიოდში, დიდი გავლენა მოახდინა მიწათსარგებლობაზე ევროპაში. სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შედეგად, მილიონობით ადამიანი გადადიოდა სოფლიდან ქალაქებში სამუშაოს საძებნელად. ურბანული ცენტრები სწრაფად იზრდებოდა, ხშირად სათანადო დაგეგმარების გარეშე, რაც იწვევდა გადატვირთულ და არაჰიგიენურ საცხოვრებელ პირობებს.

სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიული ტექნიკის ამაღლებამ, მათ შორის მექანიზაციისა და ქიმიური სასუქების გამოყენებამ, ასევე, შეცვალა სასოფლო მიწათსარგებლობა. მი-

უხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაიზარდა, მეურნეობის ინტენსიფიკაციამ ნიადაგის დეგრადაცია და ბიომრავალფეროვნების შემცირება გამოიწვია. ამასთან, სარკინიგზო გზების გაფართოებამ ხელი შეუწყო საქონლისა და ადამიანების ტრანსპორტირებას, რის შედეგადაც ევროპული ლანდშაფტი ტრანსფორმირდა და ერთმანეთთან დააკავშირა ადრე იზოლირებული რეგიონები (Alvarez et al, 2020).

მე-20 საუკუნე: ომის შემდგომი აღდგენა და მიწის რეფორმა (1900 – 2000)

მე-20 საუკუნეში მიწათსარგებლობის მოდელებმა ევროპაში განიცადა როგორც დეგრადაცია, ასევე პროგრესი, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ომმა გაანადგურა ქალაქები და ინფრასტრუქტურა, რამაც საჭირო გახადა ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოების წარმოება. ურბანული დაგეგმარება გახდა ცენტრალური საკითხი, ზონირების კანონების და ახალი ქალაქების განვითარების გზით, რაც უზრუნველყოფდა მზარდი მოსახლეობის საჭიროებებს.

აღმოსავლეთ ბლოკში, სოციალისტურმა მიწის რეფორმებმა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გამოიწვია, რაც დიდი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფერმების შექმნას გულისხმობდა. ამავდროულად, დასავლეთ ევროპაში, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, როგორიცაა ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, ფერმერებს სუბსიდიებს სთავაზობდა, რაც ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას (Fuchs et al, 2012).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა გარემოსდაცვითი შფოთვა, რადგან ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ ნეგატიური შედეგები გამოავლინა. ამის პასუხად, ევროპის ქვეყნების მთავრობებმა განახორციელეს მიწის კონსერვაციული ღონისძიებები, მათ შორის, ეროვნული პარკების და ველური ბუნების დაცული ტერიტორიების შექმნა (United Nations, 1987).

2. თანამედროვე მიწათსარგებლობის აქტუალური საკითხები და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა ევროპაში

სოფლის მეურნეობა კვლავაც მნიშვნელოვანი ნაწილია ევროპული მიწათსარგებლობის, რომლის წილიც კონტინენტის მიწის დაახლოებით 40%-ს შეადგენს. თუმცა, თანამედროვე სოფლის მეურნეობა მრავალ გამოწვევას აწყდება, მათ შორისაა ქიმიური სასუქების გადაჭარბებული გამოყენება, ნიადაგის ეროზია და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა.

CAP (საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა) განაგრძობს მნიშვნელოვანი როლის თამაშს სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების ფორმირებაში. ფერმერებს ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობს და, ამავე დროს, ხელს უწყობს გარემოსდაცვით მდგრად ღონისძიებებს. იზრდება ინტერესი ორგანულ მეურნეობებზე, აგროფორესტაციაზე და სხვა მდგრად მეთოდებზე, რომლებიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობით გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მოხდენას (https://www.eea.europa.eu/soer).

ურბანიზაცია და მიწათსარგებლობის ტრანსფორმაცია

ევროპაში ურბანიზაცია გამძაფრებულია, რადგან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში. მოსახლეობის 74 პროცენტი ცხოვრობს ურბანულ ტერიტორიებზე. ურბანული რაიონები ევროპის მასშტაბით კონტინენტის მთლიანი შიდა პროდუქტის 85 პროცენტს ქმნიან (Bartholomae F. W. et al 2019). ურბანიზაციის ზრდამ გამოიწვია მიწათსარგებლობის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რადგან მეტი ტერიტორია ეთმობა საცხოვრებელ კომპლექსებს, გზებს, სავაჭრო და ინდუსტრიულ ობიექტებს. ურბანული გაფართოების შედეგად იზრდება ურბანული წნეხი, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების შემცირებასა და ჰაერის ხარისხის გაუარესებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაცია ეკონომიკური ზრდის და სოციალური ცვლილებების აუცილებელი ნაწილია, მას თან ახ-

ლავს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა მიწის რესურსების ეფექტური მართვა, ურბანული ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება და ენერგოეფექტურობა. ამის საპასუხოდ, ევროპულ ქალაქებში იწყება „მწვანე“ ინფრასტრუქტურის განვითარება. მათ შორისაა პარკები, მწვანე სახურავები და ურბანული ტყეები, რაც აუმჯობესებს ქალაქის ეკოსისტემებს და ცხოვრების ხარისხს.

ტურიზმი და მიწის გამოყენება

ტურიზმის ზრდამ, ასევე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მიწათსარგებლობაზე ევროპაში, განსაკუთრებით ზღვისპირა და ისტორიულ ტურისტულ მიმართულებებში. სასტუმროების, დასასვენებელი კომპლექსებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოითხოვს ბუნებრივი ლანდშაფტების ტრანსფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, მას, ასევე, შეუძლია გამოიწვიოს ნეგატიური ეკოლოგიური ზემოქმედება, მათ შორის ჰაბიტატის დაკარგვა და წყლის რესურსების ამოწურვა.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები შეიძლება მგრძნობიარე იყოს მიწათსარგებლობის პოლიტიკის იმ ცვლილებებისადმი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვიოს. საყურადღებოა ცვლილებები ურბანული დაგეგმარების პოლიტიკაში, ტურიზმის ინფრასტრუქტურისა და ვიზიტორების გაზრდილ რაოდენობაზე. დიდმასშტაბიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ობიექტების განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე (ელიზბარაშვილი, 2016).

3. ეკოლოგიური პრობლემები და პრევენცია, ტყის დეგრადაცია და აღდგენა

ევროპის ტყეებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს საუკუნეების განმავლობაში. ინდუსტრიული რევოლუციის და სასოფლო-სამეურნეო გაფართოების პერიოდში დიდი რაოდენობით ტყე გაიჩეხა, რამაც გამოიწვია ჰაბიტატების დეგრადაცია და ნიადაგის ეროზია. ბოლო პერიოდში, ევროკავშირმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს ტყის აღდგენის ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს გაუტყეურების ზეგავლენის შემცირებას და ნახშირბადის სეკვესტრაციის გაზრდას.

ტყის მართვა მდგრადი მიდგომებით, როგორიცაა აგროფორესტაცია და მრავალფუნქციური ტყის მეურნეობები, ხელს უწყობს ეკოსისტემების აღდგენას, რაც მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად (Lund, 2006).

ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე

სასოფლო-სამეურნეო მიწის, ურბანული არეალების და ინფრასტრუქტურის გაფართოებამ გამოიწვია ჰაბიტატის დაკარგვა და ფრაგმენტაცია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროპის ბიომრავალფეროვნებას. მრავალი სახეობა მცენარეებისა და ცხოველებისა დაექვემდებარა პოპულაციების შემცირებას ჰაბიტატის განადგურების გამო. დაცული ტერიტორიები შექმნილია ბიომრავალფეროვნების დასაცავად, თუმცა სირთულეები რჩება ეკოსისტემების კავშირების შენარჩუნებასა და გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვის მიმართულებით. კარგი ამბავი ის არის, რომ ზოგიერთ რაიონში აღდგენის ნიშნებია გამოკვეთილი გარკვეული უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მუდმივი მცდელობის წყალობით, როგორიცაა დაბინძურება, ევტროფიკაცია და გადაჭარბებული თევზაობა (https://www.eea.europa.eu/en/topics/in-depth/biodiversity).

წყლის რესურსები და ჭაობების დაკარგვა

ჭაობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეკოსისტემურ მომსახურებას გვთავაზობს, მათ შორის, წყლის ფილტრაციას, წყალდიდობის კონტროლს და ველური ბუნების ჰაბიტატს, მნიშვნელოვნად შემცირდა ევროპაში, ძირითადად, სოფლის მეურნეობისა და ურბანული განვითარებისთვის დაშრობის შედეგად. ჭაობების დაკარგვამ გაამწვავა წყლის ხარისხის პრობლემები, მათ შორის, წყლის დაბინძურება სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით, რომლებიც შეიცავს ნუტრიენტებს და პესტიციდებს.

ჭაობების აღდგენის და დაცვის მცდელობები მიმდინარეობს ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (Water Framework Directive) მეშვეობით, რომელიც ხელს უწყობს წყლის რესურსების მდგრად მართვას და წყლის ეკოსისტემების დაცვას (European Commission, 2010).

ევროპული პოლიტიკა და მმართველობა მიწათსარგებლობაში

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიწათსარგებლობის დაგეგმარებაში სხვადასხვა პოლიტიკისა და რეგულაციების საშუალებით. 2019 წელს მიღებული ევროპული მწვანე შეთანხმება (European Green Deal) მიზნად ისახავს, რომ ევროპა გახდეს პირველი კლიმატნეიტრალური კონტინენტი 2050 წლამდე. შეთანხმება გულისხმობს მდგრად სოფლის მეურნეობას, ურბანული წნეხის შემცირებას და ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას. CAP (საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა) რეფორმირებულია იმისთვის, რომ გაიზარდოს გარემოსდაცვითი მდგრადობის აქცენტი და ფერმერებს სუბსიდიები დაეკისროთ ეკომეგობრული პრაქტიკის მიღებისთვის (United Nations Industrial Development Organization, 2020).

მიუხედავად ევროკავშირის მიწოდებული საერთო ჩარჩოსი, ცალკეულ ქვეყნებს აქვთ თავიანთი ეროვნული მიწის გამოყენების პოლიტიკა, რომელიც ასახავს მათ სპეციფიკურ საჭიროებებს და პრიორიტეტებს. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს ცენტრალიზებული მიწის გამოყენების დაგეგმარების მტკიცე ტრადიცია, ხოლო გერმანიაში მიწის გამოყენების დაგეგმარება უფრო დეცენტრალიზებულია და, მნიშვნელოვანწილად, ადგილობრივ მთავრობებს უკავშირდება.

ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ მიწის გამოყენების დაგეგმარებაში, განსაკუთრებით ურბანულ ტერიტორიებზე. რეგიონული დაგეგმარების ორგანოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ მიწის გამოყენების გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიზნებს.

4. მომავალი გამოწვევები და შესაძლებლობები მიწათსარგებლობაში, კლიმატის ცვლილება და მიწათსარგებლობის ადაპტაცია

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის მიწათსარგებლობას ევროპაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, წყლის მართვისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით. ტემპერატურის მატება, ნალექების ცვლილებები და ექსტრემალური ამინდის უფრო ხშირი გამოვლინება უკვე მოქმედებს მიწათსარგებლობის მოდელებზე. სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა საჭიროებს ადაპტაციას ამ ცვლილებების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გვალვის მიმართ გამძლე კულტურების, წყლის ეფექტური სარწყავი სისტემების და კლიმატ-რეზისტენტული ფერმერული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ურბანული ტერიტორები, ასევე, უნდა მოერგოს კლიმატის ცვლილებას, საჭირო მეთოდების, როგორიცაა მწვანე სახურავები, გამტარი ზედაპირები და ურბანული ტყეები, გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს ურბანული სითბოს ეფექტის შემცირებას და წვიმის წყლის მართვას (Mihalakakou G., 2023).

მდგრადი ურბანული განვითარება

ევროპის ქალაქები აგრძელებენ ზრდას, ამიტომ საჭიროა უფრო მდგრადი მიდგომები ურბანული განვითარების მიმართ. მდგრადი ურბანული განვითარებისათვის, ქალაქებმა უნდა მოახდინონ ტერიტორიის განტვირთვა და წნეხის შემცირება, რაც გამოიწვევს ტრანსპორტის გადაადგილების სიხშირის კლებას. მწვანე სივრცეები, სასეირნო უბნები და ეფექტური საზოგადოებრივი ტრანსპორტი ამცირებს ემისიებს და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. განახლებადი ენერგიის წყაროების, მაგალითად, მზის პანელების ინტეგრირება შენობებზე და ენერგოეფექტიანი ინფრასტრუქტურის დანერგვა მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. საზოგადოების ჩართვა დაგეგმვაში უზრუნველყოფს ფაქტს, რომ განვითარება პასუხობს ადგილობრივ საჭიროებებს და

ხელს უწყობს ხანგრძლივ მდგრადობას, ხოლო ჭკვიანი ტექნოლოგიები, როგორიცაა ენერგოეფექტიანი განათება და ნარჩენების მართვის სისტემები, ქალაქებს უფრო ადაპტირებადს და მდგრადს ხდის დროთა განმავლობაში (Mihalakakou G., 2023).

ინოვაციები სოფლის მეურნეობაში

ევროპაში სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობის მომავალი ალბათ განისაზღვრება ტექნოლოგიური ინოვაციებით, როგორიცაა პრეციზიული სოფლის მეურნეობა, რომელიც იყენებს მონაცემებსა და ტექნოლოგიებს, რათა ოპტიმიზირებულ იქნას კულტურების მოსავალი, ხოლო მინიმუმამდე დაიყვანოს წყლის, სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება. აგროფორესტაცია, რომელიც აერთიანებს ხეებს სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტებში, წარმოადგენს მდგრად ალტერნატივას ტრადიციულ ფერმერულ პრაქტიკასთან, რაც აუმჯობესებს ნიადაგის ჯანმრთელობას, ამცირებს ნახშირბადის დონეს და პოზიტიურად მოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე.

დასკვნა

ევროპაში მიწათსარგებლობის ევოლუცია არის რთული პროცესი, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ისტორიული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორებით. ევროპის მიწათსარგებლობის პოლიტიკა წარმოადგენს დაბალანსებულ მიდგომას მდგრადი მიწათსარგებლობის მართვაში, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური ზრდის, გარემოს დაცვისა და სოციალური თანასწორობის შერწყმას პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც აქცენტს აკეთებს კომპაქტურ ურბანულ განვითარებაზე, ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვაზე და ნახშირბადის ემისიების შემცირებაზე.

ევროპა ცდილობს შეამციროს ურბანული გავრცელება და პრიორიტეტი მიანიჭოს მწვანე ინფრასტრუქტურას. რაც დრო გადის, იზრდება საჭიროება, რომ მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის მიღწეულ იქნას ჰარმონია. საზოგადოებრივი მონაწილეობით დაგეგმვის პროცესში და ინოვაციური, ადაპტირებადი ზომების მიღებით, ევროპის ქვეყნები ქმნიან მდგრადი მიწათსარგებლობის ჩარჩოებს, რომლებიც მომავლის მოთხოვნებს უპასუხებენ. ეს ინტეგრირებული მიდგომა არა მხოლოდ ინარჩუნებს ბიომრავალფეროვნებას და რესურსებს, არამედ გლობალური მნიშვნელობის მოდელს წარმოადგენს მდგრადი მიწის მართვის სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ., *გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები*. თბილისი, 2016. გვ. 169.
2. Alvarez E. J., Bogart D., Dunn O., Satchell M., Taylor L. Sh., *Transport and urban growth in the first industrial revolution*. Faculty of History, University of Cambridge 2020. pp. 1-10.
3. Andersen T. B., Jensen P. S., Skovsgaard Ch. S., *The Heavy Plough and the Agricultural Revolution in Medieval Europe.* Discussion Papers on Business and Economics No. 6. 2013. pp. 5-30.
4. Bartholomae F. W., Schoenberg A. M., *Two Shades of Urban Shrinkage: Innovation and Economic Structure in Cities with a Declining Population.* CESifo Forum – Urban Challenges in Europe 2019. P. 15-16.
5. European Commission,*Water Framework Directive*. 2010.
6. Fuchs R., Herold M., Verburg P. H., Clevers J. G. P. W., *A high-resolution and harmonized model approach for reconstructing and analyzing historic land changes in Europe*. Biogeosciences Discuss., 9, 14823–14866,2012. P. 18-21.
7. Kaplan J. O., Krumhardt K. M., Zimmermann N., *The prehistoric and preindustrial deforestation of Europe.* Quaternary Science Reviews 2009. pp. 1-12.
8. Lund G., *Agroforestry*. book: “Encyclopedia of Environmetrics” – 2006. pp. 2-4.

9. Mihalakakou G., Souliotis M., Papadaki M., Menounou P., Dimopoulos P., Kolokotsa D., Paravantis J. A., Tsangrassoulis A., Panaras G., Giannakopoulos E., Papaefthimiou S., *Green roofs as a nature-based solution for improving urban sustainability: Progress and perspectives*. Renewable and Sustainable Energy Reviews, Volume 180 – 2023.
10. United Nations, *Report of the World Commission on Environment and Development* 1987. pp. 5-12.
11. United Nations Industrial Development Organization,*The European Green Deal*. Europe's new growth strategy A climate-neutral EU by 2050 – 2020. pp. 2-5.
12. Zvelebil M., *The agricultural transition and the origins of Neolithic society in Europe.* Documenta Praehistorica – 2001. pp. 2-20.
13. Editors of Encyclopaedia Britannica, *enclosure*. Encyclopaedia Britannica, 2013. https://www.britannica.com/topic/enclosure.
14. The European environment agency, https://www.eea.europa.eu/soer
15. https://www.eea.europa.eu/en/topics/in-depth/biodiversity

გეოგრაფიული მოდელირება და კურორტის გეოგრაფიული მოდელი

რუსუდან ელიზბარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მიმართულების დოქტორანტი
rusoelizbarashvili@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია გეოგრაფიული მოდელირება და გეოგრაფიული მოდელები, კურორტის გეოგრაფიული მოდელი და მისი ძირითადი მახასიათებლები.

მოდელის ტიპისა თუ შინაარსის ცვლილება გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების თანმდევი პროცესია. ძნელია ასეთი პროცესის აღქმა, თუმცა მეცნიერების ევოლუცია, საკვლევი ობიექტების ტრანსფორმაცია და მათი კავშირები თვალსაჩინო ხდება შესაბამისი ფორმის მოდელების გაანალიზებისას.

გეოგრაფიული მოდელების ძირითადი მიზანია:

1. გეოგრაფიული გარემოს აღნიშნული სირთულის გამარტივებული და ზოგადად გასაგები სახით წარმოდგენა;
2. გეოგრაფიული კვლევის შედეგების სანდოობის დადგენა;
3. გეოგრაფიული პროცესების შეფასების და პროგნოზირების საშუალება;
4. მონაცემთა ანალიზის ინტერპოლაცია, სტრუქტურირება და კლასიფიკაცია;
5. გეოგრაფიული ექსპერიმენტებისა და სცენარების შემუშავება. კურორტების გეოგრაფიული მოდელირებისას ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე ასპექტზე, რომელთაგან მთავარია: დამსვენებლები, ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული გარემო, ინფრასტრუქტურა, სამედიცინო და მომსახურე პერსონალი, მმართველი ორგანოები (ადმინისტრაცია).

ბუნებრივი გარემო არსებითად განსაზღვრავს კურორტის ეფექტურობას. კურორტის ეფექტურობა და კომფორტი, ძირითადად, ბალნეოლოგიურ მახასიათებლებსა და კლიმატურ პირობებს უკავშირდება, დისკომფორტი კი – ლანდშაფტის თავისებურებებს.

კურორტის არსის წარმოსაჩენად და მისი მოდელირებისთვის საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე მახასიათებელზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. სამკურნალო ფაქტორები და რესურსები;
2. ადამიანის ჯანმრთელობის რეაბილიტაციისა და დასვენებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული გარემო;
3. მკურნალობისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

კურორტის გეოგრაფიული მოდელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს 4 ძირითადი და 10 ქვეერთეული, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ქმნის კურორტის მოდელის ერთიან სისტემას.

გეოგრაფიული მოდელი გვეხმარება მისი სისტემის აღწერაში, გაანალიზებაში და სინთეზში. ის, ასევე, ეფექტურია საკურორტო გეოგრაფიული შეფასებისთვის, პროგნოზირების, სიმულაციის, ინტერპოლაციისა და მონაცემთა გენერირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *გეოგრაფია, მოდელები, კურორტები, გარემო, ანალიზი*

GEOGRAPHIC MODELING AND GEOGRAPHIC MODEL OF THE RESORT

Rusudan Elizbarashvili
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
PhD student of Human geography
rusoelizbarashvili@gmail.com

Abstract

The article discusses geographic modeling and geographic models, the geographic model of the resort and its main characteristics.

The change in the type or content of the model is a concomitant process of the development of geographical science. It is difficult to perceive such a process, however, the evolution of science, the transformation of research objects and their connections becomes visible when analyzing models of the appropriate form.

The main purpose of geographical models is:

1. Presenting the mentioned complexity of the geographical environment in a simplified and generally understandable form;
2. Determining the reliability of the results of geographical research;
3. A means of assessing and forecasting geographical processes;
4. Interpolation, structuring and classification of data analysis;
5. Development of geographic experiments and scenarios.In the geographic modeling of resorts, attention is focused on several aspects, the main ones of which are: vacationers, natural and socio-cultural environment, infrastructure, medical and service personnel, governing bodies (administration).

The natural environment essentially determines the efficiency of the resort. The effectiveness and comfort of the resort is mainly related to balneological characteristics and climatic conditions, and the discomfort is related to the features of the landscape.

In order to present the essence of the resort and model it, it is necessary to focus on several features, the most important of which are:

1. Healing factors and resources; 2. Natural and historical-cultural environment favorable for human health rehabilitation and recreation; 3. The necessary infrastructure for treatment and health rehabilitation.

The constituent part of the geographical model of the resort can be 4 main and 10 sub-units, the interdependence of which creates a unified system of the resort model.

The geographic model helps us to describe, analyze and synthesize its system. It is also effective for resort geographic assessment, forecasting, simulation, interpolation and data generation.

Key words: *Geography, models, resorts, environment, analysis*

შესავალი

გეოგრაფიული სივრცის მოდელირების პირველი მაგალითი, გეოგრაფიული რუკებისა და გლობუსების გარდა, ცნობილია მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედიდან (ი. ტიუნენი, 1826 წელი). იგი უკავშირდებოდა სოფლის მეურნეობის და ტერიტორიის ორგანიზაციის გეოგრაფიული კანონზომიერებების გამოვლენას და გრაფიკულ ასახვას. მომავალში გეოგრაფიული მოდელები გარემოს თავისებურებათა ანალიზის, განვითარებისა და პროგნოზირების გარკვეული საფუძველი გახდა.

გეოგრაფიული მოდელირება განსაკუთრებით პოპულარული მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა. მისი მეშვეობით გაადვილდა ნებისმიერი სახის საქმიანობა – დაწყებული მოსახლეობის და მეურნეობის ოპტიმალური განლაგებით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით, ტერიტორიული დაგეგმარებით და დამთავრებული ტრანსპორტისა და ვაჭრობის ობიექტთა ორგანიზებით (ელიზბარაშვილი, 2016).

გეოგრაფიული მოდელის სრულყოფილება მასში განხილული ფაქტორების რაოდენობას უკავშირდება. თუმცა, ერთი მხრივ, ბუნებრივი კომპონენტები და რესურსები, მეორე მხრივ კი ადამიანის სამეურნეო საქმიანობა და სოციალური აქტივობა, სრულყოფილ გეოგრაფიულ მოდელს რთულად შესადგენს და, ასევე, რთუ-

ლად აღსაქმელად წარმოაჩენს. ამჟამად ერთიანი გეოგრაფიული მოდელები დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ისინი უფრო მეტად ასახავენ გეოგრაფიის სამი ძირითადი მიმართულების ზოგად კანონზომიერებებს, კონცეფციებსა და თეორიებს.

გეოგრაფიის საგანი, ანუ ადამიანისა და გარემოს რთული ურთიერთობა შეიძლება მეცნიერულად იქნას შესწავლილი ჰიპოთეზების, მოდელებისა და თეორიების საშუალებით. ყველა მოდელის ძირითადი მიზანია კომპლექსური სიტუაციის გამარტივება და, ამგვარად, მისი გამოკვლევისთვის უფრო მისაღები ფორმის მიცემა. მოდელი არის მოწყობილობა უზარმაზარი ურთიერთქმედების სისტემის გასაგებად (Clifford, 2008). https://www.yourarticlelibrary.com/geography

კურორტის გეოგრაფიული მოდელი სამეცნიერო ლიტერატურაში არ იძებნება. მისი წარმოჩენა გარკვეულ სირთულეს უკავშირდება, რაც განპირობებულია კურორტის რეკრეაციული ფასეულობების და საკურორტო მეურნეობის მრავალფეროვნებით.

კვლევის მეთოდები

მოდელირების პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება, რომელთაგან მთავარია:

1. მოდელირების მიზნების, ამოცანების, ობიექტის და დონის განსაზღვრა;
2. მოდელირებისთვის ძირითადი პარამეტრების და ფორმის განსაზღვრა;
3. მოდელირების პარამეტრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ურთიერთკავშირების დადგენა;
4. მოდელის საიმედოობის (მდგრადობის) და ინფორმაციულობის დადგენა.

სტატიაზე მუშაობისას, კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის, ინტერპოლაციის და გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემატიზაციის მეთოდები, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის და განზოგადების მეთოდი, საველე კვლევის შედეგების ანალიზის და კამერალური დამუშავების მეთოდები.

შედეგები

1. გეოგრაფიული მოდელირება და გეოგრაფიული მოდელები

მოდელის ტიპის ან შინაარსის ცვლილება გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების თანამდევი პროცესია. ამგვარი პროცესის აღქმა რთულია, თუმცა მეცნიერების ევოლუცია, კვლევის ობიექტებისა და მათი კავშირურთიერთობების ტრანსფორმაცია თვალსაჩინო ხდება შესაბამისი ფორმის მოდელების ანალიზისას.

გეოგრაფიული მოდელების მთავარი დანიშნულებაა (ელიზბარაშვილი, 2016):

1. გეოგრაფიული გარემოს აღნიშნული სირთულის გამარტივებული და საყოველთაოდ გასაგები ფორმით წარმოჩენა;
2. გეოგრაფიული კვლევის შედეგების საიმედოობის დადგენა;
3. გეოგრაფიული პროცესების შეფასების და პროგნოზირების საშუალება;
4. მონაცემთა ანალიზის ინტერპოლაციის, სტრუქტურირების და კლასიფიცირების საშუალება;
5. გეოგრაფიული ექსპერიმენტირების და სცენარების შემუშავების საშუალება.

გეოგრაფიული მოდელი, კლასიფიკაციის შედეგად, შეიძლება იყოს:

- ✓ მასშტაბური (ერთიანდება მარტივი ტიპის მოდელები, გეოგრაფიულ მოვლენებს და პროცესებს წარმოაჩენენ შემცირებულ მასშტაბში, მათ შორის განასხვავებენ სტატიკურ და დინამიკურ მოდელებს);
- ✓ სიმულაციური და სტოქასტიკური (ცვლადი გეოგრაფიული მოვლენის ან პროცესის მიმსგავსებული ან ალბათური ასახვა);
- ✓ ანალოგიური (გამოიყენება ის მოდელები, რომლებიც ასახავენ მსგავს, უკვე ცნობილ გეოგრაფიულ მოვლენას ან პროცესს; მაქსიმალურად მიახლოებულად ითვლება ის მოდელი, რომელშიც მაქსიმალურად მსგავსი გეოგრაფიული კომპონენტები და ფაქტორებია წარმოჩენილი);
- ✓ რუკა (ყველაზე ნაცნობი და გავრცელებული ფორმა; მასშტაბური მოდელის სპეცია-

ლური ფორმა; რაც უფრო დიდ ტერიტორიაზე იძლევა წარმოდგენას, მით უფრო აბსტრაგირებული და სიმბოლიზებულია გეოგრაფიული მონაცემები; ასახავს დროის კონკრეტულ მონაკვეთს).

მოდელირება შეიძლება, ასევე, იყოს (ელიზბარაშვილი, 2016):

1. ფუნქციური (აღწერს ცალკეული კომპონენტის თუ ფაქტორის როლს სისტემის ფუნქციონირებაში);
2. პროცესუალური (აღწერს პროცესის შემადგენელი კომპონენტების მონაწილეობის და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს);
3. დარგობრივი (ითვალისწინებს ცალკეული დარგის ან მიმართულების განვითარების სპეციფიკას და ინტერესებს).

მოდელირების შედეგები შეიძლება წარმოჩინდეს შემდეგი გამოსახულებების (ფორმის) სახით:

- ✓ კონცეპტუალური (აღწერილობითი, ბლოკ-სქემების სახით);
- ✓ გრაფიკული (რუკების, გლობუსის, ნახაზების, გრაფიკების სახით);
- ✓ მატრიცული (აღწერილობითის კავშირი გრაფიკულთან, წარმოჩინდება სპეციალური ცხრილების სახით);
- ✓ მათემატიკური (ფორმულების სახით);
- ✓ კომპიუტერული (მონაცემთა შესაბამისი ბაზების და მათი ურთიერთკავშირის სახით).

კომპიუტერული მოდელები სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების იმიტაციის საშუალებასაც იძლევა, რაც პროგნოზული სცენარების შემუშავების და სივრცე-დროითი ანალიზის წინაპირობაა (ნ. ელიზბარაშვილი, 2016).

გეოგრაფიული მოდელირების შედეგები მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია (Clifford, 2008):

- ✓ ინდიკაცია – რთულად შესასწავლი კომპონენტის (ან სისტემის ნაწილის) მახასიათებლების განსაზღვრა სხვა კომპონენტის (ან სისტემის სხვა ნაწილის) ანალოგიური მაჩვენებლების მიხედვით;
- ✓ პროგნოზირება – სისტემური კავშირების მეშვეობით ერთი კომპონენტის (ან სისტემის ნაწილის) შესაძლო ცვლილების შეფასება მეორე კომპონენტის (ან სისტემის ნაწილის) ცვლილების მიხედვით;
- ✓ მართვა – ზემოქმედება ერთ კომპონენტზე (ან სისტემის ნაწილზე) მეორე კომპონენტისგან (ან სისტემის ნაწილისგან) დადებითი ეფექტის მიღების მიზნით;
- ✓ ორგანიზაცია – რაციონალური ბუნებათსარგებლობა სისტემისთვის დამახასიათებელი ჯაჭვური რეაქციის გათვალისწინებით (პრინციპით: ერთი კომპონენტის ცვლილება იწვევს სხვა კომპონენტის და, საბოლოო ჯამში, სისტემური კავშირების ცვლილებას).

ცნობილია, რომ რაც უფრო დეტალურია მოდელი, მით უფრო ზუსტია მოდელირებადი ობიექტის განვითარების თავისებურებათა პროგნოზირება (https://www.yourarticlelibrary.com, https://uk.search.yahoo.com/search).

1.2. გეოგრაფიული მოდელი

გეოგრაფიის საგანი, ანუ ადამიანისა და გარემოს რთული ურთიერთობა შეიძლება მეცნიერულად იქნას შესწავლილი ჰიპოთეზების, მოდელებისა და თეორიების საშუალებით. ყველა მოდელის ძირითადი მიზანია, კომპლექსური სიტუაციის გამარტივება და, ამგვარად, მისი გამოკვლევისთვის უფრო მისაღები ფორმით წარმოდგენა (https://www.yourarticlelibrary.com).

გეოგრაფია არის დისციპლინა, რომელიც ეხება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ინტერპრეტაციას (https://www.yourarticlelibrary.com, https://uk.search.yahoo.com/search). მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გეოგრაფთა უმეტესობამ ფართოდ მოიფიქრა მოდელები, როგორც რეალობის იდეალიზებული ან გამარტივებული წარმოდგენა, მაგალითად, გეოგრაფიულ ლანდშაფტზე ან ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე (https://www.yourarticlelibrary.com, https://uk.search.yahoo.com/search). მოდელირება ტარდება უზარმაზარი მონაცემების სტრუქტურირებისთვის, შესწავლის, ორ-

განიზებისა და ანალიზისთვის (https://www.yourarticlelibrary.com). გეოგრაფიაში მოდელები იყო შემოთავაზებული, როგორც გეოგრაფიული კვლევის ახალი პარადიგმა (Clifford (2008).

ტერმინი „მოდელი" განსხვავებულად არის განსაზღვრული სხვადასხვა გეოგრაფის მიერ. ზოგადად, მოდელი არის „ან თეორია, კანონი, ჰიპოთეზა ან სტრუქტურირებული იდეა. იგი, ასევე, შეიძლება მოიცავდეს მსჯელობას რეალურ სამყაროზე (ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტი) გარემოს კომპონენტების სივრცესა და დროში ურთიერთდამოკიდებულების ან მათი როლის ასახვის საშუალებით. იგი თეორიების გამოცდისა და კრიტიკულად შესწავლის საშუალებას იძლევა (https://www.yourarticlelibrary.com). მოსახლეობის მომავალი ზრდა და სიმჭიდროვე, მიწათსარგებლობა, კულტურების ინტენსივობა, მოსახლეობის მიგრაცია, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და სხვა პროცესები შეიძლება პროგნოზირდეს გეოგრაფიული მოდელების დახმარებით. იგი, ასევე, სასარგებლოა ამინდის, კლიმატის ცვლილების, ზღვის დონის ცვლილების, გარემოს დაბინძურების, ნიადაგის ეროზიის, რელიეფის ევოლუციის და გარემოს პროგნოზული მდგომარეობის შეფასებისას (https://www.yourarticlelibrary.com).

მოდელი უბრალოდ რეალური სივრცის წარმოდგენაა. გეოგრაფები ქმნიან მოდელებს გეოგრაფიული პროცესების გასაანალიზებლად. პროცესები, რომელმაც შექმნა გეოგრაფიული გარემო, ძალზე მრავალფეროვანია, რომლის მასშტაბურობა მოითხოვს იმგვარი მოდელების შექმნას, რომელიც არსებით წარმოდგენას შეგვიქმნის გეოგრაფიული გარემოს სივრცით ან სივრცე-დროით თავისებურებებზე (https://geo.libretexts.org).

იმისათვის, რომ საგანი საფუძვლიან ბაზაზე დადგეს და სხვა სამეცნიერო დისციპლინებში მოიპოვოს პატივისცემა, გეოგრაფები, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სულ უფრო მეტად კონცენტრირდნენ გეოგრაფიული განზოგადების, მოდელების ფორმულირების, თეორიებისა და ზოგადი კანონების თემაზე. გეოგრაფიული განზოგადება შესაძლებელია მოდელების შექმნით განხორციელდეს (https://www.yourarticlelibrary.com, https://uk.search. yahoo.com/search).

გეოგრაფიული სივრცის მოდელირების პირველი მაგალითი, გეოგრაფიული რუკებისა და გლობუსების გარდა, ცნობილია მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედიდან (ი. ტიუნენი, 1826). იგი უკავშირდებოდა სოფლის მეურნეობის და ტერიტორიის ორგანიზაციის გეოგრაფიული კანონზომიერებების გამოვლენას და ასახვას. მომავალში გეოგრაფიული მოდელები გარემოს თავისებურებათა ანალიზის, განვითარებისა და პროგნოზირების გარკვეული საფუძველი გახდა.

გეოგრაფიული მოდელირება განსაკუთრებით პოპულარული მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა. მისი მეშვეობით გაადვილდა ისეთი სახის საქმიანობა, როგორიცაა მოსახლეობის და მეურნეობის ოპტიმალური განლაგება, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ტერიტორიული დაგეგმარება ტრანსპორტისა და ვაჭრობის ობიექტთა ორგანიზებით (ელიზბარაშვილი, 2016; Clifford, 2008).

გეოგრაფიული მოდელის სრულყოფილება მასში განხილული ფაქტორების რაოდენობას უკავშირდება. თუმცა, ერთი მხრივ, ბუნებრივი კომპონენტები და რესურსები, მეორე მხრივ, ადამიანის სამეურნეო საქმიანობა და სოციალური აქტივობა, სრულყოფილ გეოგრაფიულ მოდელს რთულად შესადგენს და, ასევე, რთულად აღსაქმელს წარმოაჩენს. ამჟამად ერთიანი გეოგრაფიული მოდელები დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ისინი უფრო მეტად ასახავენ გეოგრაფიის სამი ძირითადი მიმართულების ზოგად კანონზომიერებებს, კონცეფციებსა და თეორიებს.

მოდელის ტიპის ან შინაარსის ცვლილება გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების თანამდევი პროცესია. ამგვარი პროცესის აღქმა რთულია, თუმცა მეცნიერების ევოლუცია, კვლევის ობიექტებისა და მათი კავშირურთიერთობების ტრანსფორმაცია თვალსაჩინო ხდება შესაბამისი მოდელების ანალიზისას.

ფიზიკურ-გეოგრაფიული მოდელები, ძირითადად, უკავშირდება ლანდშაფტების, მდინარეთა აუზების, გეოგრაფიული კომპონენტების სივრცე-დროითი ორგანიზაციის ან განვი-

თარების თავისებურებებს. ცნობილია გეოგრაფიული გარსის შემადგენელი კომპონენტების მოდელებიც. მაგალითად, თანამედროვე ბიოსფეროს არაერთი მოდელი ასახავს მასში ნივთიერებისა და ენერგიის ცვლის პროცესს, მის გავლენას ცოცხალ სამყაროსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, გარემოს დაბინძურებასა და სხვ. ამგვარი მოდელები, ძირითადად, სქემების (ბლოკ-სქემების) სახითაა შედგენილი.

ფიზიკურ გეოგრაფიაში, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მოდელები პოპულარული კომპლექსური (გეოსისტემური) მიდგომის განვითარების თანადროულად გახდა. მოდელირება, ძირითადად, ხორციელდებოდა და ხორციელდება კვლევის ობიექტის სტრუქტურის, ევოლუციის, ფუნქციონირების ან დინამიკის წარმოსაჩენად.

ამჟამად ფიზიკურ-გეოგრაფიულ მოდელებში ფართოდ ჩნდება სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორები. ამგვარი მიდგომა მოდელის სრულყოფილებისკენ სწრაფვითაა განპირობებული. ისინი მონოსისტემური მოდელების სახელითაა ცნობილი. მათი მიზანია:

- ✓ წარმოაჩინონ სისტემის ბუნებრივი და საზოგადოებრივი ნაწილების ურთიერთგანლაგება და ურთიერთდამოკიდებულება;
- ✓ გამოავლინონ ადამიანის ზემოქმედების ან საქმიანობის შედეგების გავლენა ბუნების კომპონენტებზე ან ლანდშაფტებზე (კომპლექსებზე);
- ✓ ასახონ ერთ ლანდშაფტზე (კომპლექსზე) ზემოქმედებით მიღებული დადებითი ცვლილება მეორე ლანდშაფტის ეფექტური ცვლილების შესაძლებლობაზე.



ნახ.1. ბუნებრივი გეოსისტემისა და ეკოსისტემის მარტივი ბლოკური მოდელი (*Д. Арманд*., 1964, ნ. ელიზბარაშვილის, 2016)

ფიზიკურ-გეოგრაფიულ მოდელებში საზოგადოებრივი კომპონენტების წარმოჩენა არაერთი ტრადიციული თუ ახალი მიმართულების წინაპირობა გახდა. მათ შორისაა ლანდშაფტური დაგეგმარება, ლანდშაფტის მართვა და ლანდშაფტის მომსახურება, რომლებიც უკვე მიეკუთვნებიან თანამედროვე გამოყენებითი გეოგრაფიის ფუნდამენტურ მიმართულებებს.

საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოდელები, ძირითადად, ადმინისტრაციული ერთეულების (ქვეყანა, რაიონი, დასახლება) ან ტერიტორიის ცალკეული მონაკვეთისთვის (მდინარის ხეობის ნაწილი, სატრანსპორტო კვანძი, სამრეწველო ობიექტი, საქალაქო კვარტალი და სხვ.) დგება. ასევე, ცნობილია მოდელები, რომლებიც ასახავს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს, დემოგრაფიულ პროცესებს და სატრანსპორტო ნაკადებს, სავაჭრო და კულტურულ კავშირებს. საზოგადოებრივ გეოგრაფიაში პოპულარობით სარგებლობს მრეწველობის განლაგების (ვითარდება დიდ

ქალაქებში ან მათ სიახლოვეს), ცენტრალურ ადგილებთან ქალაქების განვითარების (მიმდებარე მოსახლეობას უზრუნველყოფს ვაჭრობის და მომსახურების ობიექტებით), მთავარი (ძირითადი, მსხვილი) ქალაქის და ქალაქი-სატელიტების, ქალაქების და სოფლების განლაგების (სოფლები განლაგებული არიან მცირე ქალაქების სიახლოვეს), ქვეყნის ეკონომიკური ცენტრის (როცა რომელიმე დასახლებული პუნქტი ითავსებს სახელმწიფო ეკონომიკური ცენტრის ფუნქციას), მალთუსის (მოსახლეობის რაოდენობის დამოკიდებულება კვების პროდუქტების წარმოების რაოდენობაზე), დასახლებული პუნქტების განლაგების (ხაზობრივი, ანუ სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ აგლომერაციული თავმოყრა დიდი ქალაქის მიმდებარედ, თანაბარი, ანუ ყველა დასახლება ასრულებს მომსახურების და სავაჭრო ცენტრის ფუნქციას) და სხვა მოდელები.

განსაკუთრებით ბევრი მოდელია შექმნილი ქალაქების (ურბანულ) გეოგრაფიაში. ისინი უკავშირდება მოსახლეობის, ბიზნესის, ისტორიული და ტურისტული ზონების, სამრეწველო რაიონების, სატრანსპორტო ნაკადების, განსახლების არეალების და სხვა ურბანული მახასიათებლების განლაგების თავისებურებებს (www.geographyforgeographers).



Copyright © 2005 Pearson Prentice Hall, Inc.



ნახ. 2-3. ქალაქების მოდელები ფუნქციური ზონების მიხედვით (www.geographyforgeographers)

საინტერესო მოდელებია შექმნილი ბუნებრივ-ანთროპოგენული ქვესისტემებით ფუნქციონირებადი ლანდშაფტებისთვის. მათში, ძირითადად, ერთ სისტემად განიხილება ადამიანის და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება, მათი ურთიერთშემავსებელი როლი სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში. ამგვარი სისტემებიდან მასშტაბურობით აგროლანდშაფტები გამოირჩევა, სადაც ყველაზე თვალსაჩინოა საზოგადოების და ბუნების ურთიერთგანმსაზღვრელი მონაწილეობა. ამგვარი ლანდშაფტების ერთიანობა მკაფიოდ აისახება იმ სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის შესრულების შესაძლებლობაში (ხარისხში), რაც სისტემას „დაავალა“ საზოგადოებამ.

საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფიისთვის დამახასიათებელი მოდელები ასახავს რეკრეაციული, სამედიცინო, სამხედრო, რესურსული, გეოეკოლოგიური და გეგმარებითი პროფილის კავშირურთიერთობებს. ცნობილია ამგვარი მოდელირების არაერთი მაგალითი, სადაც ქვესისტემების სახით ერთდროულად წარმოჩენილია ბუნებრივი, რესურსული, საზოგადოებრივი (ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული) და ეკოლოგიური ფაქტორები. ამგვარი მოდელები ტერიტორიული დაგეგმარების საფუძველია, რომლის სრულყოფილება სხვადასხვა (არაგეოგრაფიული) პროფილის სპეციალისტების მონაწილეობასაც მოითხოვს.

მაგალითად, რეკრეაციულ-გეოგრაფიული მოდელები ასახავს: ბუნებრივ პირობებს და რესურსებს; ბუნებრივი გარემოს იმ ფასეულობებს, რაც აუცილებელია ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად; დამსვენებელთა ინტერესებს; რეკრეაციული გარემოს კომფორტულობას, მდგრადობას და ტევადობას; ისტორიულ და კულტრულ ღირსშესანიშნაობებს; კურორტის ან საკურორტო ადგილის ინფრასტრუქტურას; ადამიანურ რესურსებს და კვალიფიციურ კადრებს; მართვის მეთოდებს და ფორმებს; გამოყენების ტრადიციებს და რეკრეაციული საქმიანობის შედეგებს; ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებებს და სოციალური სფეროს სტიმულირების შესაძლებლობას. აღნიშნული ფაქტორები შესაძლებელია დაიყოს ორ: გარე (შემავალ) და შიდა ნაწილებად. ისინი ერთობლივად განაპირობებენ რეკრეაციული სისტემის მდგრადობას და განვითარების პერსპექტივებს.

2. კურორტის გეოგრაფიული მოდელი

კურორტის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ყურადღება მახვილდება რამდენიმე ასპექტზე, რომელთაგან მთავარია: დამსვენებელი, ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული გარემო, ინფრასტრუქტურა, სამედიცინო და მომსახურე პერსონალი, მმართველობითი ორგანოები (ადმინისტრაცია).

დამსვენებლის დამოკიდებულება ნებისმიერი სახის რეკრეაციული ობიექტის ეფექტიანობის მიმართ ძირითად ფოკუსად ითვლება. მისი აზრი ობიექტის შესაძლებლობების და ფუნქციების მიმართ რეკრეაციული მეურნეობის არსებითი წინაპირობაა. თუმცა იგი სუბიექტურიც შეიძლება იყოს, რადგან დამოკიდებულია რეკრეანტის სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნულ ან ეთნიკურ კუთვნილებაზე, კულტურულ ორიენტაციაზე, ცხოვრების წესზე, ადაპტაციის უნარზე, ბუნებრივი გარემოს კომფორტულობაზე და სხვ.

ბუნებრივი გარემო არსებითად მოქმედებს რეკრეანტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და რეკრეაციული ობიექტის ეფექტიანობაზე. ბუნებრივმა გარემომ შესაძლებელია „შექმნას“ კომფორტული ან დისკომფორტული ვითარება. კომფორტულობა, ძირითადად, ბალნეოლოგიურ და კლიმატურ პირობებს, აგრეთვე, გარემოს გეოგრაფიულ მახასიათებლებს (რელიეფი, წყლები, ცოცხალი სამყარო, ლანდშაფტი) და ეკოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება, ხოლო დისკომფორტულობა – ლანდშაფტის (პეიზაჟის) თანამედროვე მდგომარეობას და დეგრადაციის მასშტაბებს. რაც უფრო ეფექტურია პეიზაჟი, რაც უფრო მრავალფეროვანია მცენარეულობა, გახსნილია ლანდშაფტი და რაც უფრო დიდია ხედვის არეალი, მით უფრო კომფორტულია იგი დამსვენებლისთვის.

ბუნებრივი გარემოს ეფექტურობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბალნეო და

ბალნეოკლიმატური კურორტების შემთხვევაში, ანუ იქ, სადაც დამსვენებლის ძირითად მიზანს ჯანმრთელობის აღდგენა ან სპორტული რეკრეაცია წარმოადგენს (Вопросы географии, т. 127, 2014).

საქართველოს კურორტოლოგიურ შეფასებაში (სააკაშვილი და სხვ., 2011) განასხვავებენ კლიმატურ და სამკურნალო-ბალნეოლოგიური ფაქტორების სამ ტიპს:

1. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, ანუ ველის. ხასიათდება სიმშრალის, ზაფხულის ტემპერატურის და მზის რადიაციის მაღალი მაჩვენებლებით. ხელს უწყობს თირკმლის და შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების მკურნალობას;
2. მთის. ხასიათდება წნევის, ჰაერის ტემპერატურის და ტენიანობის დაბალი და ულტრაიისფერი სხივების და ჟანგბადის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლებით. სამკურნალო ფაქტორების მიხედვით არის – დაბალი (ზღვის დონიდან 1000 მ-მდე), საშუალო მთის ქვედა სარტყლის (1000-1500 მ-მდე), საშუალო მთის ზედა სარტყლის (1500-2000 მ) და მაღალი მთის (2000 მ-ზე მეტი სიმაღლე). ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა ცალკეული პათოლოგიების, სასუნთქი სისტემის სხვადასხვაგვარ დაავადებათა მკურნალობას;
3. ზღვის. ხასიათდება ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდის დაბალი, ხოლო სინოტივის, უარყოფითი აეროიონების, ზღვის მარილების, ფიტონცინდების და ულტრაიისფერი რადიაციის მაღალი მაჩვენებლებით. ხელს უწყობს გულ-სისხლძაღვთა სისტემის მკურნალობას, მიოკარდიუმის ინფარქტის და სტენოკარდიუმის შეტევების რეაბილიტაციის პროცესს.

სოციალურ-კულტურული გარემო უკავშირდება დამსვენებელთა რაოდენობას და ობიექტის ტევადობას, ხმაურის დონეს, ისტორიულ თუ კულტურულ ობიექტთა რაოდენობას, მათ თანაფარდობას (სიხშირეს), რეკრეანტის კულტურულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების დონეს, მათზე ხელმისაწვდომობას, ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოკულტურას და ა.შ. მათ, ძირითადად, ყურადღება ექცევა შემეცნებითი ტურიზმის განვითარებისთვის.

ინფრასტრუქტურული კომპონენტი, ასევე, მნიშვნელოვანია რეკრეაციული ობიექტის ფუნქციონირებისთვის. იგი ზრდის ბუნებრივ და კულტურულ გარემოსთან რეკრეანტის ხელმისაწვდომობას და ადაპტაციის შესაძლებლობას, ამავე გარემოს საიმედოობას. აქვე განიხილება ის საშუალებანი, რაც ხელს უწყობს მომსახურე პერსონალს დასახული მიზნების განხორციელებაში, არსებული მატერიალური ფასეულობების შენარჩუნებაში. ინფრასტრუქტურას მიეკუთვნება როგორც კაპიტალური, ისე დროებითი ან სეზონური ნაგებობები. ფუნქციურად იგი შეიძლება იყოს სპორტული, გამაჯანსაღებელი, გართობის, კულტურული, სამკურნალო და სხვა დანიშნულების. რეკრეაციული ობიექტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფრასტუქტურის ეკოლოგიურ და საინჟინრო საიმედოობას.

სამედიცინო და მომსახურე პერსონალი განაპირობებს რეკრეაციული ობიექტის დანიშნულების საიმედოობას, ბუნებრივ და კულტურულ კომპონენტთან წვდომას, ტექნიკურ და საინჟინრო ნაგებობათა ფუნქციონირებას, კავშირს რეკრეანტსა და მმართველ რგოლს შორის, კომუნიკაციას რეკრეანტთა შორის და სხვ. მომსახურე პერსონალს ყოფენ რამდენიმე პროფესიულ ჯგუფად (Вопросы географии, т. 127, 2014), იმის მიხედვით, თუ რამდენად უშუალოა მათი კონტაქტი რეკრეანტებთან. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მომსახურე პერსონალი, ვინც უშუალო კონტაქტშია დამსვენებელთან. შემდეგ მოდის მომსახურე პერსონალი, ვინც უზრუნველყოფს ტექნიკური, ბუნებრივი და კულტურული ნაწილის საიმედო ფუნქციონირებას. მესამე ჯგუფს წარმოადგენს ის პერსონალი, ვინც უზრუნველყოფს კურორტის ან დაწესებულების მომარაგებას საჭირო ნედლეულით და პროდუქციით.

მმართველობითი ორგანოები, რომელთანაც გაიგივებულია ადმინისტრაცია, უზრუნველყოფენ რეკრეაციული ობიექტის სტრუქტურის და სისტემის მდგრადობას და ფუნქციონირე-

ბას, საქმიანობის გამართულ რეჟიმს, დასახული მიზნების რეალიზაციას და ა.შ. აქ განიხილება ორი დონე: გარე და შიდა. გარე დონე უზრუნველყოფს ქვეყნის ან რეგიონის რეკრეაციული პოლიტიკის და სტრატეგიის განხორციელებას, აწარმოებს კანონშემოქმედებით საქმიანობას, სწავლობს მოთხოვნებს, აგეგმარებს ინფრასტრუქტურას, არეგულირებს რეკრეანტთა ნაკადებს და ა.შ. მეორე დონეს აკუთვნებენ (Вопросы географии, т. 127, 2014) უშუალოდ რეკრეაციული ობიექტის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს დამსვენებლის (რეკრეანტის) მოთხოვნებს, ობიექტის, ინფრასტრუქტურისა და მომსახურე პერსონალის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ამრიგად, კურორტის არსის წარმოსაჩენად და მისი მოდელირებისთვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს **რამდენიმე მახასიათებელზე,** რომელთაგან მნიშვნელოვანია:

1. სამკურნალო ბალნეოლოგიური და კლიმატური ფაქტორები და რესურსები;
2. ადამიანის ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის და დასვენებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული გარემო;
3. მკურნალობისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

აღნიშნული მახასიათებლები კურორტის რამდენიმე, ასევე, ძირითადი ფაქტორის გამოყოფის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, კურორტის გეოგრაფიული მოდელირებისას საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სისტემის ოთხ ძირითად ნაწილზე:

1. **სამედიცინო (სამკურნალო) ფაქტორები,** რომელიც შედგება:
   1.1. ბალნეოლოგიური სამკურნალო ქვეფაქტორების და
   1.2. კლიმატური სამკურნალო ქვეფაქტორებისგან.
2. **ბუნებრივი გარემო ფაქტორები,** რომელიც შედგება:
   2.1. ძირითადი (ჰავა, წყლები) ქვეფაქტორის და
   2.2. დამატებითი (ბუნებრივი ლანდშაფტი, მცენარეულობა, რელიეფი და გეოლოგიური აგებულება) ქვეფატორისგან.
3. **სამეურნეო ფაქტორები,** რომელიც შედგება:
   3.1. რეკრეაციული ინფრასტრუქტურის;
   3.2. სამედიცინო პერსონალის;
   3.3. დამხმარე პერსონალის;
   3.4. მმართველობითი (ადმინისტრაციული) ორგანოებისგან.
4. **სოციალურ-კულტურული ფაქტორები,** რომელიც შედგება:
   4.1. რეკრეაციული ლანდშატის;
   4.2. კულტურული ლანდშაფტის;
   4.3. ისტორიული ლანდშაფტის;
   4.4. სოციალური ინფრასტრუქტურისგან.



ნახ. 5. კურორტის გეოგრაფიული მოდელი

ამრიგად, კურორტის გეოგრაფიული მოდელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება გახდეს **4 ძირითადი** და 10 ქვეერთეული, რომელთა ურთიერთდამოკიდებულებით იქმნება კურორტის მოდელის ერთიანი სისტემა.

გასაგებია, რომ მოდელირების ფაქტორთა თავისებურებებზე სრულ წარმოდგენას იძლევა **რეკრეანტის დამოკიდებულება.** მის მიერ შეიძლება დასახელდეს სხვა მახასიათებლებიც (მაგალითად, ეთნიკური ან რელიგიური გარემო, მეურნეობის ტიპი, კვების ხარისხი და სხვ.), რაც გავლენას ახდენს კურორტის ეფექტურ ან არაეფექტურ ფუნქციონირებაზე. თუმცა, ამგვარი მახასიათებლები, მათი მრავალმხრივობის და სუბიექტურობის (რადგან დამოკიდებულია რეკრეანტის სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნულ ან ეთნიკურ კუთვნილებაზე, კულტურულ ორიენტაციაზე, ცხოვრების წესზე, ადაპტაციის უნარზე, და სხვ.) გამო, ვერ ჩაითვლება კურორტის გეოგრაფიული მოდელირების ძირითად თუ დამატებით (სხვადასხვა ხარისხის) ფაქტორებად.

საინტერესოა ისიც, რომ კურორტის გეოგრაფიულ მოდელში თითოეული ნაწილი შეიძლება რამდენიმე ტიპად დაიყოს. მაგალითად, **სამკურნალო-ბალნეოლოგიური ფაქტორი (1.1)** ანუ ბალნეოთერაპია (მინერალური წყლის აბაზანები, ბანაობა, ცურვა, დალევა, კუჭის ამორეცხვა, ინჰალაციები და სხვ.) რამდენიმე ტიპად (სააკაშვილი და სხვ., 2011) შეიძლება დავყოთ:

- ✓ მინერალური წყლის ძირითადი ბალნეოლოგიური მაჩვენებლების (იონური შედგენილობა, აირების შემცველობა, რადიოაქტიობა, მჟავიანობა და სხვ.) მიხედვით;
- ✓ საერთო მინერალიზაციის (გამოისახება გ/დმ^3-ით, იყოფა სუსტიდან ზემარილიანამდე, ანუ 1-დან 150 გრამამდე) მიხედვით;
- ✓ ქიმიური შედგენილობის (ჰიდროკარბონატული, ქლორიდული, სულფატური, ნახშირმჟავა, გოგირდწყალბადიანი, რადონის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, აზოტიან-მეთანიანი, რთული შედგენილობის) მიხედვით;
- ✓ ტემპერატურის მიხედვით;
- ✓ ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტების (ბრომი, იოდი, დარიშხანი და სხვ.) მიხედვით და სხვ.

ასეთივე მრავალფეროვნებით ხასიათდება კურორტის ფუნქციონირების ნებისმიერი ნაწილი, რომელთაგან სახესხვაობებით **ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული** კომპონენტი გამოირჩევა. ეს უკანასკნელი ზრდის როგორც ბუნებრივ და კულტულ გარემოსთან რეკრეანტის ხელმისაწვდომობას და ადაპტაციის შესაძლებლობას, ასევე ამავე გარემოს საიმედოობას. აქვე განიხილება ის საშუალებანიც, რაც ხელს უწყობს მომსახურე პერსონალს დასახული მიზნების განხორციელებაში, არსებული მატერიალური ფასეულობების შენარჩუნებაში. ინფრასტრუქტურას მიეკუთვნება:

- ✓ კურორტის ფუნქციონირებისთვის აგებული სპეციალური (კაპიტალური, დროებითი ან სეზონური) ნაგებობები;
- ✓ რეკრეაციისთვის დამხმარე ობიექტები (სპორტული, გამაჯანსაღებელი, გართობის, კულტურული, სამკურნალო და სხვა დანიშნულების);
- ✓ კავშირგაბმულობის ან ელექტრონული ქსელები.

ამრიგად, კურორტის გეოგრაფიული მოდელირება **რთული და მრავალწახნაგოვანი** ამოცანაა.

დასკვნები

გეოგრაფიის ამოცანაა გეოგრაფიული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების იდენტიფიცირება სივრცესა და დროში. ამგვარი საქმიანობა განაპირობებს თეორიებისა და მოდელების შექმნის აუცილებლობას. ისინი იქმნება არსებული მონაცემების ან მათი პროგნოზული მდგომარეობის ანალიზის, განზოგადების და გამარტივების გზით. ნებისმიერი მოდელის მთავარი მიზანია განზოგადება და ძალიან იშვიათად მოდელი, რომელსაც შეუძლია კონკრეტული ვითარების ზუსტი ასახვა (www.geographyforgeographers).

მოდელები გვეხმარება შეფასებებში, პროგნოზებში, სიმულაციაში, ინტერპოლაციაში და მონაცემთა გენერირებაში. გეოგრაფიული

პროცესები შეიძლება პროგნოზირდეს მოდელების დახმარებით. მოდელი გვეხმარება გეოგრაფიული სისტემის აღწერაში, ანალიზსა და გამარტივებაში. მოდელირება ტარდება დისკრიმინაციული ნიმუშისა და კორელაციის გზით მიღებული უზარმაზარი მონაცემების სტრუქტურირების, შესწავლის, ორგანიზებისა და ანალიზისთვის. https://www.yourarticlelibrary.com/geography

გეოგრაფიული მოდელირების შედეგები მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია:

1. ინდიკაცია – რთულად შესასწავლი კომპონენტის (ან სისტემის ნაწილის) მახასიათებლების განსაზღვრა სხვა კომპონენტის (ან სისტემის სხვა ნაწილის) ანალოგიური მაჩვენებლების მიხედვით;
2. პროგნოზირება – სისტემური კავშირების მეშვეობით ერთი კომპონენტის (ან სისტემის ნაწილის) შესაძლო ცვლილების შეფასება მეორე კომპონენტის (ან სისტემის ნაწილის) ცვლილების მიხედვით;
3. მართვა – ზემოქმედება ერთ კომპონენტზე (ან სისტემის ნაწილზე) მეორე კომპონენტისგან (ან სისტემის ნაწილისგან) დადებითი ეფექტის მიღების მიზნით;
4. ორგანიზაცია – რაციონალური ბუნებათსარგებლობა სისტემისთვის დამახასიათებელი ჯაჭვური რეაქციის გათვალისწინებით (პრინციპით: ერთი კომპონენტის ცვლილება იწვევს სხვა კომპონენტის და, საბოლოო ჯამში, სისტემური კავშირების ცვლილებას).

ცნობილია, რომ რაც უფრო დეტალურია მოდელი, მით უფრო ზუსტია მოდელირებადი ობიექტის განვითარების თავისებურებათა პროგნოზირება (ელიზბარაშვილი, 2016).

კურორტების გეოგრაფიული მოდელირებისას ყურადღება მახვილდება რამდენიმე ასპექტზე, რომელთაგან მთავარია: დამსვენებელი, ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული გარემო, ინფრასტრუქტურა, სამედიცინო და მომსახურე პერსონალი, მმართველობითი ორგანოები (ადმინისტრაცია).

ბუნებრივი გარემო არსებითად განსაზღვრავს კურორტის ეფექტიანობას. კურორტის ეფექტიანობა და კომფორტულობა, ძირითადად, ბალნეოლოგიურ მახასიათებლებს და კლიმატურ პირობებს უკავშირდება, ხოლო დისკომფორტულობა – ლანდშაფტის (პეიზაჟის) თავისებურებებს.

კურორტის არსის წარმოსაჩენად და მისი მოდელირებისთვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე მახასიათებელზე, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

1. სამკურნალო ფაქტორები და რესურსები;
2. ადამიანის ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის და დასვენებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული გარემო;
3. მკურნალობისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

კურორტის გეოგრაფიული მოდელის შემადგენელი ნაწილი შეიძლება გახდეს 4 ძირითადი და 10 ქვეერთეული, რომელთა ურთიერთდამოკიდებულებით იქმნება კურორტის მოდელის ერთიანი სისტემა.

გეოგრაფიული მოდელი გვეხმარება მისი სისტემის აღწერაში, ანალიზსა და სინთეზში. იგი, ასევე, შედეგიანია კურორტის გეოგრაფიული შეფასებისთვის, პროგნოზებში, სიმულაციაში, ინტერპოლაციაში და მონაცემთა გენერირებაში (https://www.yourarticlelibrary.com).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ელიზბარაშვილი (2016). გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები. თბილისი, 2016, გვ. 502.
2. სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია. თბ., 2011.

3. N.J. Clifford (2008). Models in geography revisited. Geoforum, Volume 39, Issue 2, P. 675-686. https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0016718507000309
4. Арманд Д.Л. Наука о ландшафте. М., Мысль, 1964, с. 244.
5. Вопросы географии, т.127, М., 2014, с. 467.
6. Models used in Geography: Significance, Needs, Features and other Details. https://www.yourarticlelibrary.com/geography/models-used-in-geography-significance-needs-features-and-other-details/24591
7. Michael E. Ritter. Models in Geography. Libre texts, geoscience, University of Wisconsin-Stevens Point via The Physical Environment.
8. https://geo.libretexts.org/Bookshelves/Geography_(Physical)/The_Physical_Environment_(Ritter)/01%3A_Essentials_of_Geography/1.03%3A_Tools_of_the_Geographer/1.3.04%3A_Models_in_Geography
9. https://uk.search.yahoo.com/search;_ylt=AwrkgARQnOtmbQQAFawM34lQ;_ylu=Y29sbwNpcjIEcG9zAzEEdnRpZAMEc2VjA3JlbC1ib3Q.
10. Models_and_theories. www.geographyforgeographers.comhttps://geo.libretexts.org/Bookshelves/Geography_(Physical)/The_Physical_Environmenthttps://www.yourarticlelibrary.com/geography/models-used-in-geography

თბილისის დიღმის ჭალების გარემოს ფონური მდგომარეობა და არსებული ზეგავლენის შეფასება

ლუიზა ბუბაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
likabubashvili@yahoo.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ქალაქ თბილისისთვის დიღმის ჭალების ეკოსისტემის მნიშვნელობა, ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების, ქალაქის კლიმატის მდგრადობის და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის. აგრეთვე, მოცემულია არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ურბანული განვითარების, გამწვანების ნაკლებობისა და გარემოს დაბინძურების პრობლემებთან თბილისში, მათ შორის, დიღმის ჭალების ტერიტორიაზე. ნაშრომში განხილულია თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემებმა გავლენა მოახდინოს ქალაქის ეკოსისტემის მდგომარეობაზე და, შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ცხოვრების ხარისხზე.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის რეკრეაციული ფუნქციის მქონე ლანდშაფტის შენარჩუნების მნიშვნელობაზე, რაც განიხილება ქალაქის მოსახლეობის, როგორც ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების ერთ-ერთი წამყვან ფაქტორად {1}. სტატიაში, ასევე, განხილულია დიღმის ჭალების ტერიტორიაზე, რომელიც 190 ჰექტარ ფართობს მოიცავს და უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემით გამოირჩევა {2}, 2015 წლიდან დაწყებული ანთროპოგენული ზემოქმედების კერძოდ კი სტიქიური ნაგავსაყრელის განთავსების შედეგად, ეკოსისტემის მდგომარეობაზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე წარმოქმნილი რისკები.

აღსანიშნავია, რომ დიღმის ჭალების მიმდებარე ტერიტორიის ეტაპობრივი ათვისება და ურბანული განვითარება სულ რამდენიმე წლის წინ, დაახლოებით 2015 წლიდან დაიწყო. აქ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა როგორც ოლიმპიური სოფლის, ისე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. ამ პროცესების პარალელურად გამოიკვეთა დიღმის ჭალების სარეკრეაციო პოტენციალი, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 8 ჰექტარ ფართობზე ახალი საქალაქო პარკის მოწყობას, რათა სივრცე უფრო სასარგებლო და მიმზიდველი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის {3}.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, ლანდშაფტი, ეკოლოგია, ჭალის ტყე, კლიმატის ცვლილება*

ENVIRONMENTAL BACKGROUND CONDITION AND CURRENT IMPACT ASSESSMENT OF DIGOMI MEADOWS IN TBILISI

Luiza Bubashvili
PhD student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
likabubashvili@yahoo.com

Abstract

The article highlights the importance of the Dighomi Marshes ecosystem for the city of Tbilisi, focusing on the preservation of local biodiversity, the city's climate resilience, and maintaining ecological balance. It also provides an assessment of existing environmental challenges related to urban development, lack of green spaces, and

pollution issues in Tbilisi, including the Dighomi Marshes area. The paper discusses how these problems can affect the state of the city's ecosystem and, consequently, the health and quality of life of the population.

Moreover, it emphasizes the importance of preserving the landscape with recreational functions for the local population, which is considered one of the key factors in improving the psychological and physical health of the city's residents {1}. The article also examines the 190-hectare area of the Dighomi Marshes, known for its unique natural ecosystem, and the risks posed to the ecosystem and human health due to anthropogenic impacts, particularly the establishment of an illegal landfill since 2015 {2}.

It is worth noting that the gradual development of the areas surrounding the Dighomi Marshes and urbanization began only a few years ago, around 2015, during which both the Olympic Village and residential buildings were constructed. Parallel to these processes, the recreational potential of the Dighomi Marshes became evident, prompting the Tbilisi Municipality to plan the creation of a new city park on an 8-hectare area to make the space more beneficial and attractive for the local population {3}.

Keywords: *sustainable development, landscape, ecology, marshlands, climate change*

შესავალი

საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ თანახმად ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან. ამ ბუნებრივი ეკოსისტემების ჩამონათვალში კი, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება ჭალის ტყეებიცაა შეტანილი {4}.

საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსი“ თანახმად, ჭალის ტყე განმარტებულია, როგორც ტყე, რომელიც მდინარის ნაპირზეა განფენილი და პერიოდულად (წყალდიდობის ან/და წყალმოვარდნის დროს) წყლით იფარება {5}.

ჭალის ტყეები არაერთი ეკოსისტემური სერვისით უზრუნველოფენ საზოგადოებას, ისინი ეხმარებიან დამაბინძურებლების, მათ შორის მძიმე მეტალების, ნუტრიენტების და სხვა მავნე ნივთიერებების გაფილტვრას და მდინარეების მათგან დაცვას, აუმჯობესებენ წყლის ხარისხს, აგრეთვე, წარმოადგენენ დამცავ ზონას კატასტროფული წყალდიდობების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჭალის ტყეები მნიშვნელოვანი ჰაბიტატია ბიომრავალფეროვნების არაერთი სახეობისთვის. ტენიანი ნიადაგები ქმნიან მწერების და ამფიბიების გამრავლებისთვის მდიდარ ჰაბიტატებს, ეს სახეობები კი, თავის მხრივ, წარმოადგენენ საკვებს ფრინველებისა და ძუძუმწოვრებისთვის {6}.

სწორედ ასეთ მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენს თბილისში არსებული დიღმის ჭალები, რომელიც ჩამოყალიბებულია მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე, ქალაქის ჩრდილოეთით. დიღმის ჭალები 190 ჰექტარ ფართობს მოიცავს და გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემით, თუმცა დღესდღეობით მრავალი პრობლემის წინაშე დგას. 2015 წლიდან დაწყებული ურბანული განვითარების შედეგად, ტერიტორიაზე ანთროპოგენული ზემოქმედება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც ტყის საფარის დიდი ნაწილის განადგურება გამოიწვია.

კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდები მოიცავს;

1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, ჭალის ეკოსისტემების მნიშვნელობისა და ფუნქციების შესწავლას;
2. საველე კვლევას, რომლის დროსაც განხორციელდა დიღმის ჭალების შესწავლა და ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების იდენტიფიცირება;
3. სატელიტური და აეროფოტოების ანალიზს და დაბინძურებული ტერიტორიების შეფასებას;
4. ნაგავსაყრელებზე არსებული ნარჩენების იდენტიფიცირებას, ტიპოლოგიურ კლასიფიცირებას და პოტენციური საფრთხეების შეფასებას;
5. ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზის და საერთაშორისო კონვენციების ანალიზს.

შედეგები

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისში, მდინარე მტკვრის კალაპოტში არსებული ჭალის ტყეები სერიოზული საფრთხის წინაშე დგას 2015 წლიდან დაწყებული ურბანული განვითარების და მასშტაბური დაბინძურების გამო. ეს პრობლემები ვლინდება 40 ჰექტარ ტერიტორიაზე 400,000 მ³-ზე მეტი ინერტული ნარჩენის დაგროვებით, სტიქიური ნაგავსაყრელების გაჩენით, ტყის საფარის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურებით და არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლით.

ნახ 1. დიღმის ჭალების ადგილმდებარეობა

ტერიტორიაზე არსებული უმთავრესი გარემოსდაცვითი გამოწვევა ნარჩენებით დაბინძურებაა. ჭალების ვრცელ არეალზე, მუნიციპალურ და სახელმწიფო ნაკვეთებზე სტიქიური, უკანონო ნაგავსაყრელებია წარმოქმნილი, რომლებსაც ყოველდღიურად ემატება სხვადასხვა ტიპის ახალი ნარჩენები.

არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ეკოსისტემას, არამედ პოტენციურად ადამიანის ჯანმრთელობასაც, რადგან ნაგავსაყრელებზე არსებული მავნე ნივთიერებები და ტოქსინები შეიძლება მოხვდეს ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, რაც ზრდის დაავადებებისა და სუნთქვის პრობლემების რისკს {7,8}. გარდა ამისა, ურბანული გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, ამიტომ ესთეტიკურად და ფუნქციურად ჯანსაღი ლანდშაფტის, მათ შორის მწვანე ნარგავების, შენარჩუნება აუცილებელია როგორც გარემოს, ისე ადამიანის კეთილდღეობისათვის {9}.

წარმოქმნილი მდგომარეობით შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ ხდება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს უგულებელყოფა, ვინაიდან აღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლით, დანაგვიანება აკრძალულია, ხოლო ის მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაც დანაგვიანდა, უფლებამოსილია მოსთხოვოს დამნაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დამნაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს {10}, აგრეთვე, ვინაიდან 2011 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით რატიფიცირებულ იქნა „ევროპის ლანდშაფტური კონვენ-

ცია“, რომლის მიხედვითაც, ესთეტიკურად და ფუნქციურად ჯანსაღი ლანდშაფტის შენარჩუნება სახელმწიფოს ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა. კონვენციის მიხედვით, ესთეტიკურად და ფუნქციურად ჯანსაღი ლანდშაფტის შენარჩუნება ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიის და პრინციპების მიხედვით უნდა განხორციელდეს. ლანდშაფტური დაგეგმარება მიიჩნევა იმ აუცილებელ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება, გაუმჯობესება და განვითარებაა შესაძლებელი {11}.

დიღმის ჭალების ფონური მდგომარეობის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ლანდშაფტის დაცვის თვალსაზრისით. თბილისის ურბანული განვითარება იწვევს მდინარის არხების შევიწროებას და ეკოლოგიური მდგომარეობის შეცვლას, რაც გავლენას ახდენს გარემოს მდგრადობაზე.

ჭალის ეკოსისტემის უნიკალური ფუნქციები, როგორიცაა წყალდიდობების რეგულირება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკოლოგიური წონასწორობისთვის, არამედ ქალაქის კლიმატური მდგრადობისთვისაც {12}. ამ ფუნქციების დაკარგვა გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზარალს გამოიწვევს.

სურ.1 გადამფრენი ფრინველები დიღმის ჭალებში

სურ.2 თბილისის დიღმის ჭალებში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელი

არსებული ვითარება საჭიროებს გადაუდებელ ყურადღებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან ლანდშაფტური დაგეგმარების პრინციპების გამოყენებით, რათა მოხდეს ბალანსის დაცვა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებსა და ლანდშაფტის ეკოლოგიურ მდგრადობას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და ეკონომიკური ზარალი.

დასკვნა

დიღმის ჭალების ტერიტორია თბილისის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზონაა, თუმცა ბოლო წლებში იგი მრავალი პრობლემის წინაშე იმყოფება. ურბანიზაციის, ინფრასტრუქტურული განვითარების და არაუფლებამოსილი საქმიანობების გამო, ტერიტორიამ ეკოლოგიური დეგრადაცია განიცადა. ეს პრობლემა ეხება არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნებას, არამედ გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობასაც. ტერიტორიის რეაბილიტაცია აუცილებელია ეკოლოგიური ბალანსის აღსადგენად და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახოს დიღმის ჭალების აღდგენა, რეაბილიტაცია, სადაც წამყვან როლს უნდა ასრულებდეს ლანდშაფტური დაგეგმარება, ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს როგორც დაინტერესებული ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების და მოსახლეობის მონაწილეობით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიზაციას, ქვეყნის მდგრად განვითარებას, საერთაშორისო და რეგიონული გარემოსდაცვითი პროგრამების და პროექტების ჰარმონიზაციას, საზოგადოების ხანგრძლივვადიანი ინტერესების გათვალისწინებას.

არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომის შემუშავება. თბილისის ურბანული განვითარება ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიის და პრინციპების გარეშე იწვევს ჭალის ეკოსისტემის დეგრადაციას.

ამ ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს დიღმის ჭალების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მდგრად განვითარებას, ვინაიდან ლანდშაფტის იერსახე მკაფიოდ მეტყველებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და ეკოლოგიურ კულტურაზე. დაბინძურებული და მოუვლელი, დეგრადირებული და დამთრგუნველი ლანდშაფტი არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთა სიცოცხლის ხარისხზე მოქმედებს, არამედ მდგრადი განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლანდშაფტური დაგეგმარება,მეთოდოლოგია და გამოცდილება (2009), თბილისი – ბონი – ირკუტსკი, გვ. 73-74.
2. ნათია კოპალიანი, ზურაბ გურიელიძე, ილია აკობია, ნიკა მელიქიშვილი, ნიკა ქერდიყოშვილი, ანა ტრაპაიძე - მდ. მტკვარი, წავის კუნძული მართვის გეგმა ზურმუხტის ქსელის ტერიტორიისთვის - თბილისის წავის კუნძული-GE0000048 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023, გვ. 12, გვ. 29.
3. მ. ხვედელიძე, ა. ტრაპაიძე, დიღმის ჭალები ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე. ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“. იანვარი, 2021, გვ. 8.
4. საქართველოს 1996 წლის 10 დეკემბრის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29
5. საქართველოს 2020 წლის 22 მაისის კანონი „ტყის კოდექსი“, მე-2 მუხლი, დ პუნქტი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0

6. PS6: Biodiversity Conservation and Sustainable Management of Living Natural Resources, In: IFC (2012). *Performance Standards on Environmental and Social Sustainability, number 6*: https://www.ifc.org/content/dam/ifc/doc/2023/ifc-performance-standards-2012-en.pdf
7. D. Kumar, B.J. Alappat, ASCE Practice Periodicals of Hazardous, Radioactive and Toxic Wastes, Vol. 8(4), p. 200.
8. AS. Erses, MA Fazal, Onaya TT, Craig WH. Determination of solid waste sorption capacity for selected heavy metals in landfills. J Hazard Mater 2005; B121:223–32 pp].
9. European Landscape Convention. Opening for signature on 20 October 2000, European Treaty Series – No.176, 9 p., Florence. Http://conventions.coe.int
10. საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 24 დეკემბერი). საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“. https://matsne. gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11-დან.
11. N. Elizbarashvili, L. Bubashvili, R. Elizbarashvili, L. Davitashvili. GEOGRAPHICAL-ECOLOGICAL FEATURES OF MOUNTANOUS REGIONS AND LANDSCAPE INDICATORS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT. Proceeding of Conference: Комплексное изучение экосистем горных территорий / Сборник материалов VI Кавказского Международного экологического форума (Грозный, 20 – 21 октября 2023 г.). – Грозный, 2023, с.412 – 416. https://chesu.ru/doc?p=d464e274e49d4740.
12. SMEC საქართველოს ანგარიში, დიღმის ჭალების რეაბილიტაციის სტრატეგიის პროექტი, სექტემბერი 2024. გვ. 100-103. www.tdf.gov.ge

დენდროთერაპია: არსი და გეოგრაფიული თავისებურებანი

მირანდა გურგენიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
გეოგრაფიის დოქტორანტი
mirandagurgenidze5@gmail.com

აბსტრაქტი

დენდროთერაპია არის სამკურნალო პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ხეების და ბუნების თერაპიულ სარგებელს. ეს მიდგომა ემყარება თეორიას, რომ ხეებს აქვთ უნიკალური ენერგია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს განკურნებას. ითვლება, რომ სხვადასხვა სახეობის ხეებს აქვთ სპეციფიკური სამკურნალო თვისებები. მაგალითად, მუხის ხეები ასოცირდება სიძლიერესთან და სტაბილურობასთან, ხოლო არყის ხეები დაკავშირებულია განახლებასთან. დენდროთერაპიის მეთოდები მოიცავს მედიტაციას, სადაც ინდივიდები შეიძლება ისხდნენ ან იწვნენ ხეებთან ახლოს, დასვენების გასაუმჯობესებლად, და ფიზიკურ ურთიერთქმედებას, როგორიცაა ჩახუტება ან ხეებზე მიყრდნობა. დენდროთერაპიის პოტენციური სარგებელი მრავალფეროვანია. ხეებთან დროის გატარებამ შეიძლება გამოიწვიოს სტრესის შემცირება და განწყობის გაუმჯობესება. ბუნებასთან სიახლოვემ შეიძლება გააძლიეროს იმუნური ფუნქცია და საერთო ჯანმრთელობა (Cheglakov, 2022). დენდროთერაპია ხშირად ინტეგრირებულია სხვა თერაპიასთან, მათ შორის ჰოლისტიკურ სუნთქვასა და იოგასთან, რათა შეიქმნას კომპლექსური მიდგომა. გარდა ამისა, დენდროთერაპია მიეკუთვნება ეკოთერაპიის უფრო ფართო კატეგორიას, რომელიც ხაზს უსვამს ბუნების ზემოქმედების სამკურნალო ეფექტებს და აღიარებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს ურთიერთკავშირს.

საკვანძო სიტყვები: *დენდროთერაპია, ეკოთერაპია, ჯანმრთელობა, გარემო, მკურნალობა*

DENDROTHEPY: ESSENCE AND GEOGRAPHICAL FEATURES

Miranda Gurgenidze,
Iv. Javakhishvili University,
PhD student in geography
mirandagurgenidze5@gmail.com

Abstract

Dendrotherapy is a healing practice that emphasizes the therapeutic benefits of trees and nature. This approach is based on the theory that trees have a unique energy that can promote healing. Different species of trees are believed to have specific healing properties. For example, oak trees are associated with strength and stability, while birch trees are associated with renewal. Dendrotherapy techniques include meditation, where individuals may sit or lie near trees to promote relaxation, and physical interaction such as hugging or leaning against trees. The potential benefits of dendrotherapy are manifold. Spending time with trees can reduce stress and improve mood. Closeness to nature can enhance immune function and general health (Cheglakov, 2022). Dendrotherapy is often integrated with other therapies, including holistic breathing and yoga, to create a comprehensive approach. Additionally, dendrotherapy falls under the broader category of ecotherapy, which emphasizes the healing effects of exposure to nature and recognizes the interconnectedness of human health and the environment.

Key words: *Dendrotherapy, ecotherapy, health, environment, treatment*

შესავალი

თერაპია მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან "therapeia", რაც ნიშნავს „მკურნალობას“ ან „განკურნებას“. მედიცინაში ის განიმარტება, როგორც დაავადების, ტრავმის ან სხვა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური აშლილობის სისტემატური მკურნალობა. მედიცინა მოიცავს სხვადასხვა სახის თერაპიებს და ერთ-ერთი მათგანია დენდროთერაპია. იგი, ასევე, ცნობილია, როგორც ხეთა თერაპია და განეკუთვნება თერაპიულ პრაქტიკას, რომელიც ხაზს უსვავს ხეების სამკურნალო თვისებებს. დენდროთერაპიის კონცეფცია ემყარება რწმენას, რომ ხეებს შეუძლიათ დადებითად იმოქმედონ ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ კეთილდღეობაზე. დენდროთერაპია გულისხმობს ხეებთან კავშირს ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ჩახუტება, შეხება, მათ ქვეშ ჯდომა ან უბრალოდ მათთან ახლოს დროის გატარება (Cheglakov, 2022).

1. დენდროთერაპიის არსი

დენდროთერაპია ფოკუსირებულია ხეებისა და ბუნების თერაპიულ სარგებელზე. ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „დენდრონი“, რაც ნიშნავს ხეს და ემყარება თეორიას, რომ ხეებს შეუძლიათ ადამიანისთვის მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის მოტანა. ცნობილია სხვადასხვა ჯიშის ხის სამკურნალო თვისებები და ითვლება, რომ თითოეულ სახეობას აქვს განსხვავებული სარგებელი.

დენდროთერაპიით შესაძლებელია:

1. იმუნური სისტემის გაძლიერება – ხეები ასხივებენ ეთერზეთებს, რომლებიც ცნობილია, როგორც ფიტონციდები და რომლებსაც ანტიმიკრობული თვისებები გააჩნიათ. იაპონიაში არის ასეთი თერაპიული მიმდინარეობა – შინრინ-იოკუ, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ტყის აბანოები“ (shinrin – ტყე, yoku – აბანო). პრაქტიკა წარმოადგენს ტყის ატმოსფეროში დასვენებას ენერგიის შევსების მიზნით. ამგვარი თერაპიის თანახმად, ფიტონციდები გადამწყვეტ როლს თამაშობენ სიმსივნეებისა და ვირუსებისგან დაცვაში, რითაც აძლიერებენ იმუნურ სისტემას. იაპონიაში „ტყის აბაზანის“ მიღება ფართოდ გამოიყენება 1982 წლიდან. სწორედ მაშინ იქნა აღიარებული ტყეში სიარულის სარგებელი ოფიციალურ დონეზე. ექიმებსაც შეუძლიათ თავიანთ პაციენტებს დაუნიშნონ შინრინ-იოკუ, როგორც სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის საშუალება. აღსაღნიშნავია, რომ არსებობს გარკვეული წესები თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროცესი (Q. Li, 2019);
2. ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება – ხეებთან და მწვანე გარემოში ყოფნა ამცირებს შფოთვის, დეპრესიისა და სტრესის სიმპტომებს. ბუნების დამამშვიდებელი ეფექტი დაკავშირებულია კორტიზოლის, სტრესის ჰორმონის შემცირებასთან. ტყიან ტერიტორიაზე ხანმოკლე გასეირნებასაც კი შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს სტრესის დონე, გააუმჯობესოს განწყობა და გაზარდოს კეთილდღეობის გრძნობა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ბუნების, როგორც დამამშვიდებელი ფაქტორის როლი მნიშვნელოვნად ითვლებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პაციენტების მკურნალობაში. თანამედროვე ფსიქოლოგიაც აქტიურად მიმართავს ამ მეთოდს და შესაბამისი ანალიზისა და დაკვირვების პირობებში, ხშირად ურჩევს პაციენტებს ბუნებასთან ახლო კავშირის დამყარებას (Cheglakov A.D, 2022);
3. კოგნიტური და ფსიქოლოგიური სარგებელის მიღება – ხეებთან და ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთქმედება დაკავშირებულია შემეცნებითი ფუნქციის გაუმჯობესებასთან, მათ შორის გაძლიერებულ კონცენტრაციასთან, მეხსიერების უკეთ შენარჩუნებასა და კრეატიულობის გაზრდასთან. ეს ნაწილობრივ განპირობებულია გონებრივი დაღლილობის შემცირებით და მწვანე სივრცეების აღდგენითი ხასიათით. ზოგიერთი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ყურადღების დეფიციტის-/ჰიპერაქტიურობის აშლილობის მქონე ბავშვებს (ADHD) აქვთ გაუმჯობესებული

ფოკუსირება ბუნებაში დროის გატარების შემდეგ (Cheglakov A.D, 2022);

4. ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზემოქმედება – ტყის გარემოში რეგულარულმა ყოფნამ შეიძლება ხელი შეუწყოს გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. ბუნებრივი გარემოპირობები ხელს უწყობს ფიზიკურ აქტივობას, იქნება ეს სიარული, ლაშქრობა ან თუნდაც მედიტაციური პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საერთო ჯანმრთელობას. დენდროთერაპიას არსებითი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობაზე. მიუხედავად, იმისა, რომ ბუნების, როგორც გამაჯანსაღებელი ფაქტორის როლზე ვხვდებით სხვადასხვა კვლევებს, თანამედროვე სამყაროში, სადაც ბუნებაზე ზემოქმედება შეუქცევდი გახდა, აუცილებელია ბუნებასთან დაკავშირებული სარგებელის წინ წამოწევა და მათი უპირატესობების პოპულარიზაცია.

ცნობილია დენდროთერაპიის ის მეთოდები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში, მათ შორისაა:

- ხეებზე ჩახუტება – ხეებზე ჩახუტება დენდროთერაპიის ერთ-ერთი უმარტივესი ფორმაა. ეს პრაქტიკა ეფუძნება იმ აზრს, რომ ხეებთან ფიზიკური კონტაქტი საშუალებას აძლევს ადამიანს შეითვისოს ხის ენერგია, რაც იწვევს დამამშვიდებელ ეფექტს;
- ტყის აბაზანები (შინრინ-იოკუ) – მომდინარეობს იაპონიიდან და გულისხმობს ტყის გარემოში ყოფნას ხუთივე გრძნობის ჩართულობით. მონაწილეები, როგორც წესი, დადიან ნელა, ღრმად სუნთქავენ და უკავშირდებიან ბუნებრივ გარემოს, რაც აძლიერებს გონებას და ამცირებს სტრესს;
- მედიტაცია და რეფლექსია – დენდროთერაპიის მრავალი სესია მოიცავს მედიტაციას ან რეფლექსიურ პრაქტიკებს ხეების ქვეშ ან მის მახლობლად. ეს ხელს უწყობს ღრმა სუნთქვას, დასვენებას და ბუნებასთან კავშირის გრძნობას, რაც შეიძლება იყოს ღრმად თერაპიული (Q. Li , International Handbook of Forest Therapy, 2019).

დენდროთერაპია დაკავშირებულია ჰოლისტიკურ (ჰოლოტროპულ) სუნთქვით მკურნალობასთან. ჰოლისტიკური სუნთქვა, რომელსაც ხშირად უწოდებენ ცნობიერ ან გონებით სუნთქვას, არის პრაქტიკა, რომელიც მოიცავს სუნთქვას ისე, რომ აერთიანებს გონებას, სხეულს და სულს. ეს არის სუნთქვის გამოყენება ფიზიკური, ემოციური და სულიერი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ჰოლისტიკური სუნთქვა ფოკუსირებულია იმ აზრზე, რომ სუნთქვის სტილი გავლენას ახდენს ჩვენს ჯანმრთელობაზე. საუბარია არა მხოლოდ სუნთქვის ბუნებრივ ინსტინქტზე, არამედ იმაზე, თუ როგორ მოქმედებს სუნთქვა ჩვენს ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ემოციებზე და ენერგიის დონეზე. ეს პრაქტიკა ხშირად მოიცავს ისეთ ტექნიკას, როგორიცაა ღრმა სუნთქვა, მუცლით სუნთქვა ან რიტმული სუნთქვა, ყველა მიმართულია წონასწორობისა და სიმშვიდის გრძნობის შესაქმნელად.

კავშირი ჰოლისტურ სუნთქვასა და დენდროთერაპიას შორის:

- სუფთა, ჟანგბადით მდიდარი ჰაერის სუნთქვა – ხეები ჰაერის ბუნებრივი გამწმენდებია. ისინი შთანთქავენ ნახშირორჟანგს და გამოყოფენ ჟანგბადს, რაც აუცილებელია ჯანმრთელობისთვის. ტყეში ან ხეებს შორის ჰოლისტიკური სუნთქვის პრაქტიკაში, ჰაერის ხარისხი უფრო მაღალია, რამაც შეიძლება გაზარდოს სუნთქვის ვარჯიშების სარგებელი. დენდროთერაპიაში ხეებს შორის დროის გატარება ძირითადი კომპონენტია. ხეების მიერ მოწოდებული სუფთა, ჟანგბადით მდიდარი ჰაერი აძლიერებს ჰოლისტიკური სუნთქვის პრაქტიკის ეფექტურობას, ეხმარება გონების გასუფთავებას, სტრესის შემცირებას და ფიზიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას;
- გონებამახვილობა და კონცენტრაცია – ხეებით გარემოცვამ შეიძლება შექმნას მშვიდი გარემო, რომელიც ხელს უწყობს გონებამახვილობას. ფოთლების მშვიდი შრიალი, ტოტების ნაზი რხევა და ტყის მთლიანი სიწყნარე ხელს უწყობს სუნთქვაზე ფოკუსირებას და კონკრეტულ მომენტში ყოფნას. დენდროთერაპია მოი-

ცავს გონივრულ აქტივობებს, სადაც ინდივიდი სრულად არის ჩაძირული ბუნებრივ გარემოში. ჰოლისტიკური სუნთქვა ამ გარემოში იძლევა უფრო ღრმა კავშირს ბუნებასთან, აძლიერებს როგორც სუნთქვის პრაქტიკის, ისე ბუნებრივი გარემოს თერაპიულ ეფექტს;

- სიმყარე და სტაბილურობა – ხეები სტაბილურობისა და მიწაზე მყარად დგომის სიმბოლოა. ხეების მახლობლად ჰოლისტიკური სუნთქვის პრაქტიკაში, ინდივიდებს შეუძლიათ თავი იგრძნონ უფრო დაფუძნებულად და სტაბილურად როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად. ამ გრძნობას აძლიერებს ხეების ღრმა ფესვები, რაც მეტაფორულად უბიძგებს ინდივიდებს იპოვონ საკუთარი შინაგანი სტაბილურობა. ხეებთან ყოფნის ან შეხების აქტივობის შერწყმა სუნთქვის ჰოლისტურ ტექნიკასთან, შეიძლება დაეხმაროს ადამიანებს თავი იგრძნონ უფრო კონცენტრირებულად და დაბალანსებულად, რაც აძლიერებს თერაპიულ შედეგს;
- ემოციური განთავისუფლება და განკურნება – ხეები და ბუნება უზრუნველყოფენ უსაფრთხო ადგილს ემოციური განთავისუფლებისთვის. ჰოლისტიკური სუნთქვის ვარჯიშისას, განსაკუთრებით ღრმა ან რიტმული სუნთქვისას, ხშირია ემოციების გამოვლენა. ხეების დამამშვიდებელი გარემო ეხმარება ადამიანს ამ ემოციების ჯანსაღი გზით გადამუშავებასა და განთავისუფლებაში. დენდროთერაპია მიზნად ისახავს განკურნებას ხეებთან და ბუნებასთან კავშირის საშუალებით. როდესაც ეს შერწყმულია ჰოლისტურ სუნთქვასთან, ემოციური განკურნების პროცესი შეიძლება უფრო ღრმა იყოს;
- ენერგიის ნაკადი და სიცოცხლისუნარიანობა – ხეები ხშირად განიხილება, როგორც სასიცოცხლო ენერგიის წყარო ბევრ კულტურაში. ითვლება, რომ ხეების თანდასწრებით ჰოლისტიკური სუნთქვის პრაქტიკა ეხმარება ინდივიდებს გამოიყენონ ეს ბუნებრივი ენერგია, გააძლიერონ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა და სიცოცხლის ძალა. დენდროთერაპია, რომელიც ფოკუსირებულია ხეების სამკურნალო ძალაზე, ავსებს ჰოლისტურ სუნთქვას ისეთი გარემოს შექმნით, სადაც ენერგიის ნაკადი ოპტიმიზირებულია. ხეებს შორის ღრმად და რიტმულად სუნთქვის აქტივობა შეიძლება დაეხმაროს ადამიანებს უფრო ენერგიულად და ცოცხლად იგრძნონ თავი (Berg M.; 2024).

ჰოლისტიკური სუნთქვის კომბინირება დენდროთერაპიასთან შეიძლება მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ტყის აბაზანები ღრმა სუნთქვით; ტყეში ნელა სიარული, ღრმად სუნთქვა და სუფთა ჰაერის მიღება ბუნებრივ გარემოზე ზრუნვისას; ხის ქვეშ მედიტაციური სუნთქვა; ხის ქვეშ ჯდომა და ფოკუსირებული სუნთქვის ვარჯიში რელაქსაციისა და ემოციური კეთილდღეობის გასაძლიერებლად და სხვ.

ჰოლისტიკური სუნთქვა და დენდროთერაპია მჭიდრო კავშირშია იმით, რომ ორივე პრაქტიკა მიზნად ისახავს კეთილდღეობის გაძლიერებას ინდივიდების ბუნებასთან დაკავშირების გზით. ხეები, როგორც ჩვენი ბუნებრივი გარემოს სასიცოცხლო კომპონენტები, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ორივე პრაქტიკაში სუფთა ჰაერის, დამამშვიდებელი ყოფნისა და ენერგიის წყაროს მიწოდებით.

2. ხე-მცენარეების სამკურნალო და გეოგრაფიული მახასიათებლები

დენდროთერაპია ხშირად აერთიანებს ხეების სხვადასხვა სახეობას, რომელთაგან თითოეული გთავაზობთ უნიკალურ სარგებელს. აქ მოცემულია რამდენიმე გავრცელებული ჯიშის ხეები და მათი სპეციფიკური თვისებები:

1. **ფიჭვი (Pinus)** – ფიჭვის ხეები ცნობილია მათი ახალი, გამამხნევებელი სურნელით, რაც ხელს უწყობს სტრესის შემცირებას და გონების გაუმჯობესებას. ფიჭვის ფოთლების შრიალის ხმაც შეიძლება დამამშვიდებელი იყოს. ფიჭვის წიწვები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, C-ვიტამინს, განსაკუთრებით ზამთარში, არის მასში კაროტინი და ფიტონციდები;

2. **არყი (Betula) –** არყის ხეები გამოირჩევიან ვიზუალური ეფექტით და შეუძლიათ უზრუნველყონ დამამშვიდებელი ეფექტი. არყის ფოთლები შეიცავს ეთერზეთს, საპონინებს, C-ვიტამინს;
3. **მუხა (Quercus) –** მუხა სიმტკიცის და გამძლეობის სიმბოლოა. ამ ძლიერი ხეების მახლობლად დროის გატარებამ შეიძლება ადამიანებს მიანიჭოს სტაბილურობის განცდა. მუხა იმ ხეთა სიაშია, რომლებიც მაღალი რაოდენობით ფიტონციდებს გამოიმუშავებენ;
4. **საკურა (Prunus serrulata) –** ალუბლის ყვავილი გამორჩეულია თავისი ულამაზესი, ეფემერული ყვავილებით, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანებს მოუტანონ სულიერი ამაღლების განცდა და ბუნების გარდამავალი სილამაზის დაფასების სურვილი;
5. **ნეკერჩხალი (Acer) –** ნეკერჩხლის ხეების ფოთლები ვიზუალურად ასტიმულირებს და აუმჯობესებს განწყობას. ნეკერჩხალი ცნობილია თავისი გამორჩეული ფოთლების ფორმისა და შემოდგომის ლამაზი ფერებით. მისგან, ასევე, ამზადებენ ნეკერჩხლის სიროფს;
6. **კვიპაროსი (Cupressus) –** კვიპაროსი ცნობილია თავისი მედიტაციური შთაგონების მომგვრელი ეფექტით. ხშირად გამოიყენება რეფლექსიურ დენდროთერაპიაში. კვიპაროსის ხეები მარადმწვანეა და აქვს გამორჩეული, ნემსისებრი ფოთლები;
7. **ტირიფი (Salix) –** ტირიფები დაკავშირებულია მოქნილობასთან და ადაპტირებასთან. მათ მოხდენილ ტოტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ემოციურ განთავისუფლებას და განკურნებას. ტირიფის ხეები ხშირად იზრდება წყლის მახლობლად და აქვთ გრძელი, წვრილი ფოთლები, რომლებიც ნაზად ქანაობენ ნიავზე;
8. **თელა (Ulmus) –** თელა უზრუნველყოფს თავშესაფრისა და დაცვის გრძნობას. ხშირად გამოიყენება თერაპიულ პირობებში უსაფრთხოებისა და კომფორტის განცდის შესაქმნელად;
9. **პეკანი (Carya illinoensis) –** პეკანი ასოცირდება სიუხვესთან. მათ შეუძლიათ უზრუნველყონ სიმდიდრისა და კეთილდღეობის განცდა, მათი ჩრდილი სასარგებლოა დასვენებისთვის. მისგან იღებენ, ასევე, საკვებ თხილს.

ხე-მცენარე (სახელწოდება და ფოტო)	შემცველობა	სამკურნალო თვისება
ფიჭვი	ეთეროვანი ზეთები, C-ვიტამინი, კაროტინი, ფიტონციდები	იყენებენ ვიტამინურ ნედლეულად, ინფექციური დაავადებების და ჭრილობების სამკურნალოდ. ფიჭვის ეთერზეთი გამოიყენება რევმატული ტკივილებისას შესაზელად და სასუნთქი გზების დაზიანების დროს ჩასასუნთქად
არყი	ეთერზეთები, საპონინები, C-ვიტამინი	გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდული, ანტისეპტიკური, ნაღველმდენი და შარდმდენი მოქმედება. არყის ხის წვენი საუკეთესო ვიტამინური საშუალებაა. ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოიხმარენ წვენს, არ უჩივიან მარილების დაგროვებასა და ქოლესტერინს

მუხა	გალოტანინები, პენტოზანები, პექტინები. რკო შეიცავს 40%-მდე სახამებელს, 5-8% სათრიმლავ ნივთიერებებს, 5% ცხიმოვან ზეთს, ცილოვან ნივთიერებებს	გამოიყენება, როგორც შემკვრელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება, პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, გინგივიტების, ფარინგიტების დროს
საკურა	ანტიოქსიდანტები, ფლავონოიდები, ეთერზეთები, კუმარინი	ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. დაბერების საწინააღმდეგო საშუალება და კანის მოვლა. ეთერზეთები ხშირად გამოიყენება არომათერაპიაში რელაქსაციის გასაუმჯობესებლად და სტრესის დონის შესამცირებლად. საჭმლის მომნელებელი სისტემის ჯანმრთელობა
ნეკერჩხალი	ანტიოქსიდანტები, ნეკერჩხლის სიროფი შეიცავს თუთიას, კალციუმს, მანგანუმს და მინერალებს	ნეკერჩხლის ყველაზე მნიშვნელოვანი სასარგებლო თვისებები არის ანტიბაქტერიული, ანტიდიაბეტური, კიბოს საწინააღმდეგო ეფექტები, და ასევე, სამკურნალო კარდიოლოგიური თვისებები
კვიპაროსი	ეთერზეთი: შეიცავს ალფა-პინენს, ცედროლს და ტერპენებს, რაც მას აძლევს ძლიერ ანტიმიკრობულ და ანთების საწინააღმდეგო თვისებებს. მდიდარია ტანინებითა და ფლავონოიდებით, რომლებსაც აქვთ ანტიოქსიდანტური მოქმედება	სარგებელი ჯანმრთელობისთვის: 1. რესპირატორული ჯანმრთელობა; 2. ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი; 3. ანტიმიკრობული და 4. სისხლის მიმოქცევის ჯანმრთელობა. ითვლება, რომ კვიპაროსის ეთერზეთი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ამცირებს ვარიკოზულ ვენებსა და ჰემოროიდებს

ტირიფი	სალიცინი: ასპირინის წინამორბედი, რომელიც მაღალი კონცენტრაციით გვხვდება ქერქში.- ფლავონოიდები და ტანინები	ქერქი ტრადიციულად გამოიყენება ტკივილის შესამცირებლად, განსაკუთრებით თავის, ზურგისა და სახსრების ტკივილის დროს. ტირიფის ქერქი ეფექტურია ანთების შესამცირებლად და გაციების სიმპტომების სამკურნალოდ. ასპირინის მსგავსად, ტირიფის ქერქში შემავალი სალიცინი ხელს უშლის სისხლის შედედებას და ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას
თელა	ტანინები, რომლებსც აქვთ ანტიოქსიდანტური და შემკვრელი თვისებები	თელას ქერქში არსებული ლორწოვანი გარსი ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობას, რაც მას სასარგებლოს ხდის გასტრიტის, წყლულების და კოლიტის სამკურნალოდ. თელას ქერქი გამოიყენებოდა ხველის, ბრონქიტისა და ყელის ტკივილის შესამსუბუქებლად. თელას ქერქი ეხმარება დამწვრობის, ჭრილობებისა და გაღიზიანების დროს მისი დამამშვიდებელი და სამკურნალო თვისებების გამო
პეკანი	პეკანის თხილი მდიდარია ჯანსაღი ცხიმებით, მაღალი ბოჭკოებით, ვიტამინებით (როგორიცაა ვიტამინი E) და მინერალებით (მაგნიუმი, თუთია). შეიცავს ისეთ ანტიოქსიდანტებს, როგორიცაა პოლიფენოლი	პეკანში მონოუჯერი ცხიმებისა და ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობა ხელს უწყობს ცუდი ქოლესტერინის შემცირებას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობას. პეკანი მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რომლებიც ხელს უწყობენ ანთების შემცირებას. პეკანი დიეტური ბოჭკოების კარგი წყაროა, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. პეკანში შემავალი ჯანსაღი ცხიმები და ვიტამინი E ხელს უწყობს ტვინის მუშაობას და იცავს მას კოგნიტური დაქვეითებისაგან

თუ განვიხილავთ გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო და, ზოგადად, კავკასიის რეგიონი წარმოდგენილია მრავალფეროვანი ხე-მცენარეებით, რაც დაკავშირებულია ტერიტორიის მრავალფეროვან კლიმატსა და ეკოსისტემებთან. მაგალითად, ფიჭვი, მისი რამდენიმე სახეობა კავკასიაშია, მათ შორის ქართული ფიჭვი (Pinus kochiana). ასევე, არყი, რომელიც გვხვდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში და სუბტროპიკულ მთებში. საქართველოში რამდენიმე სახეობაა: აჭარა-გურიაში მთის ზედა სარტყელსა და სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებში გვხვდება მედვედევის არყი (Betula medwedewii); კოლხეთის ენდემის მეგრული არყი (Betula megrelica) გავრცელებულია სამეგრელოსა და სვანეთის მთებში. აღსაღნიშნავია მუხა, საქართველოში გავრცელებულ მუხებს შორის ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს ქართულ მუხას. იგი მთელ ტყიან საქართველოში გვხვდება. მაღალმთის, ანუ აღმოსავლური მუხა (Quercus macranthera) უმეტესად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ნეკერჩხალი, რომლის 150-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიაში. საქართველოში ნეკერჩხალი გავრცელებულია დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე, უმრავლესობა – მთის შუა და ზემო სარტყლამდე. საქართველოში ვხვდებით კვიპაროსის ცხრა სახეობას. მათგან უფრო ფართოდაა გავრცელებული მარადმწვანე კვიპაროსი (Cupressus sempervirens). აგრეთვე, საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია ტირიფის 17 სახეობა. უმეტესობა მთის შუა, სუბალპურ და ალპურ სარტყლებში იზრდება (ხიდაშელი შ., პაპუნიძე ვ., 1980).

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია საქართველოში გავრცელებული იმ ხე-მცენარეებისა, რომლებიც შეიძლება დენდროთერაპიაში იყოს ჩართული.

3. დენდროთერაპია, როგორც ეკოთერაპიის ნაწილი

ზემოთ აღნიშნული ორივე პრაქტიკა შეიძლება გავაერთიანოთ ეკოთერაპიის ტერმინის ქვეშ. ეკოთერაპია არის თერაპიული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ბუნებასთან ურთიერთობას გონებრივი და ფიზიკური კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის. ასევე, ცნობილია, როგორც ბუნების თერაპია ან მწვანე თერაპია. ეკოთერაპია ემყარება იმ აზრს, რომ ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი კავშირი ბუნებრივ სამყაროსთან და ბუნებაში დროის გატარებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი სამკურნალო ეფექტი. ეს მიდგომა მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, მებაღეობიდან და გარე ვარჯიშებიდან დაწყებული ბუნებაში ცხოველების დახმარებით თერაპიამდე. სამეცნიერო თვალსაზრისით, ეკოთერაპია ეფუძნება მოძღვრებას, რომელიც იკვლევს კავშირს ბუნებასა და ჯანმრთელობას შორის. გარდა ფსიქოლოგიური და მენტალური ჯანმრთელობისა, ეკოთერაპიას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ეკოთერაპია დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა სარგებელთან, მათ შორის, არტერიული წნევის და გულისცემის შემცირებასთან. ითვლება, რომ ეს ეფექტები გამოწვეულია ბუნების დამამშვიდებელი და სტრესის შემცირების გავლენით. ბუნებაში დროის გატარებამ შეიძლება გააძლიეროს იმუნური სისტემა. ეს, ნაწილობრივ, გამოწვეულია მცენარეების მიერ გამოსხივებული ფიტონციდების, ანტიმიკრობული აქროლადი ორგანული ნაერთების ინჰალაციის გამო. ეკოთერაპიის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე დადებით როლს ადასტურებს ამ თერაპიის მიერ ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა. ეკოთერაპია ხშირად მოიცავს აქტივობებს, როგორიცაა სეირნობა, ლაშქრობა, მებაღეობა ან გარეთ ვარჯიში, რაც ბუნებრივად ხელს უწყობს ფიზიკურ ფიტნესს. ეს აქტივობები აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას, კუნთების სიძლიერეს და მთლიან ფიზიკურ გამძლეობას (Frumkin, H.; Bratman, G.N, 2017).

ასევე, მნიშვნელოვანია სოციალური სარგებელი – ჯგუფური ეკოთერაპიის სესიებს შეუძლია გააძლიეროს სოციალური ურთიერთქმედება და შეამციროს იზოლაციის გრძნობა.

საინტერესო მხარეა, აგრეთვე, ეკოთერაპიის როლი გარემოზე დადებითი ზემოქმედების პოპულარიზაციაში. ეკოთერაპია ხშირად მოიცავს აქტივობებს, რომლებიც უბიძგებს

ინდივიდებს ჩაერთონ და იზრუნონ გარემოზე, ის ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გრძნობას და ბუნებრივ სამყაროსთან კავშირს. ამან შეიძლება გამოიწვიოს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ქმედებები, რომლებიც ემთხვევა მდგრადი განვითარების პრინციპებს. თანამედროვე მეცნიერებაში ვხვდებით ეკოთერაპიასთან დაკავშირებულ ცალკეულ კვლევებს, თუმცა ის რჩება განვითარებად სფეროდ.

ხეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკოთერაპიაში მათი დამამშვიდებელი ეფექტისა და სარგებლობის გამო, რასაც ისინი აწვდიან როგორც გარემოს, ასევე ადამიანის ჯანმრთელობას. ბუნებრივ გარემოში ხეების არსებობა უზრუნველყოფს სიმშვიდის, სტაბილურობისა და დედამიწასთან კავშირის განცდას. ეკოთერაპიისადმი ინტერესის ზრდასთან ერთად, შეიძლება შეიქმნას უფრო სტრუქტურირებული პროგრამები და თერაპიები, რომლებიც კონკრეტულად ფოკუსირებულია ხეების თერაპიულ სარგებელზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ტყის თერაპიის სესიებს, ურბანულ გარემოში ხეების დარგვის ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და შემდგომ კვლევას ხეებზე დაფუძნებული თერაპიის სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ეფექტებზე.

4. ეკოთერაპია, როგორც გარემოსდაცვითი მექანიზმი

ეკოთერაპიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს გარემოს დაცვაში რამდენიმე პრაქტიკის გამოყენებით:

1. გარემოსდაცვითი ინფორმირებულობა – ადამიანების წახალისებით, გაატარონ დრო ბუნებრივ გარემოში, ეკოთერაპია ხელს უწყობს ღრმა ემოციურ კავშირს ბუნებრივ სამყაროსთან. ეს კავშირი ხშირად იწვევს გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას და ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვის სურვილს. ბევრი ეკოთერაპიის პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო კომპონენტებს, რომლებიც მონაწილეებს ასწავლიან ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემური სერვისების და მდგრადი პრაქტიკის მნიშვნელობას. როდესაც ადამიანები უფრო მეტს სწავლობენ ბუნებრივი სამყაროს შესახებ, ისინი უფრო მეტად უჭერენ მხარს კონსერვაციის ძალისხმევას და გარემოსდაცვით პოლიტიკას;
2. აღდგენისა და კონსერვაციის აქტივობები – ეკოთერაპია ხშირად მოიცავს ჯგუფურ აქტივობებს, როგორიცაა ხეების დარგვა, ჰაბიტატის აღდგენა და დასუფთავება. ეს აქტივობები არა მხოლოდ აუმჯობესებს გონებრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, არამედ უშუალოდ უწყობს ხელს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებასა და აღდგენას. ეკოთერაპიის პროგრამები ზოგჯერ მოიცავს ეკოლოგიურ აღდგენას, როგორც თერაპიულ აქტივობას. მონაწილეები ჩართულნი არიან ტყეების და ჭაობების აღდგენაში ან ინვაზიური სახეობების მოცილებაში, რაც ხელს უწყობს დეგრადირებული ეკოსისტემების რეაბილიტაციას;
3. მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული პრაქტიკა და ცხოვრების წესის ცვლილებები – ეკოთერაპია ხელს უწყობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ცხოვრების წესს, როგორიცაა ნარჩენების შემცირება, წყლის დაზოგვა და ენერგიის მოხმარების მინიმუმამდე შემცირება. ამ პრაქტიკის მიღებით, ინდივიდები ამცირებენ თავიანთ ეკოლოგიურ კვალს, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას. ბუნებასთან ურთიერთობა ხშირად იწვევს ადგილობრივი ეკოსისტემების უფრო დიდ შეფასებას და მდგრადი სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და თევზაობის პრაქტიკის მხარდაჭერის სურვილს. ეს გამოიწვევს მოთხოვნილებას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე და მხარს დაუჭერს კონსერვაციის ინიციატივებს;
4. გარემოს რეგენერაციული პრაქტიკა – ეკოთერაპიის ზოგიერთი ფორმა აერთიანებს აგროეკოლოგიას, რომელიც ფოკუსირებულია მდგრადი და რეგენერაციული სასოფლო-სამეურნეო სისტემების შექმნა-

ზე. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნებას, ნიადაგის ჯანმრთელობას და წყლის კონსერვაციას, რაც სარგებელს მოუტანს როგორც გარემოს, ასევე მასზე დამოკიდებულ რეგიონებს. ეკოთერაპია შეესაბამება ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების კონცეფციას, რომელიც იყენებს ბუნებრივ პროცესებს გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, წყლის მართვა და კატასტროფების რისკის შემცირება. ამ გადაწყვეტილებებში მონაწილეობით ან ადვოკატირებით, ეკოთერაპიის პრაქტიკოსები ხელს უწყობენ ეკოსისტემების გამძლეობასა და მდგრადობას;

5. ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების – ეკოთერაპიის პროგრამები ხშირად ტარდება ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებში, სადაც მრავალფეროვანი სახეობებისა და ეკოსისტემების არსებობა აძლიერებს თერაპიულ გამოცდილებას. თავის მხრივ, მონაწილეებს მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ მცდელობებს, რომლებიც იცავს ამ ტერიტორიებს, როგორიცაა ველური ბუნების დერეფნები, დაცული ტერიტორიები და სხვა ეკოსისტემის ჯანმრთელობის ხელშემწყობი აქტივობები, როგორიცაა ჯანსაღი ტყეების ან ჭაობების შენარჩუნება;
6. ურბანული მწვანე სივრცეები – ეკოთერაპიის პროგრამები ურბანულ რაიონებში ხშირად ფოკუსირებულია მწვანე სივრცეების შექმნასა და შენარჩუნებაზე, როგორიცაა ბაღები და პარკები. ეს სივრცეები უზრუნველყოფს ურბანულ გარემოში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას და სთავაზობს მოსახლეობას ბუნებასთან სიახლოვის ადგილებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების პასუხისმგებლობის გრძნობას გარემოზე.

ამგვარად, ეკოთერაპიას შეუძლია დადებითად იმოქმედოს გარემოს დაცვაზე. ჯანმრთელობისთვის ბუნების სარგებლიანობის მზარდმა აღიარებამ, ასევე, შეიძლება გავლენა მოახდინოს საჯარო პოლიტიკაზე, რაც გამოინვევს მწვანე სივრცის ინტეგრაციას ურბანულ დაგეგმარებაში და გარემოსდაცვითი რეგულაციების შემუშავებას, რომლებიც იცავს ბუნებრივ ჰაბიტატებს. უფრო მეტიც, როდესაც ეკოთერაპია იზიდავს, კვლევამ, რომელიც ხაზს უსვამს მის სარგებელს, შეუძლია მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო ინიციატივებს, რომლებიც ასწავლიან გარემოს დაცვის მნიშვნელობას. გრძელვადიან პერსპექტივაში ეკოთერაპია ხელს უწყობს კულტურულ ცვლილებას, რომელიც აფასებს და იცავს გარემოს, რაც მას მძლავრ ინსტრუმენტად აქცევს ბუნებრივი ეკოსისტემების დასაცავად.

დასკვნა

საქართველოს დენდროთერაპიის და, ზოგადად, ეკოთერაპიის განვითარებას დიდი პოტენციალი გააჩნია, აქ არსებული ბუნებრივი პირობების და მრავალფეროვანი ლანდშაფტების გამო. დღესდღეობით არ არსებობს რაიმე კვლევა თუ პროგრამა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ეკოთერაპიული მკურნალობის მეთოდის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. აღნიშნული კვლევების განვითარება ჩვენს ქვეყანაში, ხელს შეუწყობს არა მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვადასხვა მენტალური და ფიზიკური დაავადებებისგან პრევენციას, არამედ გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვას, რადგან ეკოთერაპია უნდა გავიგოთ, როგორც კომპლექსური მიდგომა, რომელიც თანადროულად აუმჯობესებს ადამიანის ჯანმრთელობას და ბუნებრივ გარემოს.

ეკოთერაპია გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების და გარემოს დაცვითი მექანიზმების ურთიერთკავშირს. ბუნებასთან გააზრებული და თერაპიული გზით ჩართვით, ინდივიდები არა მხოლოდ აძლიერებენ საკუთარ ჯანმრთელობას, არამედ ხელს უწყობენ გარემოს დაცვას. ეს ორმაგი სარგებელი ხდის ეკოთერაპიას მძლავრ ინსტრუმენტად როგორც ადამიანის, ასევე გარემოს ჯანმრთელობისთვის. ეკოთერაპია ხელს უწყობს გარემოს დაცვას ბუნებასთან უფრო ღრმა კავშირის ხელშეწყობით, მდგრადი პრაქტიკის წა-

ხალისებით და საქმიანობით, რომელიც უშუალოდ აღადგენს და იცავს ეკოსისტემებს. როდესაც ადამიანები განიკურნებიან ბუნებასთან ურთიერთქმედებით, ისინი უფრო მეტ ინვესტიციას დებენ ბუნების სამყაროს შენარჩუნებაში, ქმნიან პოზიტიური გამოხმაურების ციკლს.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულ თერაპიებს ორმაგი მნიშვნელობის სარგებლის მოტანა შეუძლია და მათი განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც მოსახლეობის ჯანმრთლობის გაუმჯობესების კუთხით, ასევე გარემოსდაცვით საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Berg M. A. (2024). Effect of Nature Space on Enhancing Humans' Health and Well-Being: An Integrative Narrative Review.
2. Cheglakov A.D. (2022). Features of emotional impact and therapeutic properties of wooden sculptures; European Journal of Humanities and Social Sciences.
3. Li, Q; Michalsen, A. (2019). International Handbook of Forest Therapy.
4. Frumkin, H.; Bratman, G.N.; Breslow, S.J.; Cochran and others (2017). Nature Contact and Human Health: A Research Agenda.
5. Maas J., Verheij A., Groenewegen P. (2006). Green space, urbanity, and health: how strong is the relation?
6. საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები, ხიდაშელი შ., პაპუნიძე ვ., 1980.
7. შეთეკაური შ. ბიომრავალფეროვნება, 2013.
8. https://moretolifemag.co.uk/dendrotherapy/
9. https://www.wordforest.org/2024/03/19/tatkaw2024-2/

საქართველოს რეგიონული ისტორიული გზების გეოგრაფიული თავისებურებანი

ლუკა დავითაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
გეოგრაფიის დოქტორანტი
lukadavitashvili@gmail. com

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა უკავშირდება ისტორიული გზების აღდგენას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ახალი ლოგისტიკური ქსელის შექმნა ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის მასშტაბით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული მარშრუტების შესაქმნელად, რათა გაიზარდოს შუა დერეფნის გამტარუნარიანობა. საკითხის სიღრმისეული შესწავლა ევროპისა და აზიის ერთმანეთთან უკეთ დაკავშირების და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გახდება.

ამრიგად, სტატიაში განხილულია რეგიონული ისტორიული გზების მნიშვნელობა, მათი ჩამოყალიბების ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორები და საუბარია მათი განვითარების პერსპექტივებზე.

საკვანძო სიტყვები: *ისტორიული გზები, გეოპოლიტიკა, სატრანზიტო დერეფანი, საქართველო*

GEOGRAPHICAL FEATURES OF REGIONAL HISTORICAL ROADS OF GEORGIA

Luka Davitashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ph. D. student of Geography
lukadavitashvili@gmail. com

Abstract

The relevance of the topic is related to the restoration of historical roads, through which it is possible to create a new logistics network throughout the country and the Caucasus region. This is especially important for creating alternative routes to increase the capacity of the middle corridor. An in-depth study of the issue will become a prerequisite for a better connection between Europe and Asia and the economic development of the country

Thus, the article discusses the importance of regional historical roads, historical-geographical factors of their formation and talks about their development prospects.

Key words: *historic roads, geopilitics, middle corridor, Georgia*

შესავალი

საქართველოში არსებული რეგიონული მნიშვნელობის ისტორიული გზების შესწავლა აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანაა. მათი აღდგენით შესაძლებელია ახალი ლოგისტიკური ჯაჭვის ჩამოყალიბება და რეგიონების განვითარება. უკრაინა-რუსეთის ომის ფონზე, ასევე, შესაძლებელია ახალი რეგიონული მარშრუტების შექმნა. საკითხის სიღრმისეული შესწავლა ევროპისა და აზიის ერთმანეთთან უკეთ დაკავშირების და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გახდება. ამისთვის კი აუცილებელია კასპიისა და შავი ზღვის დამაკავშირებელი რკინიგზის განვითარება და ტვირთბრუნვის გაზრდა. ისტორიული გზების გეოპოლიტი-

კურ ჭრილში განხილვა; მათი აღდგენის პერსპექტივების შესწავლა, რაც ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის განვითარების და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ამას გარდა, ამ გზების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის უკეთ გამოყენებას, რათა ეს მარშუტები არსებული გზების ალტერნატივა გახდეს.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო რეგიონებში საველე კვლევა და ადგილობრივი მოსახელეობის გამოკითხვა, რამაც საშუალება მომცა აღმედგინა ძველი მარშუტები.

შედეგები

1. რეგიონული მნიშვნელობის გზები საქართველოში

საქართველოში არსებული რეგიონული ისტორიული გზების შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. საქართველოში მათი განვითარების შესახებ საკმაო ცნობებს გვაძლევს ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი „ისტორიული გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში“ (1966 წ). მას გამოყენებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონისა და ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები, ასევე დავით აღმაშენებლის მემატიანის ცნობები და „მოქცევაი ქართლისაი“ (მეცხრე საუკუნე). ასევე, მნიშვნელოვანი წყაროა კვეზერელი-კოპაძის საქართველოს „ძველი ხიდები“ (1972 წ). ძველი ხიდების მიხედვით შესაძლებელია ისტორიული გზების მარშრუტების აღდგენა.

ისტორიული გზების შესახებ უცხოური ლიტერატურიდან აღსანიშნავია ჰერბერტ რაინჰოლდ იაკობსონის წიგნი: “A history of roads from ancient times to the motor age” (1940) და გულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (1962). საინტერესოა, ასევე, ემილ ავდალიანის წიგნები: „საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები VI-XIII სუკუნეები“ და „საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები XIII-XV საუკუნეები“.

მნიშვნელოვანია პროფესორ ზვიად კვიციანის ნაშრომი „საქართველო-ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები“ და ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი 1922 წლის რუკა, რომელიც არა მარტო ადმინისტარციულ დაყოფას, არამედ საქართველოს რეგიონების დამაკავშირებელ ისტორიულ გზებსაც ასახავს.

საქართველო მდებარეობს კავკასიის ცენტრში. შესაბამისად, მას ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი სავაჭრო ურთიერთობებში. იგი კავკასიის რეგიონში სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო იყო, რადგან მასზე გადიოდა ყველა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა. სწორედ ამიტომ მოსახლეობაც იქ სახლდებოდა, სადაც უძველესი საქარავნო გზები გადიოდა. ამ მიგრაციის თვალსაჩინო მაგალითია ჰერეთ-კამბეჩოვანი. ეს მხარე ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის გარიჟრაჟზე ქართველებთან ერთად ჰერული - (ალვანური) ტომებით იყო დასახლებული, მაგრამ უკვე უძველესი დროიდანვე შეიმჩნევა ქართველთა და, კერძოდ, ქართველ მთიელთა (არაგვისა და ივრის ხეობიდან) თანდათანობითი ჩამოსახლება ამ ტერიტორიაზე. ეს კარგად ჩანს როგორც ძველქართული წყაროების ცნობების შესწავლით, ისე ბერძნულ-ლათინური მწერლობის ჩვენებათა ანალიზით და, აგრეთვე, ძველი ტოპონიმიკის მონაცემებითაც. ეს მიგრაცია განპირობებული იყო იმით, რომ ივრისა და ალაზნის ქვემო წელის ველები შესანიშნავ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა, რაც აუცილებელი იყო მესაქონლეობის განსავითარებლად. მეორე მხრივ, როგორც ალაზნის ველის გაღმა მხარის ტერიტორიაზე, ისე მტკვარ-ალაზანს შორის მდებარე ივრის ზეგანზე უძველესი დროიდანვე არაერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი გადიოდა, რომლებზეც არა მხოლოდ რომაელი ლეგიონერები, არამედ „ვაჭარნი პრომნი და ბერძენნი“ და სხვანიც დადიოდნენ, რასაც ნუმიზმატიკური მასალა და ანტიკური ხანის საგზაო რუკებიც მოწმობენ (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, მეტრეველი, 2012).

ეს სავაჭრო მაგისტრალები, აგრეთვე, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქეთკენ მოსახლეობის მიგრაციისა. IV საუკუნისთვის ეს პროცესები იმდენად წინ წასული ჩანს და ჰერეთ-კამბეჩოვანის მიწებს იმდენად ინტენსიურად ითვისებდნენ, რომ ჩნდება კახეთის პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთიდან უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადმონაცვლების საჭიროება. თუკი უძველეს პერიოდში კახეთის ცენტრი ივრის ხეობის ზემო წელზე მდებარეობდა, IV საუკუნის პირველ ნახევარში იგი ივრის შუაწელზე ინაცვლებს. ამ პროცესის დასაწყისს უნდა მიუთითებდეს უჯარმის აღშენება, ხოლო მის დასარულს – მირიანის საქმიანობა, რომელმაც „მისცა ძესა მისსა რევს საუფლიწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას“ (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, მეტრეველი, 2012).

ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში დაამარცხა ოსები და გაამაგრა დარიალის კარი. ჯუანშერი გადმგვცემს: „წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა და დაიბანაკეს ორთავე სპათა ამიერ და იმიერ“. ვახტანგ გორგასალს დიდი პოლიტიკური გეგმები ჰქონდა დასახული, რომლის რეალიზაციასაც ჩრდილოეთიდან ქართლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ უმალვე შეუდგა. კერძოდ, ჩრდილო-კავკასიელ გადამთიელთა დამორჩილებისა და მათთან დაზავების შემდეგ, მეფემან განუტევნა ნიჯადნი სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა წარმოგზავნნა დაი მისი მირანდუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა დარიალისას და თვით ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისა, ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიიდან ვახტანგს დასავლეთ საქართველოში გაულაშქრია, როგორც ჩანს ქლუხორის ურელტეხილის გავლით.

შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ეს ზეკარი აკავშირებდა იმიერკავკასიას ამიერკავკასიასთან და ეს შესაძლოა ისტორიული გზა ყოფილიყო (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, მეტრეველი, 2012).

საქართველო ჯერ კიდევ VI საუკუნიდან რეგიონულ ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. აქ აღსანიშნავია, რომ ბიზანტიას სავაჭრო გზის გაჭრა სურდა ინდოეთამდე. იმპერატორ იუსტინიანეს მცდელობები საზღვაო გზა აემუშავებინა წარუმატებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, კონსტანტინოპოლის დიპლომატიის დღის წესრიგში აბრეშუმისა და სხვა ძვირფასი პროდუქციის მოსაზიდად ცენტრალურ აზიამდე და ჩინეთამდე მიმავალი სავაჭრო გზების მოძიების საკითი საკმაოდ მწვავედ დადგა. VI საუკუნე, ასევე, განსაკუთრებული დაძაბულობით იყო დახასიათებული ორი იმპერიის მეორე პერიფერიაზე – სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საომარი მოქმედებები თითქმის არ შეწყვეტილა. წმინდა სამხედრო კუთხით რეგიონი მნიშვნელოვანი იყო კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლებისთვის, ისევე როგორც თანამედროვე აფხაზეთის სანაპიროდან რუსეთის ტერიტორიაზე გასასვლელი დერეფნის დამორჩილებისთვის. ლაზიკის გეოგრაფიული მდებარეობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მცირე აზიის შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ბიზანტიურ პორტებამდე სამხედრო გემების გაგზავნის საშუალებას იძლეოდა. მეტიც, ლაზიკიდან ზღვით პოტენციურად კონსტანტინოპოლამდე მიღწევა შესაძლებელი იყო.

ლაზიკის გაკონტროლებით, ასევე, მარტივდებოდა უშუალოდ მცირე აზიაში, ბიზანტიის საზღვრებში შეჭრა. გეოგრაფიული ბარიერების კუთხით, ლაზიკა შედარებით მეტად იყო დაკავშირებული მცირე აზიასთან, ვიდრე ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით არსებულ ტერიტორიებთან. მთიანი ლანდშაფტი და ზღვა ლაზიკის ერთგვარ გეოგრაფიულ იზოლაციას განაპირობებდა, ლაზიკასთან ერთად, სვანეთის საკითხიც ხშირად განიხილებოდა ორი იმპერიის VI საუკუნის მეორე ნახევრის დიპლომატიურ ურთიერთობებში. სვანეთი კავკასიონის გადასასვლელების გამო იყო მნიშვნელოვანი. ის, დღევანდელთან შედარებით, ბევრად უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა და ოქროს მარაგებით იყო მდიდარი.

საქართველოს შავი ზღვისპირეთი ოდითგანვე იყო ჩართული სხვადასხვა მცირე და, სავარაუდოდ, საშუალო ზომის სავაჭრო ქსელში. მაგალითად, ა. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის

მსოფლიო რუკა ცნობილი, როგორც Tabula Peutingeriana, მიუთითებს ბევრ გზაზე, რომელიც არსებობდა იმ პერიოდში და მომდინარეობდა ირანიდან და არმენიიდან თანამედროვე თბილისის ტერიტორიისკენ, ხოლო დასავლეთით კი დიოსკურია-ფაზისამდე (ავდალიანი, 2019).

მდინარეები მტკვარი და რიონი აღმოსავლეთ საქართველოდან შავი ზღვისპირეთში სავაჭრო ნაწარმის გადატანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, სტრაბონი ფაზისს მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად მოიხსენიებდა (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, მეტრეველი, 2012).

საინტერესო ინფორმაცია, რომელიც მოგვეპოვება სტრაბონთან და შემდეგ პლინიუს უფროსთან უფრო იმ გზებს აღწერს, რომლებიც პოტენციურად შეიძლებოდა ამუშავებულიყო და არა უკვე არსებულ სავაჭრო მარშრუტებს. გეოგრაფიული დისტანცია კასპიის აღმოსავლეთ სანაპიროდან მდინარე მტკვრამდე პირდაპირი ხაზით 350კმ-ია. ტრანსკასპიური ვაჭრობა ნიშნავს იმას, რომ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე საკმაოდ დიდი სავაჭრო ცენტრები უნდა არსებულიყო და ყველა საშუალება დიდი კომერციული ფლოტის შესაქმნელად (ავდალიანი, 2019).

საყურადღებოა, თამარის მეფობის დროინდელი ცნობა: „მოუწოდეს სპათა... და შეკრბეს ჯავახეთს. და მოვიდა თამარ ვარძიას და გაგზავნა ვარძიით ლაშქარნი... და წარუძღვა ბასიანის კერძოთა და მიიწივნა მახლობლად კარისა და დადგეს დღისა ერთისა სავალსა“ (ემილავდალიანი, 2019).

საყურადღებო აქ ისაა, რომ ჯავახეთიდან ქართველთ ლაშქარი ბასიან-ყარსის გზით და არა არტაან-ოლთისზე გავლით მიდის. თავად ჯავახეთ-არტაანის გზაზე ცნობები გხვდება წიგნში „მოქცევაი ქართლისაი“ (მეცხრე საუკუნე) სადაც ავტორთა წარმოდგენით ამ გზით მიდიან მირიან მეფესთან კონსტანტინე კეისრის ელჩები: იოანე ეპისკოპოსი და მისთანა მოციქული. „და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვიან ერუშეთი და დაუტევნა მუნ ხურონი საქმედ ეკლესიისა და წამოვიდა და მოვიდა მანგლის დაიწყო ეკლესიასა“ (ლ. ცხოვრება მეფეთა, 99). თუ აქ მოხსენიებული „ერუშეთი შემდეგ დროის ერუშეთია და არა თვით არტაანი ან კიდევ აწინდელი ნაქალაქევი, როგორც ამას ვახუშტი ჰგონებს, ორივე შემთხვევაში ჩანს არტაან-ჯავახეთის გზის უძველესი მიმართულება: არტაანი-ნაქალაქევი (ერუშეთი)-ერუსეთი-ნიალის ველი-თმოგვი-ხიდი მდინარე მტკვარზე - წუნდა. ასევე, საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი რაჭა-ცხინვალის გზის შესახებ, რომელიც ვახტანგ მეექვსესთან ერთად გაიარა: „აქიდამ და კუდაროდამ გარდავალს გზა ქალაქ რცხინვალის ხეობასა ზედა, დვანის ხეობასა ზედა, ქართლში“. მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ ცნობები ამა თუ იმ მარშრუტის შესახებ საკმაოდ მწირია (ლეონტი მროველი, მე-11 საუკუნე).

ამრიგად, საქართველოზე გადიოდა რეგიონული მნიშვნელობის გზები, რომელზეც კონტროლის მოსაპოვებლად მრავალი იმპერია იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ სვანეთი კავკასიონის გადასასვლელების გამო იყო მნიშვნელოვანი. ის, დღევანდელთან შედარებით, ბევრად უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა და ოქროს მარაგებით იყო მდიდარი. რუკაზე ნათლად ჩანს ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი რეგიონული მარშრუტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას სამხრეთთან აკავშირებდა. აღსანიშნავია, რომ ამ გზამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კახეთის გაძლიერებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გზათა მთავარი მაგისტრალები ჯერ კიდევ მეცხრე-მეათე საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის ხიდებად კავკასიის კარნი იქცნენ. შესაბამისად, საქართველოს როლი ამ ფონზე გაიზარდა და მასზე კონტროლის მოპოვებას არაერთი იმპერია ცდილობდა. აღსანიშნავია, რომ მეთორმეტე საუკუნეში ქართულ ქალაქებს შორის ბევრი ქარავანი მოძრაობდა. სწორედ ამაზე მეტყველებს დავით აღმაშენებლის მემატიანე, რომელიც ამბობს: „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი ქუაფენილ ყუნა“. ძველი გზების მიმართულებათა დასადგენად უაღრესი მნიშვნელობა აქვს შემონახულ მატერიალურ ძეგ-

ლებს, მათ ნაშთებს: ქალაქები, ციხეები, დიდი ტაძრები, ქარვასლები, ხიდები. მეთორმეტე საუკუნის საქართველო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. კავკასიონის კარები თუ ზეკარები, შარვანისა, რანისა და სომხეთის გზები რუსთაველის დროინდელი საქართველოს შიდა გზები იყო. ფეოდალური საქართველოს გზები, ეკონომიკური თვალსაზრისით, არა რომელიმე ქალაქიდან გამოდიოდა, არამედ სასოფლო-სამეურნეო რაიონიდან.

ძველი გზების ისტორიაზე საინტერესო ცნობების მომცემია ძველი ხიდები. მათი საშუალებით შესაძლებელია ძველი მარშრუტების აღდგენა. ძველ საგზაო მაგისტრალზე, რომელიც მიემართებოდა ქუთაისიდან აღმოსავლეთ საქართველოში ჩხარი-სკანდით, არის დღევანდლამდე კარგად დაცული ორმალიანი ქვის ძველი ხიდი. საინტერესოა მასზე დატანილი წარწერა, რომელიც ასომთავრულითაა შესრულებული: „ქ. ბრძანებითა ღვთისათა აღვაგე ხიდი ესე მე გენათელმა ლორთქიფანიძე გედეონ, სულისა ჩემისა საოხად“. ეს ხიდი 1667 წლით თარიღდება (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, მეტრეველი, 2012).

თავისი გარეგანი სახით ყურადღებას იქცევს ძველი ქვის ხიდი მდინარე ჩოლაბურზე სოფელ ჭალატყესთან. არსებობდა ძველი გზა შორაპანი-სკანდა-ჩხარი-ქუთაისი, რომელზეც ეს ხიდი მდებარეობს.

საინტერესოა მტკარზე არსებული დამაკავშირბელი გზები - სოფელ ახალდაბაში, ტაშისკართან შემორჩენილი ქვის ხიდის ფრაგმენტი. ქალაქ გორთან, სოფელ ხიდისთავის პირდაპირ შემორჩენილია ხიდის ბურჯები. ვენეციელი ბერი მოსე ბჟიშკიანი თავისი მოგზაურობის აღწერის დროს იძლევა ცნობებს, რომ ქალაქ გორთან სამმალიანი ქვის ხიდი არსებობდა. ქართულ ისტორიულ წყაროებშიც გვხვდება ცნობები ამის შესახებ. 1609 წელს ყირიმის მფლობელი თათარხანი 30000 მეომრით ბაღდადის ომიდან ყირიმში ბრუნდებოდა. მან საქართველოზე გამავალი მარშრუტი აირჩია და გზა აებნა. მღვდელმა თევდორემ მტკვრის ხეობის ნაცვლად მეომრები სხვა მიმართულებით წაიყვანა, რის გამოც ის აკუწეს. დიდხნიანი ხეტიალის შემდეგ მტრის რაზმმა მიაღწია მტკვრის ხიდს გორთან. ქალაქის მაცხოვრებლებმა მათ გზა გადაუკეტეს. თათარხანის რაზმმა უკან დაიხია (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, მეტრეველი, 2012).

წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები, აგრეთვე ხალხური თქმულება-გადმოცემები მოწმობენ, რომ სვანეთს ძველთაგანვე მუდმივი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან: ბალყარელებთან, ყარაჩაელებთან, ყარაბადოელებთან, ოსებთან, ჩერქეზებთან და სხვა (სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II, გვ. 37, 46; თ. მიქელაძე, 1967, გვ. 107; Л. И. Лавров, 1956, გვ. 214; И. М. Мизиев, 1970, გვ. 522).

ჩრდილო კავკასიის ტომები ჯერ კიდევ სტრაბონის დროს მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან, დიოსკურია იყო ამ ტომთა შეხვედრის ადგილი (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 75). საქართველო, როგორც უძველესი დროიდან მაღალი კულტურისა და ეკონომიკის ქვეყანა, ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მეზობელ ხალხებზე, რაც ხშირად სვანეთის საშუალებით ხდებოდა. ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სავაჭრო გზების შესწავლას, რომელიც კულტურული კონტაქტების თვალსაზრისით გადამჭრელ როლს თამაშობდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,1922) საზოგადოებაზე.

ჩრდილო კავკასიისა და სვანეთის სოციალ-ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული განვითარებისა და ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას საგზაო კომუნიკაციების არსებობა წარმოადგენდა. სვანეთის სამიმოსვლო საშუალებათა ცხოველუნარიანობა დამოკიდებული იყო არა მარტო საკუთრივ სვანეთის ცხოვრებაზე, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე, აგრეთვე, მის მეზობლად თუ საგარეო ურთიერთობაში მიმდინარე ღრმა ცვლილებებზე.

სვანეთსა და მის გზებს სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებთან ერთად საგარეო-პოლიტიკური, სტრატეგიული მნიშვნელობაც გააჩნდა როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ისე შორეული ქვეყნებისთვისაც. ასეთი მომენტები აღნუსხულია ძველ

წერილობით წყაროებში და მატერიალური კულტურის ძეგლებში.

დღეისათვის არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კარტოგრაფიული მასალის: წერილობითი და ზეპირი გადმოცემების შეჯერების შედეგად ჩანს, რომ საუღელტეხილო გზები თითქმის თანხვდება ძველ მიმართულებებს (ჩართოლანი, 2010).

სვანეთის საკომუნიკაციო გზებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცენტრალური კავკასიონის უძველესი მაგისტრალების საკვანძო სისტემაში. ისინი მოცემულ რეგიონში ერთმანეთს უერთდება და გზასაყარს ქმნის. ეს გზები ისტორიული კოლხეთიდან და შიდა ქართლიდან ჩრდილოთ კავკასიისაკენ მიემართებოდა. სვანეთის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, რომელიც სვანეთის ნაწილს ჩუბეხევსა და მისმიანეთს (ახლანდელი აფხაზეთ-სვანეთი – კოდორის ხეობა) შავ ზღვასთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. აღნიშნული გზა მდ. კოდორის ხეობიდან მდ. ყუბანის და მისი შენაკადების აუზებში გადიოდა კლუხორის უღელტეხილით. იგი დღეისათვის კარგად ცნობილი სოხუმის სამხედრო გზაა. კლუხორის გადასასვლელი (2781 მ. ზღ.დ.) კოდორის ხეობიდან თებერდის ხეობაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვილად მისადგომი და უმოკლესი გზაა დასავლეთ საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ გადასასვლელის ძველი სახელწოდება ისტორიულ წყაროებში ჯერ არ ჩანს. ბერნადაცის ცნობით, 1367 წელს გამოცემულ ვენეციურ რუკაზე ნაჩვენებია უსახელო გზა ამ გადასასვლელით. კლუხორ-თებერდის ეს გზა საკმაოდ ცნობილია. ამ უღელტეხილით ძველთაგანვე სარგებლობდნენ ბერძნები და რომაელები, ბიზანტიელები და თურქები, გენუელები და ვენეციელები და, რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.



ნახ. 1. რეგიონული მნიშვნელობის ისტორიული გზები

დასკვნა

საქართველოზე გადიოდა რეგიონული მნიშვნელობის გზები, რომელზეც კონტროლის მოსაპოვებლად მრავალი იმპერია იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ სვანეთი კავკასიონის გადასასვლელების გამო იყო მნიშვნელოვანი. ის, დღევანდელთან შედარებით, ბევრად უფ-

რო დიდ ტერიტორიას მოიცავდა და ოქროს მარაგებით იყო მდიდარი. რუკაზე ნათლად ჩანს ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი რეგიონული მარშრუტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას სამხრეთთან აკავშირებდა. დღესაც, ამ მარშრუტის აღდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია თბილისის გვერდის ავლით სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და კახეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი ახალი მარშრუტების შექმნა.

ისტორიული და თანამედროვე გზების შედარება გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, რომ გეოგრაფიულ პირობებს მათი ჩამოყალიბებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მიერ ჩამოყალიბებული დარიალი ხორნაბუჯის გზაზე შემდგომ საქართველოს სამხედრო გზამ გაიარა და ეს მარშრუტი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. იგი მიუყვება არაგვის ხეობას და თბილისამდე აღწევს. საინტერსოა, რომ ივრის ხეობის გზამ გომბორზე გადაინაცვლა, ვინაიდან აქ სავაჭრო ქარავნებმა მოძრაობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შეწყვიტეს. ჯავახეთიდან ქვემო ქართლში გზა ფარავნის ტბასა და ქციას ხეობაზე გადის. ეს მარშრუტი დღესაც მოქმედია, თუმცა ზამთარში ხშირად იკეტება თოვლის საფარის გამო. საინტერესოა, რომ შიდა ქართლიდან ლიახვის ხეობის გავლით ერწო-წონას ქვაბულისკენ და შემდეგ რაჭისკენ გადასასვლელი იყო, აბასთუმნიდან ზეკარის უღელტეხილის გავლით იმერეთისკენ მიმავალი გზა, რომელიც დღესაც მოქმედია, თუმცა საჭიროებს განახლებას. შიდა ქართლსა და ქვემო ქართლს თრიალეთის ქედზე გამავალი მაგისტრალი აკავშირებდა, რომელიც კავთურისა და თეძმის ხეობებს მიუყვებოდა, თუმცა ახლა იგი სრულიად მივიწყებულია. მანგლისიდან თბილისში გზა დიდგორის გავლით მიდიოდა. ახლა ეს მარშრუტი კვლავ არსებობს და მისი მეშვეობით თონეთიდან ბაგებში ჩასვლა ნახევარ საათშია შესაძლებელი.

კვლევის პერსპექტივები

ისტორიული გზების შესახებ არსებული მონაცემები გვაძლევს საშუალებას შეიქმნას ახალი მარშრუტები. მ გიულდენშტეტი, რომელმაც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნეში იმოგზაურა, აღწერს შიდა ქართლისა და კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს, შიდა ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელ, ასევე, რეგიონებიდან თბილისში მიმავალ გზებს. იგი აღწერს ამ რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ სიტუაციას. ამასთანავე საინტერესოა მისი ცნობები სოფლის მეურნეობის შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ისტორიული გზების აღდგენა და ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება. მაგალითად, შესაძლებელია ქუთაისი-სკანდე-შორაპანი-სურამის მარშრუტის აღდგენა და ის შეიძლება გახდეს მშენებარე მაგისტრალის ალტერნატივა. ასევე, შესაძლებელია ხონის გავლით იმერეთისა და სამეგრელოს დაკავშირება და ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება. ძალიან საყურადღებოა მცოცავი ოკუპაციის მიახლოვება საქართველოს მთავარ ავტომაგისტრალთან, რაც ქვეყნის მთავარი საგზაო არტერიისათვის უდიდეს რისკს წარმოადგენს; ამისათვის აუცილებელია, ალტერნატიული საგზაო მონაკვეთების არსებობა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის დამაკავშირებელი მაგისტრალის სახით, რომელიც ახალციხე-ბათუმის საგზაო მონაკვეთის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ჯერ კიდევ არ შექმნილა, შესაბამისად, ქვეყანა კვლავინდებურად მხოლოდ თბილისი-სენაკი--ლესელიძის ავტომაგისტრალზეა დამოკიდებული (თ. სიდამონიძე, საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის ფუნქციონირებისა და განვითარების გეოგრაფიული კანონზომიერებები, 2020).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ავდალიანი, საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები, (XIII-XIV სს.) თბილისი, 2019.
2. ემილ ავდალიანი, საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები, (VI- XIII სს.), თბილისი, 2019.
3. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966.
4. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928.
5. ზ. კვიციანი, საქართველო-ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები, 2018.
6. ა. კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბილისი, 1972; გვ. 1-60.
7. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II, გვ. 37, 46.
8. თ. მიქელაძე. 1967, გვ. 107.
9. Л. И. Лавров, 1956, გვ. 214; И. М. Мизиев, 1970, გვ. 522.
10. შ. ჩართოლანი, შრომები, 2010.
11. www.igstraveltogeorgia. asm.ge

ევროპის მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების ზოგიერთი თავისებურება

(იტალიის და ავსტრიის მაგალითზე)

ანა ჩართოლანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო
უნივერსიტეტის გეოგრაფიის მაგისტრი
საქართველო, თბილისი
Chartolani.ani@gmail.com

აბსტრაქტი

მაღალმთიან რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დაძლევის ყველაზე სწრაფ და უნივერსალურ საშუალებად სამთო ტურიზმის განვითარება მიიჩნევა. ტურიზმის სწორედ ამ მიმართულებას აქვს შესაძლებლობა, რომ გახდეს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არსებული გამოწვევების გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება, რაც ზრდის ქვეყნის განვითარებაში მის მნიშვნელობას.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმი სახელდება. ყოველწლიურად იზრდება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების, შესწავლის, შეფასების, წარმოჩენისა და მართვის მნიშვნელობა. თუმცა აღნიშნული რესურსების კომპლექსური, სივრცე-დროითი თავისებურებების კვლევა მოითხოვს არაერთი სამეცნიერო დისციპლინის ინტეგრაციას. ამგვარ პროცესში განსაკუთრებული როლი გეოგრაფიულ მეცნირებას ეკუთვნის, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს ტურიზმის განვითარების სივრცე-დროითი თავისებურებანი მსოფლიოს არაერთ მთიან რეგიონში.

სტატიაში განხილულია ევროპის მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იტალიის და ავსტრიის გამოცდილებაზე.

საკვანძო სიტყვები: *მთიანი რეგიონები, მთის ტურიზმი, ევროპა, ტურისტული რესურსები, დაცული ტერიტორიები*

SOME USAGE FEATURES OF TOURIST-RECREATIONAL RESOURCES OF MOUNTAINOUS REGIONS OF EUROPE

(on the example of Italy and Austria)

Ana Chartolani
Master of Geography,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia
Chartolani.ani@gmail.com

Abstract

Mountain tourism development is considered the universal solution to socio-economic challenges occurring in mountainous regions. This type of tourism has an opportunity to become one of the means of solving the challenges in the mountainous areas of Georgia, which increases its role in our country.

Tourism has become one of the major fields of the economic development of Georgia in previous years. The importance of tourist-recreational resource application, research, evaluation, and management is increasing

yearly. However, complex research of those resources requires the integration of many scientific fields, in which Geography has a crucial role due to its capacity to detect space-time features of tourism development in mountainous regions of the world.

The paper discusses tourism development and tendencies of the European mountain regions, where special attention is attracted to the expertise of Italy and Austria.

Keywords: *Mountainous regions, Mountain tourism, Europe, Tourism resources, Protected areas*

შესავალი

ამჟამად ტურიზმი წარმოადგენს სწრაფად მზარდ ინდუსტრიას, რომელიც პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასა თუ რეგიონში. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, რომლის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმი სახელდება. იგი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის არსებით საშუალებად გვევლინება.

უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოს მთიან რეგიონებში მიმდინარეობს მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლიასა, სოციალურ პრობლემებს და მიგრაციას უკავშირდება.

საქართველოს მთიანი რეგიონები გამოირჩევა ბუნებრივი პირობების და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების მრავალფეროვნებით, ეგზოტიკური ლანდშაფტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჰარმონიული თანაარსებობით, უნიკალური ეკოლოგიური კულტურით და გარემოს გამოყენების რამდენიმეათასწლოვანი ტრადიციებით.

საქართველოს არაერთ მთიან რეგიონში აქტიურად ხორციელდება ტურიზმის სერვისების გაფართოება, მცირე თუ საშუალო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს არსებული ტურისტული სერვისები და ინფრაქსტრუქტურა. თუმცა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის მთიანი რეგიონების გამოცდილებას, სადაც ტურიზმი მოსახლეობის რეიმიგრაციის და ამგვარი რეგიონების მდგრადი განვითარების არსებითი წინაპირობა გახდა.

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ფონზე, დღის წესრიგში დგება რეკრეაციულ-ტურისტული რესურსების კომპლექსური შეფასების, საერთაშორისო გამოცდილების და მასზე დაყრდნობით, მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების გეგმების შემუშავება, სივრცითი დაგეგმარება და რესურსების მართვა.

კვლევის მეთოდები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ევროპის მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების ფორმების შესწავლა და სამთო ტურიზმის განვითარების თავისებურებების წარმოჩენა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეისწავლეს ევროპის მთიანი რეგიონების ტურისტული რესურსების გამოყენების სპეციფიკის სამეცნიერო წყაროები, გამოყენებულ იქნა გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის, შეფასების და კლასიფიცირების მეთოდები.

შედეგები

სამხრეთ ტიროლი, იტალია

სამხრეთ ტიროლი არის იტალიის ავტონომიური პროვინცია, რომელიც მდებარეობს იტალიის ალპების ჩრდილოეთ ნაწილში და ესაზღვრება ავსტრიასა და შვეიცარიას. პროვინციის ფართობი 7400 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა აჭარბებს 530 000-ს. სამხრეთ ტიროლი ოფიციალურად არის სამენოვანი რეგიონი, სადაც საუბრობენ გერმანულ, იტალიურ და ლადინურ (Ladin) ენებზე (Windegger et al., 2022).

სამხრეთ ტიროლის ტურიზმის ისტორია მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება, როცა რეგიონში სარკინიგზო მაგისტრალი შევიდა და ვიზიტორებისთვის რამდენიმე სასტუმრო აშენდა, რაც ხაზს უსვამს ტურიზმის გან-

ვითარებაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას. იქიდან გამომდინარე, რომ სამხრეთ ტიროლი ალპური რეგიონის იდეალური სურათია, ვიზიტორებს შორის თავიდანვე მაღალი დაინტერესებით და პოპულარობით გამოირჩეოდა. დღესაც, ტურიზმის ძირითად საფუძველს აქ არსებული ბუნებისა და საუკუნოვანი ტრადიციების ის კომბინაცია წარმოადგენს, რის შედეგადაც მოსახლეობა არსებულ გარემოსთან ჰარმონიულ თანაარსებობას ახერხებს. რეგიონის ბუნებრივი თუ კულტურული ლანდშაფტი წარმოადგენს ტურიზმის მნიშვნელოვან აქტივს, რადგან გამოირჩევა ულამაზესი პეიზაჟების სიუხვით.

რეგიონის ტურიზმის სტრატეგიული ხედვა ეყრდნობა მდგრადი განვითარების პრინციპებს, რის მიხედვითაც – ტერიტორია, სადაც დაცულია მიმზიდველი ლანდშაფტები და კულტურული რესურსები, არსებობს ტურიზმის მდგრადობის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ისევე, როგორც სხვა მთიანი რეგიონების ტერიტორიის მორფოლოგია, სამხრეთ ტიროლიც ხასიათდება მთებითა და ღრმა ხეობებით, ის ცნობილია თავისი ბუნებრივი ლანდშფტებით, რომელიც რეგიონის სრული ფართობის 90%-ს მოიცავს. სამხრეთ ტიროლის ზედაპირის მეოთხედი შედგება დაცული ტერიტორიებისგან (Morello & Oggiano, 2015), რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვა და კონსერვაცია მათ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს (Windegger et al., 2022).

სამხრეთ ტიროლის დაცული ტერიტორიების ძირითად ბირთვად მიიჩნევა იტალიის ალპების ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე, მსოფლიოში დოლომიტების სახელით ცნობილი მთიანი უბანი (Windegger et al., 2022), რომლის ფართობი 141 903 არის ჰა და აერთიანებს 18 მწვერვალს, რომელთა სიმაღლე 3 000 მეტრს აღემატება. აღნიშნული ტერიტორიები UNESCO-ს მიერ ლანდშაფტის ესთეტიკური და სამეცნიერო (გეოლოგიასა და გეომორფოლოგიაში) ღირებულების გამო, 2009 წელს UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის (WHS) ძეგლად გამოცხადდა (UNESCO, 2009).

ამასთან ერთად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვხვდებით დოლომიტების კონსერვაციის სხვა ინსტრუმენტებსაც:

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – ალპინიზმი;
- ბიოსფერული რეზერვატი – Ledro Alps and Judicaria;
- გეოპარკი – Adamello-Brenta UNESCO Global Geopark;



ნახ. 1. დაცული ტერიტორიების გავრცელება, სამხრეთ ტიროლის პროვინცია, იტალია (https://nature-parks.province.bz.it/en/home)

ისეთ რეგიონებში, როგორიცაა სამხრეთ ტიროლი, გარემოს დაცვაზე დაფუძნებული ტურიზმის ინდუსტრია დამოკიდებულია გარემოს რეკრეაციულ შესაძლებლობებზე, მის მიმზიდველობასა და ხარისხზე. როგორც წესი, ბუნებრივი და კულტურული გარემოს სიამოვნებაზე დაფუძნებული ტურიზმი შესაძლოა გახდეს ბუნების დაცვის მამოძრავებელი ძალა, მას შეუძლია ფართო სადისტრიბუციო არხების მეშვეობით დადებითი როლი ითამაშოს საზოგადოების ცნობიერებისა და გარემოსდაცვითი განათლების დონის ამაღლებაზე და უზრუნველყოს ჰაბიტატების დასაცავად საჭირო ეკონომიკური სტიმულირება.

ზოგად ჭრილში, ტურიზმის კონკრეტულ სეზონურ ორიენტაციებს წარმოადგენს ლაშქრობა ზაფხულის, თხილამურებით სრიალი - ზამთრის განმავლობაში. თუმცა, კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალი ბევრად მრავალფეროვანია. დოლომიტები ზაფხულის, გაზაფხულისა და ადრეული შემოდგომის პერიოდში იძლევა გამორჩეულ შესაძლებლობებს ლაშქრობისთვის, ფერატაზე ცოცვისთვის (Via Ferrata), კლდეზე ცოცვისთვის, მთამსვლელობისთვის, სამთო ველოსიპედით გადაადგილებისთვის, პარაგლაიდინგისთვის და სხვა ექსტრემალური აქტივობებისთვის. ზამთრის პერიოდი კი დაკავშირებულია სამთო სათხილამურო მიმართულებებთან (Tourism in the Dolomites).

ტურიზმი

ამჟამად ტურიზმი წარმოდგენილია მთელს რეგიონში. მართალია ალპური გეომორფოლოგიის გამო მხოლოდ 6.6% (486 კვ.კმ) იძლევა სამოსახლო ტერიტორიად გამოყენების საშუალებას, თუმცა ადგილობრივები წარმატებით ახერხებენ არსებული ტერიტორიის პოტენციალის სრულად ათვისებას (სოფლის მეურნეობის, დასახლებების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებისთვის).

სამხრეთ ტიროლში დაახლოებით 10 300 სასტუმრო და ჰოსტელია, რომელთა საერთო ტევადობა 220 000 საწოლს წარმოადგენს, საშუალო წლიური ვიზიტორების რაოდენობა 5.5 მილიონია (28 მილიონი ღამისთევა წელიწადში). ტურისტების საშუალო დღიური დანახარჯი 119 ევროს შეადგენს, რაც ხაზს უსვამს ამ რეგიონისთვის ტურიზმის შემოსავლებს. სამხრეთ ტიროლის ეკონომიკაში ტურიზმის მნიშვნელობა კარგად ჩანს ადგილობრივ მშპ-ს წარმოებაში, სადაც 2019 წელს მან 11.4%-ს მიაღწია. ტურისტების დასვენების ძირითად სახეობებს წარმოადგენს სპორტული (54%), გასტრონომიული (31%) და საოჯახო (20%) აქტივობები (Windegger et al., 2022).



ნახ. 2. დაცული ტერიტორიებისა და ტურიზმის ინტენსივობის ურთიერთდამოკიდებულება, სამხრეთ ტიროლის პროვინცია, იტალია

ამასთანავე, იმის საილუსტრაციოდ თუ კონსერვაციული მიზნების გარდა, რამდენად დიდია დაცული ტერიტორიების გავლენა ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებზე, მაგალითისთვის მოყვანილია სამხრეთ ტიროლის რუკა, სადაც დაცული ტერიტორიებისა და ტურიზმის ინტენსივობის დამოკიდებულებაა ნაჩვენები. რუკის მიხედვით, რაც უფრო ახლოს მდებარეობს დასახლება დაცული ტერიტორიებისგან, მით უფრო მაღალია ტურისტული დატვირთვაც.

ამგვარად, სამხრეთ ტიროლის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ მიერ დაცული ტერიტორიები ორი განსხვავებული მიმართულების მიზანს ემსახურება: გარემოს დაცვასა და ტურიზმის განვითარებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებლად.

ამასთანავე, დაცული ტერიტორიების დატვირთვა იზრდება და საზოგადოების მიერ დიდ აღიარებას პოულობს, რადგან მათ ძირითად ბირთვს წარმოდგენს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი – დოლომიტების მთიანი უბანი, სადაც, ასევე, UNESCO-ს დაცვის ქვეშ გვხვდება ალპინიზმი, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, ბიოსფერული რეზერვატი და გეოპარკი.

აღმოსავლეთ ტიროლი, ავსტრია

ტიროლი ავსტრიის ერთ-ერთი პროვინციაა, რომლის ფართობიც 12,648 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს და სიდიდით მესამე ადგილს იკავებს ავსტრიაში. რეგიონის სრული ფართობიდან მხოლოდ 1,580 კვადრატული კილომეტრია დასახლებული, აქ 279 დასახლებული პუნქტი და 11 ქალაქია, რომელთა შორის ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი ქალაქ ინსბრუკს გააჩნია. რეგიონის მოსახლეობა 700 000-ს აჭარბებს. ისევე როგორც სამხრეთ ტიროლის, ტიროლის ტერიტორიის მეოთხედზე მეტი ნაკრძალს წარმოადგენს. ავსტრიის ეს რეგიონი ცნობილია 500 მწვერვალით, რომელთა სიმაღლე 3 000 მეტრს აღემატება (Huber et al).

ავსტრიული სტუმართმოყვარეობა, ტურისტული სერვისების ფასისა და ხარისხის კარგი თანაფარდობა და მაღალი დონის ინფრასტრუქტურა არის მიზეზი, რომ მსოფლიოს მასშტაბით ავსტრია მიიჩნევა ზამთრის ტურიზმში ერთ-ერთ საუკეთესოდ (ADVANTAGE AUSTRIA, 2024). მხოლოდ ტიროლის რეგიონის ტერიტორიაზე 96 ზამთრის კურორტი მდებარეობს, 1000 საბაგიროთი და 3400 კმ სათხილამურო ტრასით (STERN, 2018), რაც მას ზამთრის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით მოწინავეს ხდის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საბაგიროების 80%-ზე მეტი მუშაობს ზაფხულის სეზონის განმავლობაშიც, რაც ხელს უწყობს რეგიონების მთელი წლის განმავლობაში ტურისტულ დატვირთვას. ზაფხულის სეზონის აქტივობები უმეტესად უკავშირდება ლაშქრობას, მთის ველოსიპედს, ცოცვას, გასართობი პარკებით სარგებლობას და ხელოვნურ ტბებთან დაკავშირებულ სხვა რეკრეაციული აქტივობებს. იმის მიუხედავად, რომ ავსტრია ზაფხულის აქტივობებისთვის საჭირო ინფრაქტრუქტურითაც გამოირჩევა, მაინც დამსვენებელთა ორი მესამედი ქვეყანას ზამთრის სეზონზე სტუმრობს. საბაგიროებით ყოველწლიურად 600 მილიონამდე ადამიანის ტრანსპორტირება ხდება (ADVANTAGE AUSTRIA, 2024) და მხოლოდ ტურიზმის სექტორში 48 000 ადამიანია მუდმივად დასაქმებული (Facts and Figures on Tourism in Tirol – Tirolean Tourism – Tirol-werbung.at) თუ არ ჩავთვლით ტურიზმში პიკურ პერიოდში დამატებით, მოკლე სამუშაო პერიოდით, აყვანილ მუშახელს.

ტიროლის მაღალმთიანი რელიეფისა და კლიმატის თავისებურებებმა განაპირობა სამთო-სათხილამურო კურორტების შთამბეჭდავი რაოდენობა, მათი ფართობული გავრცელება, თუ სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე, თუმცა მსოფლიო კლიმატის ცვლილების ფარგლებში აუცილებელობა ჩნდება კურორტები ადაპტირდეს თანამედროვე გამოწვევებთან, რომლებიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ინტენსივობით იჩენს თავს.



ნახ. 3. სამთო-სათხილამურო საბაგიროებისა და ტრასების რუკა, სამხრეთ ტიროლის პროვინცია, ტიროლი (https://images.app.goo.gl/NKWKnk2QaCp1MFqK7)

მაგალითისთვის განვიხილოთ რეგიონის ერთ-ერთი სამთო-სათხილამურო კურორტი The SkiWelt, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე ინფრასტრუქტურით. აღნიშნული კურორტი 2017 წელს დასახელდა „წლის ეკოლოგიურ სათხილამურო კურორტად“. კურორტს ხელოვნური გათოვლიანების 1000 მოძრავი/-მობილური თოვლის ქვემეხი აქვს, 800 ფიქსირებული, რისი დახმარებითაც მთლიანი ტრასების 80%-ის გათოვლიანება არის შესაძლებელი.

ხელოვნური თოვლის დასამზადებლად საჭირო წყლის რეზერვუარების რაოდენობა 16-ს შეადგენს, ისინი თოვლის ნადნობი და წვიმის სახით მოსული ნალექით მარაგდება. ასევე, თოვლის დამზადების პროცესში არ ხდება წყალში ქიმიური ნივთიერებების შერევა, რაც უარყოფითი ზემოქმედებისგან იცავს მცენარეულ საფარსა და ნიადაგს. ელექტროენერგიით მომარაგება ხდება ერთ-ერთი უახლოესი ჰიდროელექტროსადგურიდან, რაც უზრუნველყოფს 90 საბაგიროსა და ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მუშაობას (COVE, 2022).

ასევე, მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ ავსტრიაში ჯერ კიდევ 1992 წლიდან მოქმედებდა „ტიროლის საბაგიროების პრინციპების“ პროგრამა, რაც მიზნად ისახავდა სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურისთვის სივრცითი დაგეგმარების პოლიტიკის შემოტანას და მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული წესი: აღარ მოხდეს ახალი ტერიტორიების ზამთრის კურორტებად ათვისება, არამედ განხორციელდეს უკვე არსებულ ტერიტორიებზე.

აღნიშნული პროგრამა ისტორიის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა. 2005 წელს საბოლოოდ მოხდა „ტიროლის საბაგიროებისა და სათხილამურო ზონის პროგრამის“ მიღება, რომელსაც იურიდიული ძალა მიენიჭა. მართალია, აღნიშნული პროგრამა რამდენიმე წელიწადში ერთხელ ფორმირდება, იცვლება და ერგება ახალ გამოწვევებს, თუმცა უცვლელი რჩება პრინციპი, რომ ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და სამთო კურორტების განვითარების ფარგლებში, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს ბუნებრივ გარემოს (STERN, 2018).

ამრიგად, ტიროლი წარმოადგენს ზამთრის ტურიზმში ერთ-ერთ წამყვან რეგიონს ევროპის მასშტაბით, რომელიც ვიზიტორების თანამედროვე მოთხოვნებს სრულად პასუხობს და რომლის განვითარების გეგმები და სტრატეგიები ორიენტირებულია მდგრადი განვითარების პრინციპებზე. რეგიონში, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებს, ხდება ზამთრის კურორტების აღნიშნულ პროცესებთან ადაპტირება.

იქიდან გამომდინარე, რომ სამთო-სათხილამურო კურორტების მშენებლობა გულისხმობს ბუნებრივ გარემოში მკვეთრ ჩარევას და ადგილობრივი ტყის, ნიადაგისა და მცენარეული საფარის ცვლილებას, რაც ახდენს ლანდშაფტის სახის გარდაქმნას, აღნიშნული საკითხის გადაჭრისთვის ავსტრიას გააჩნია სივრცითი განვითარების გეგმები და პროგრამები, რომლებიც იურიდიული ძალით ზღუდავს გარკვეული პროექტების განხორციელებას.

ტურიზმის სახეობები ევროპის მთიან რეგიონებში

იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომის სამომავლო, პერსპექტიულ მიზანს სამთო ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება წარმოადგენს, აუცილებელია აღნიშნული ტერმინის განსაზღვრა და მის ირგვლივ არსებული ინფორმაციის მოკლე მიმოხილვა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის თანახმად, **სამთო ტურიზმი** არის „ტურისტული საქმიანობა, რომელიც მიმდინარეობს მთიანი უბნის განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში და ისეთი გამორჩეული მახასიათებლებით ხასიათდება, როგორიცაა: თანდაყოლილი სპეციფიკური ლანდშაფტი, ტოპოგრაფია, კლიმატი, ბიომრავალფეროვნება (ფლორა და ფაუნა) და ადგილობრივი საზოგადოება. იგი მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, რომელთა განხორციელებისთვისაც საჭიროა ღია ცის ქვეშ ყოფნა და ბუნებასთან კავშირი“. მთიანი ტერიტორიები მრავალფეროვანი ტურისტული შესაძლებლობებით გამოირჩევა, მათი კატეგორიზაცია და განმარტებები გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემდეგნაირად ჩამოყალიბდა (FAO and UNWTO, 2021):

ზამთრის და სპორტული ტურიზმი

ზამთრის და სპორტული ტურიზმი ხასიათდება მაღალმთიან რელიეფზე, თოვლიან სეზონზე განხორციელებული აქტივობებით, რომლებიც მოიცავს: სამთო თხილამურობას, მყინვარზე სრიალს, ჰელი-სკის, სნოუბორდინგს და სხვა მრავალ ექსტემალური სპორტის სახეობას.

საფეხმავლო ტურიზმი

ტურიზმის ეს სახეობა ვიზიტორებს აძლევს საშუალებას ისიამოვნონ მთის პეიზაჟებით, ბიომრავალფეროვნებით და ახლოს გაეცნონ ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას. იქიდან გამომდინარე, რომ ტურიზმის სფეროში სულ უფრო იზრდება ინტერესი ავთენტური ცხოვრების წესისა და ტრადიციების ახლოს შეცნობის, ამასთანავე, ბუნების წიაღთან სიახლოვის აღნიშნული მიმართულება დიდი პოპულარობით სარგებლობს. დაგეგმვისას სწორი მიმართულების შერჩევის შემთხვევაში, საფეხმავლო ტურიზმი იძლევა ზამთრის კურორტების მიმდებარე დასახლებებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის შესაძლებლობას.

სათავგადასავლო ტურიზმი

მთიან რაიონებში სათავგადასავლო ტურისტული აქტივობები ხელმისაწვდომია როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის პერიოდში. მისი განხორციელებისთვის საჭიროა ამინდის შესაბამისი პირობები და საიტზე წვდომის შესაძლებლობა. ასეთი აქტივობებია: სამთო ველოსიპედი, ზიპლაინი, ცხენოსნობა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, ყინულზე ცოცვა, პარაპლანი და სხვა. ასევე, სათავგადასავლო ტურიზმი მოიცავს მტკნარ წყალზე დაფუძნებულ სპორტულ აქტივობებს, როგორიცაა: კანოე, ნაოსნობა, ჯომარდობა, კაიაკინგი, მტკნარ წყალში თევზაობა და სხვა.

სოფლის ტურიზმი

სოფლის ტურიზმი არის „ტურიზმის სახეობა, რომელიც ვიზიტორებს სათავაზობს იმ პროდუქტებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებაზე დაფუძნებულ ფართო სპექტრის აქტივობებთან, სოფლის მეურნეობასთან, სოფლად ცხოვრების წეს-ჩვეულებებთან და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერებასთან“. მთები მართლაც შესანიშნავია სოფლის ტურიზმისთვის, რადგან ხასიათდება

მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით, ასევე, თვალწარმტაცი პეიზაჟებით, სოფლის და სატყეო მეურნეობის დომინირებით და განსხვავებული ცხოვრების წესით. მასპინძელი თემებიდან და წლის სეზონიდან გამომდინარე, აქტივობები შესაძლოა შეიცავდეს სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, კულინარიას, სამკურნალო და ადგილობრივი მცენარეების შესწავლას, მოსავლის აღებას, ცხოველების მოვლას და რაც ასევე საინტერესოა – ტრადიციულ ცერემონიებში, ცეკვებსა თუ ფესტივალებში მონაწილეობას.

ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა

აღნიშნული წარმოადგენს სამთო ტურიზმის ძირითად ნაწილს და საინტერესო გამოცდილების მიღების საშუალებას. ინიციატივები, რომლებსაც ამ სექტორის წახალისება შეუძლია, მოიცავს სამთო კინოსა და ლიტერატურულ ფესტივალებს, გამოფენებს, რიტუალებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარკეტებს და სხვა.

სულიერი/რელიგიური ტურიზმი

აღნიშნული მიმართულება კულტურული ტურიზმის მზარდი სეგმენტია. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით „სულიერი/რელიგიური ტურიზმი ეფუძნება მრავალ მოტივაციას, დაწყებული ტრადიციული რელიგიური ტურიზმიდან, ალტერნატიული მედიცინის ფორმებამდე. აღნიშნული მიმდინარეობა გულისხმობს წმინდა ადგილების მონახულებას, ღვთისმსახურებისა და რელიგიური მიზნებისთვის მოგზაურობას, სულიერი მიზნებისთვის ბუნებრივ გარემოში გადაადგილებას, როგორიცაა ტყეები, ტბები, ბაღები, ბოტანიკური ბაღები, გამოქვაბულები და სხვა.

ველნეს/სამედიცინო ტურიზმი

აღნიშნული მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ განიმარტება, როგორც „ტურისტული საქმიანობის სახეობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ცხოვრების დაბალანსებას, მათ შორისაა ფიზიკური, გონებრივი, ემოციური, პროფესიული, ინტელექტუალური და სულიერი მდგომარეობა“. ველნეს ტურიზმის მთავარ მოტივაციას წარმოადგენს ცხოვრების წესის გაუმჯობესება, რაც უკავშირდება ფიტნესს, ჯანსაღ კვებას, რელაქსაციას და სხვა აქტივობებს. მთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელი ტემპერატურის, ტენიანობის, დღის შუქის ცვლილება დაკავშირებულია გარკვეულ ტურისტულ აქტივობებთან, როგორიცაა ლაშქრობა, ცოცვა, ექსპედიციები და სხვა. მაღალი მთები, მათი რელიეფისა და კლიმატის თავისებურებიდან გამომდინარე, უფრო შესაფერისია სამთო-სათხილამურო სპორტული აქტივობებისა და ალპინიზმისთვის (FAO and UNWTO, 2021).

კვლევის პერსპექტივები

ევროპის მთიანი რეგიონების ტურიზმის მიმართულებები ნელ-ნელა იკიდებს ფეხს საქართველოში. კავკასიონის მთიანი რეგიონები გამოირჩევა საფეხმავლო მარშრუტების ქსელის სიგრძით, რაოდენობითა და ლამაზი პეიზაჟების სიუხვით, რაც ტურიზმის ამ მიმართულების განვითარების წინაპირობაა. სწრაფად ვითარდება სამთო-სათხილამურო, ზამთრის ტურიზმის მიმართულებები, თუმცა აღნიშნული დიდ ფინანსურ ინვესტიციებს უკავშირდება და განვითარების სიჩქარით მოიკოჭლებს. ვიზიტორთა მცირე სეგმენტი იჩენს ინტერესს სოფლის, რელიგიური, კულტურული თუ სამედიცინო ტურიზმის მიმართ, თუმცა მათი წილი უმნიშვნელოა. ამის გამო, დიდი მნიშვნელობა გააჩნია სამთო ტურიზმის არაერთი მიმართულების კვლევას, ქვეყნის პოტენციალის გამოვლენას და გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლას.

დასკვნა

ევროპის ქვეყნებში მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ათვისების ორი ძირითადი მიმართულება ლიდერობს, მათ შორის ერთ-ერთს წარმოადგენს ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ლანდშაფტების კონსერვაცია, რაც გულისხმობს დაცული ტერიტორიების შექმნას და მეორე – ანთროპოგე-

ნური ჩარევის შედეგად სამთო-სათხილამურო კურორტების მშენებლობას, რაც აქტიური დასვენების მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ამასთან ერთად, მთიან რეგიონებში არსებული კულტურული მრავალფეროვნება, ადგილობრივი ტრადიციები, კულტურული მემკვიდრეობა და უნიკალური ლანდშაფტები წარმოადგენს ტურიზმის განსხვავებული მიმართულებების ჩამოყალიბების წინაპირობებს. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მიმართულებას განსხვავებული სპეციფიკურობა ახასიათებს და დიდ როლს თამაშობს როგორც ტურისტული ადგილების განვითარებში, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ADVANTAGE AUSTRIA. (2024). *Austrian tourism know-how & Infrastructure overview*. Retrieved June 22, 2024, from https://www.advantageaustria.org/ly/zentral/branchen/tourismus-knowhow_infrastruktur/overview/Ueberblick.en.html
2. COVE, J. (2022). *SKIING, SNOWBOARDING & SUSTAINABILITY*. Retrieved 26, June, from https://planetski.eu/2022/04/06/skiing-snowboarding-sustainability
3. *Facts and Figures on Tourism in Tirol – Tirolean Tourism – Tirolwerbung.at*. Tirol Werbung. Retrieved July 5, 2024, from https://www.tirolwerbung.at/en/tirolean-tourism/facts-and-figures-on-tourism-in-tirol
4. FAO and UNWTO. (2021). *Mountain tourism – Towards a more sustainable path*. World Tourism Organization (UNWTO).
5. STERN, B. (2018). *The Tyrolean cable car and ski area program*. Retrieved July 1, 2024, from https://powderguide.com/en/magazine/news/the-tyrolean-cable-car-and-ski-area-program
6. *Tourism in the Dolomites*. Dolomite Mountains. Retrieved July 5, 2024, from https://www.dolomitemountains.com/en/resources/dolomites-news/tourism-in-the-dolomites
7. UNESCO. (2009). *The Dolomites*. UNESCO World Heritage Centre. Retrieved July 5, 2024, from https://whc.unesco.org/en/list/1237
8. Windegger, F., Scuttari, F., Walder, M., & Erschbamer, G. (2022). *The Sustainable Tourism Observatory of South Tyrol (STOST).* Annual Progress Report, Bolzano, Eurac Research.

ისტორიული ლანდშაფტების შესწავლის მოკლე ისტორია და მისი დაგეგმარების შედეგები

(ქვემო ქართლის გერმანული დასახლებების მაგალითზე)

ლანა კარაპეტიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გეოგრაფიის მაგისტრი
საქართველო, თბილისი
lanakarapetiani17@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველო უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანაა, სადაც წარმოდგენილია ათეულობით ისტორიული ლანდშაფტი, მათი იდენტიფიკაცია და დაგეგმარება მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპების და მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

სტატიაში განხილულია, ისტორიული ლანდშაფტების შესწავლის მოკლე ისტორია და მათი დაგეგმარების შედეგები ქვემო ქართლის გერმანული დასახლებების მაგალითზე. კვლევის მიზანს, ასევე, წარმოადგენდა ასურეთის გერმანული დასახლების ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება და მისი გამოყენების პერსპექტივების განხილვა.

საკვანძო სიტყვები: *ისტორიული ლანდშაფტი, ქვემო ქართლი, გერმანული დასახლებები, ასურეთი, დაგეგმარება*

A BRIEF HISTORY OF THE STUDY OF HISTORICAL LANDSCAPES AND THE OUTCOMES OF THEIR PLANNING

(using the example of the German settlements in Kvemo Kartli)

Lana Karapetiani
Master of Geography,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia
lanakarapetiani17@gmail.com

Abstract

Georgia, a country with an ancient history, is home to tens of historical landscapes. These landscapes require careful identification and planning based on well-defined principles and methodology.

This article provides a brief overview of the history of the study of historical landscapes and the outcomes of their planning, using the example of the German settlements in Kvemo Kartli. The study also aimed to plan the historical landscape of the German settlement in Asureti and explore its potential for future use.

Key words: *historical landscape, Kvemo Kartli, German settlements, Asureti, planning*

შესავალი

ისტორიული ლანდშაფტების კვლევა, ბოლო საუკუნის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, ისტორიული ლანდშაფტი მოიაზრება კულტურული ლანდშაფტის ერთ-ერთ კატეგორიად 12-დან, რომელიც შეიძლება იყოს ქალაქის ნაწილი, სოფელი, ან მისი ნაწილი, ცალკეული არქიტექტურული ძეგლი, თავდაცვითი ნაგებობა ან სხვა. ამგვარად, ისტორიული ლანდშაფტი, თუ იგი წარმოადგენს ადამიანის და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის შედეგს

და მაღალი ეროვნული მნიშვნელობის ადგილს, კულტურული ლანდშაფტის შემადგენელ ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ (Elizbarashvili, და სხვ. 2023).

ისტორიული ლანდშაფტის საბოლოო განმარტება არ არსებობს. იგი ხშირად დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მის განმარტებაში უნდა ფიგურირებდეს რამდენიმე ადრესატი (Historical Landscape, 2013, World Heritage, 2007, Long-Term Development, 2021): დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული გარემო (სივრცე), ისტორია (დრო), პროცესი, მნიშვნელობა, იდენტობა (Elizbarashvili, et al. 2023).

ისტორიული ლანდშაფტების შენარჩუნება რთული და მრავალმხრივი პრობლემაა, რადგან ის ჩართულია მიწათსარგებლობის, ურბანული დაგეგმარების, სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის საკითხებში (Tishler 1982). მიუხედავად ამისა, გამოჩენილი ბრიტანელი ისტორიკოსი, ჰოსკინსი (1954) ამბობს: „თვითონ პეიზაჟი, მათთვის, ვინც იცის მისი სწორად წაკითხვა, არის ყველაზე მდიდარი ისტორიული ჩანაწერი, რომელიც ჩვენ გვაქვს.

მიუხედავად ისტორიული ლანდშაფტების სიმრავლისა, საქართველოში ოფიციალური სტატუსის მქონე ისტორიული ლანდშფტი არ გვაქვს.

ქვემო ქართლი, ისტორიული ლანდშაფტების სიმრავლით გამოირჩევა, რომელთაგან აღსანიშნავია გასულ საუკუნეებში დაარსებული გერმანული დასახლებები. მათი ისტორიული ლანდშაფტების ჭრილში განხილვა ძალზე აქტუალურია და ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში სიახლეს წარმოადენს. სტატიაში განხილულია ისტორიული ლანდშაფტების არსი და დაგეგმარების შედეგები ქვემო ქართლის ზოგიერთი გერმანული დასახლების მაგალითზე.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენეთ საველე და კამერალური კვლევის მეთოდები, ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია (ელიზბარაშვილი და სხვ. 2009, Elizbarashvili, act., 2024), გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის მეთოდები, აეროფოტოსურათების დეშიფრირების, სამეცნიერო ლიტერატურის, ისტორიული და კარტოგრაფიული წყაროების ანალიზის მეთოდი.

კვლევის შედეგები

ისტორიული ლანდშფტის შესწავლის მოკლე ისტორია

ისტორიული ლანდშაფტი წარმოადგენს კულტურული ლანდშაფტების სპეციფიკურ სახეს. ისინი თანამედროვე კულტურული ლანდშაფტის ნაწილია, სადაც ისტორიული სტრუქტურები არ არის ამოღებული ან დაჩრდილული მიწის გამოყენების თანამედროვე მეთოდებით და მასში წარსულის მრავალი რელიქვია დღემდე ცოცხლობს (Gunzelmann 1987; Antrop 2000; Moss and Okey 2004).

ინგლისში ისტორიული ლანდშაფტი წარმოიშვა, როგორც აკადემიური დისციპლინა W. G. Hoskins-ის მიერ 1955 წელს The Making of the English Landscape-ის გამოქვეყნების შემდეგ, თუმცა ზოგიერთი თემა, რომელიც ახლა ლანდშაფტის ისტორიის ნაწილად ითვლება, ადრე იყო გამოვლენილი. შოტლანდიელმა გილბერტ ლეინგ მეისონმა პირველად გამოიყენა ტერმინი ლანდშაფტის არქიტექტურა 1828 წელს. ჰოსკინსის შემდეგ ლანდშაფტის ისტორია სხვადასხვა მიმართულებით გაფართოვდა. გამოქვეყნებულია ინგლისის რამდენიმე ქვეყნის ლანდშაფტის ისტორიები. სხვა ავტორებმა შეისწავლეს ლანდშაფტი უფრო ადრეულ პერიოდებში. ერთ-ერთი პროდუქტიული გზა იყო ლანდშაფტის სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლა, როგორიცაა მინდვრები, სოფლები და ა.შ. (HOSKINS 1954).

ზოგიერთ სამეცნიერო წყაროებში აღწერილია: ლანდშაფტის ისტორია შეისწავლის, თუ როგორ შეცვალა კაცობრიობამ გარემოს ფიზიკური გარეგნობა როგორც აწმყოში, ისე წარსულში. მას ზოგჯერ ლანდშაფტის არქეოლოგიასაც უწოდებენ. იგი პირველად იქნა აღიარებული, როგორც ცალკე კვლევის სფერო მე-20 საუკუნეში. იგი იყენებს მტკიცებულებებს და მიდგომებს სხვა დისციპლინებიდან, მათ შორის არქეოლოგიიდან, არქიტექტურიდან, ეკოლოგიიდან, აერო ფოტოგრაფიი-

დან, ადგილობრივი ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან (HOSKINS 1954).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საჰაერო ფოტოგრაფიამ სრულიად ახალი მიდგომა მისცა ლანდშაფტის შესწავლას. ჩიტის თვალთახედვამ ნათლად გამოავლინა მისი ჰოლისტიკური ხასიათი. რთული ნიმუშები ხილული გახდა სივრცითი მასშტაბების იერარქიების ამსახველი მასალებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჩართული იყო მრავალი პროცესი. ამან აიძულა კარლ ტროლი (1939) ეთქვა, რომ "Luftbildforschung ist zu einem sehr hohen Grade"Landschapsökologie („ჰაერის ფოტოების ინტერპრეტაცია დიდწილად ლანდშაფტის ეკოლოგიაა“), რითაც შემოიღო „ლანდშაფტური ეკოლოგია“, რომელსაც მან, ასევე, “Anschauungsweis” („ხედვის გზა“) უწოდა. საჰაერო ფოტოგრაფიამ, ასევე, გახსნა ახალი ხედვა ჩვენს წარსულზე, რადგან აღმოჩენილი იქნა მრავალი უცნობი არქეოლოგიური და ისტორიული მახასიათებელი, რამაც სტიმული მისცა ისტორიულ გეოგრაფიას და დაიწყო ლანდშაფტის არქეოლოგია.

ლანდშაფტის ისტორიკოსების მიერ შესწავლილი თემები მოიცავს:

- ნამოსახლარების ფორმა (მორფოლოგია) – მაგალითად, გაფანტულია თუ ბირთვული;
- დასახლებების სტატუსი – მაგალითად ანგლო-საქსური მრავალრიცხოვანი მამულები;
- მიტოვებული შუა საუკუნეების სოფლები, რომლებიც ასახავს ადრინდელი სოფლის ფორმებს;
- საველე სისტემები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ლანდშაფტის მახასიათებლების დათარიღებისთვის. ადგილის სახელები, რომლებიც გამოიყენებოდა ლანდშაფტის მახასიათებლების საილუსტრაციოდ (HOSKINS 1954).

ინგლისური Heritage-ის მიერ ინიცირებული ისტორიული ლანდშაფტის დახასიათების პროგრამა, უზრუნველყოფს ლანდშაფტის ისტორიის შესახებ ინფორმაციის სტანდარტიზაციას. რამდენიმე უნივერსიტეტს აქვს ლანდშაფტის ისტორიის განყოფილება. აკადემიური ლანდშაფტის ისტორიკოსები, როგორც წესი, გვხვდება არქეოლოგიის, ისტორიის, ან უწყვეტი განათლების განყოფილებებში. მაგალითად, ნიკ ჰაიემს მანჩესტერში აქვს პროფესორის წოდება ადრეული შუა საუკუნეების და ლანდშაფტის ისტორიის სკოლაში. ლანდშაფტის ისტორიის კურსები, როგორც წესი, არის მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად, ისტორიული შენარჩუნების მცდელობები, ძირითადად, ლანდშაფტს განიხილავს, როგორც მნიშვნელოვანი შენობების დანამატს, ჩვენ მივხვდით, რომ ისტორიული ლანდშაფტი უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე უბრალო არქიტექტურულ გაფორმებას. გარდა შენობებისა, ისტორიული ლანდშაფტი მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ბუნებრივ და კულტურულ მახასიათებლებს, რომლებიც ქმნიან არსებით ქსოვილს მრავალი ისტორიული ადგილისთვის, უბნისთვის, თემისთვის და თუნდაც მთელი რეგიონისთვის (HISTORIC LANDSCAPE CHARACTERISATION 2003).

ლანდშაფტის ისტორიის შესასწავლად შეიძლება გამოვიყენოთ ორი მიდგომა:

1. საველე სამუშაოები მოიცავს ლანდშაფტის შემოწმებას, მიწის სამუშაოების და სხვა პოტენციური მახასიათებლების გამოსავლენად;
2. დოკუმენტური სამაგიდო კვლევა მოიცავს პირველად და მეორად წყაროებში ლანდშაფტის მახასიათებლებზე მითითებების მოძიებას. ყველაზე სასარგებლო დოკუმენტურ წყაროებს შორისაა რუკები. თანამედროვე აეროფოტოგრაფიები სასარგებლოა ფართომასშტაბიანი მახასიათებლების იდენტიფიცირებისთვის; ადრინდელმა აერო ფოტომასალამ შეიძლება აჩვენოს ლანდშაფტის ის თვისებები, რომლებიც ახლა დაკარგულია. მახასიათებლების წარმოშობა ხშირად შეიძლება დაკავშირებული იყოს შესასწავლი ტერიტორიის გეოლოგიასა და ეკოლოგიასთან – მაგალითად, წყაროების მნიშვნელობა და ნიადაგის ვარგისიანობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ფორმებისთვის (HOSKINS 1954).

ისტორიული ლანდშაფტების შენარჩუნება რთული და მრავალმხრივი პრობლემაა, რადგან ის ჩართულია მიწათსარგებლობის, ურბანული გავრცელების, სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის საკითხებში. მიუხედავად ამისა, გამოჩენილი ბრიტანელი ისტორიკოსი, W.H. ჰოსკინსი, ამბობს: „თვითონ პეიზაჟი, მათთვის, ვინც იცის მისი სწორად წაკითხვა, არის ყველაზე მდიდარი ისტორიული ჩანაწერი, რომელიც ჩვენ გვაქვს (HOSKINS 1954).

1. გერმანული დასახლებები ქვემო ქართლში

საქართველო, როგორც უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანა არც ისტორიული ლანდშაფტის სიმცირეს განიცდის, მაგრამ რეალობაა ის ფაქტი, რომ ისტორიული ლანდშაფტების უმეტესობა ან განადგურებულია ან კიდევ ძლიერ სახეშეცვლილია და საჭიროებს მოფრთხილებასა და რეკონსტრუქციას.

გერმანელთა განსახლების სქემა საქართველოში
რუსეთის ფედერაცია
ანადენბერგი
ლინდაუ
სოხუმი
შავი ზღვა
ქუთაისი
ფოთი
ბათუმი
ერაიდენტალი
ბლუმენფელდი
ალექსანდერპოლფი
ვალდაიმი
ელისაბეთ-ტალი
კატარინენ-ფელდი
ტრაუბენბერგი
ალექსანდერ-დორფი
თბილისი
ბეთანფელდი
მარტყოფი
ერეკლეტალი
გრუნტალი
ეკატერინენ-ფელდი
ეკატერინენ-ფელდი
ეკატერინენ-ფელდ

თბილისში გაჩნდა, შემდეგ ბოლნისში. გადმოსახლება რამდენიმე ტალღად იყო, შემდეგი დასახლება ჩნდება ასურეთში. გერმანელები გამრავლდნენ და რუსეთის იმპერატორს მიმართეს, მათთვის თავისუფალი მიწა გამოეყო. დმანისში ჩნდება შემდეგი დასახლება, რომელიც მთლიანად გერმანელების მიერ დაარსებული და განაშენიანებულია (გერმანული *კოლონიები საქართველოში,* n.d.)

რუსეთის იმპერიაში მე-18 საუკუნიდან ჩამოსახლებულ უცხოელებს „კოლონისტებს" უწოდებდნენ. რაც შეეხება სახელს – „კოლონია", როგორც ეს იმპერიული ხელისუფლების ოფიციალურ წყაროებშია ნახსენები – საქართველოსთან მიმართებაში ის პირველად საქართველოს მთავარმმართებელმა, გენერალმა ნიკოლაი რტიშჩევმა ახსენა 1814 წელს, როცა იმპერატორს გაუგზავნა საქართველოს გენერალური რუკა და მოახსენა, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და მეურნეობის განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნებოდა, თუ მოიწვევდნენ იმ უცხოელებს, რომლებიც სამშობლოში მიწის ნაკლებობას განიცდიან და საქართველოში დააარსებდნენ კოლონიებს.

გერმანელები თანამშრომლობდნენ, კეთილგანწყობილი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იზოლირებულად დარჩნენ. ქართულ-გერმანული ოჯახების აღრევის ბევრი ფაქტი არ ყოფილა. „თავიანთ დასახლებას გერმანელებმა დედოფალ მარია ფოდორეს ასულის პატივსაცემად, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე პირველის დედა და ვურთემბერგის მეფის, ფრიდრიხ პირველის და იყო – მარიენფელდი დაარქვეს. ეს იყო პირველი გერმანული დასახლება საქართველოში და ზოგადად, ამიერკავკასიაში, სადაც შვაბები დამკვიდრდნენ " (სონღულაშვილი 2009).

მათ მთავრობის ხარჯით აუშენეს ჩალით გადახურული 16 ქვის ფართო სახლი, თითოეული – ორი ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. ჩამოსულებისთვის პირველი სახნავ-სათესი სამუშაოები ადგილობრივმა გლეხებმა შეასრულეს, მთავრობის მიერ მიცემული სათესლე მასალით. გერმანელთა ჩამოსვლა გრძელდებოდა შემდეგ წლებშიც.

1842 წელს, აბასთუმანთან დაარსდა კოლონია ფროიდენტალი, რომელიც 1848 წელს მარიენფელდისა და პეტერსდორფის სიახლოვეს გადაიტანეს. 1850 წელს თბილისთან ახლოს, მდინარე ლოჭინის სიახლოვეს სტავროპოლიდან, კოლონია იოჰანესდორფიდან ჩამოსული 9 გერმანული ოჯახი დაასახლეს, თუმცა 1854 წელს, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გერმანელები კვლავ სტავროპოლში დაბრუნდნენ.

1817 წელს დაარსებული პირველი გერმანული დასახლების, მარიენფელდის გარდა, 1820 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ხუთი გერმანული კოლონია იყო: **ნოი-ტიფლისი, ალექსანდერსდორფი, კატარინენფელდი, ელიზაბეტთალი და პეტერსდორფი;** დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კი ორი – **ჰელენენდორფი და ანენფელდი.** ეს დასახლებები აღნიშნულია რუსეთისა და, აგრეთვე, სხვა ქვეყნების მიერ გამოცემულ მაშინდელ რუკებზე, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო ი. გრესლის 1856 წლის რუკაა, სადაც საქართველოს გერმანული კოლონიები ავთენტური დასახელებით და თან ყველაზე ზუსტი მდებარეობით არის მონიშნული. გერმანულ დასახლებებს ჯერ „საქართველოს გერმანულ კოლონიებს" უწოდებდნენ, 1848 წლიდან კი – „ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებს".

მეოცე საუკუნის დასაწყისში, რეპრესიული მთავრობის ბრძანებით, გერმანელები შუა აზიაში გაასახლეს. დემოკრატიული სახელმწიფოს დაბრუნების შემდეგ, 1990-იანი წლებიდან გაღვივდა გერმანელთა ინტერესი საქართველოში დაბრუნებისა.

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან, გერმანული კოლონიების მაცხოვრებლების რაოდენობის ზრდამ უკვე ახალი, ე. წ. შვილობილი კოლონიების შექმნას დაუდო სათავე. 1857 წელს დაარსდა კოლონია ალექსანდერსჰილფი, 1892 წელს – ბლუმენტალი. 1884 წელს აფხაზეთში სამი გერმანული კოლონია შეიქმნა – გნადენბერგი, ნოიდორფი და ლინდაუ. 1908 წელს დაარსა ტრაუბენბერგი, 1910 წელს – გეორგსტალი, 1911 წელს კი – ვალდჰაიმი. 1914 წელს შეიქმნა მარნეული, და 1914 წლამდე დაარსდა კოლონიები – გრიუნტალი, ტრაუბენტალი და ჰოფნუნგსტალი. ჯერჯერობით დაუდგენელია

კოლონია როზენტალის შექმნის თარიღი, რომელიც სოფელ მუხრანთან, კოლონია გეორგსტალთან ახლოს მდებარეობდა.

ის, რომ საქართველოში გერმანული დასახლებები არსებობდა, უმნიშვნელოვანესია! გერმანელებმა საქართველოში უზარმაზარი კულტურა შექმნეს! ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ქვემო ქართლში, სადაც მათი დასახლებები იყო თავმოყრილი. წარმოიდგინეთ, ასურეთში მეოცე საუკუნის ბოლომდე იყო შემორჩენილი გერმანელების მიერ გაყვანილი ტრამვაის ხაზი. მათ ბევრი რამ განავითარეს და ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი ყოფნა ჩვენს ქვეყანაში (სონღულაშვილი 2009).

სოფელი **თამარისი** იგივე ტრაუბენბერგი 1910 წლამდე დაარსებული გერმანული სოფელია, იგი ქალაქ მარნეულიდან 12 კილომეტრში გაშლილ ვაკეზეა წარმოდგენილი. გადმოცემით იგი ბოლნისში მაცხოვრებელმა გერმანელებმა დააარსეს, ისინი ბოლნისში ნაყოფიერი მიწის სიმცირეს განიცდიდნენ და ეს ხრამის ნაპირას მდებარე გაშილი ვაკე მათთვის იდეალური აღმოჩნდა ვენახის გასაშენებლად. სოფლის სახელი - ტრაუბენბერგი გერმანულად ითარგმნება, როგორც ყურძნის გროვა. პირველი სახლი 1913 წელს აშენდა, რომელიც დღემდე არსებობს და ის ერთადერთი სახლია, რომლის გერმანული იერსახე არ არის შეცვლილი. დღეს თამარისში გერმანული სახლები აღარ არსებობს, თითქმის ყველა დანგრეულია ან გადაკეთებული, შემორჩენილია მხოლოდ გერმანული ტიპის ძალიან ღრმა მარნები, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ სოფელში ღვინო მზადდებოდა და მევენახეობა იყო განვითარებული. სოფელში შემორჩენილია გერმანული სასაფლაო.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ კი 1942 წელს გერმანელები ერთ ღამეში აჰყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს. ცარიელ სახლებში სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული ხალხი შესახლდა. წლების გავლის შემდგომ სოფელი გაიზარდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა სოფლის განაშენიანებაზე. დღეს მხოლოდ ძველი, გერმანელი ხალხის შექმნილი დასახლებაა იდეალურად დაგეგმარებული, დანარჩენი სოფლის ტერიტორია სხვა ქართული სოფლების არქიტექტურას დაემსგავსა და ის იდეალურობა დარღვეულია, რაც გერმანელებს ჰქონდათ. ვიცით, რომ ისტორია ღრმა კვალს ტოვებს ლანდშაფტის იერსახეზე, მაგრამ ყველა ისტორიულ ლანდშაფტს მოფრთხილება და დაცვა სჭირდება.

გერმანელთა კოლონიები დღემდე შემოგვრჩა და ყველა მათგანი შეუცვლელი ღირებულების მემკვიდრეობას წარმოადგენს მულტიკულტურული და მრავალეთნიკური საქართველოსთვის.

ასურეთის ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება

ასურეთის ისტორიული ლანდშაფტის კვლევა ეფუძნება კვლევის გეოგრაფიული მეთოდების გამოყენებას. ეს მიდგომა გულისხმობს ლანდშაფტურ ანალიზსა და სინთეზს, არეალის გამოვლენასა და შეფასებას. ლანდშაფტური დაგეგმარების პრინციპებზე დაყრდნობით განხორციელდა ასურეთის ფუნქციური ზონირება.

ასურეთი მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში ზღვის დონიდან 780-800 მ-ზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. ასურეთი უძველესი დასახლებაა, თუმცა მისი საინტერესო არქიტექტურა, რომელიც ყურადღებას იქცევს 1818-1820 წლებშია შექმნილი გერმანელების მიერ.

ასურეთი ერთადერთი სოფელია, სადაც ყველაზე კარგად არის შემონახული მე-19 საუკუნის, გერმანელების მიერ შექმნილი არქიტექტურული ლანდშაფტი, რომელსაც ქმნის ერთი ვრცელი 1,30 კმ-ის სიგრძის „შვაბების ქუჩა“, სადაც მდებარეობს ლუთერანული სამლოცველო, გერმანული ღვინის სახლი, ამბულატორია, სკოლა და გერმანული სასაფლაო.

სოფელ ასურეთს, ელიზაბეტტალი გერმანელების ჩამოსახლების შემდეგ დაერქვა, ბოლო აღწერის მონაცემებით, სოფელში დაახლოებით 1000-მდე მოსახლეა. იქ არსებული დღევანდელი მოსახლეობა, ძირითადად, ონიდან და ამბროლაურიდან არიან ჩამოსახლებული 1941 წელს, გერმანელების შუა აზიაში გადასახლების შემდგომ.

1886 წლის თბილისის გუბერნიის რუკის კარტოგრაფიული (ავტორი ე. კონტრადენკო)

ანალიზით დგინდება, რომ ამ პერიოდში ნამდვილად, ელიზაბეტტალად მოიხსენიებოდა, ხოლო გერმანელების გადასახლების შემდგომ თავის პირვანდელ სახელს ასურეთს დაუბრუნდა.



ნახ. 2. თბილისის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა (კონტრადენკო, 1902)

ისტორიულ ლანდშაფტებს, უმეტესწილად, ერთგვაროვან გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი ისტორიული დასახლებული პუნქტები წარმოადგენენ. იგი შეიძლება იყოს ქალაქი, ქალაქის ნაწილი, სოფელი ან მისი ნაწილი, ცალკეული არქიტექტურული ძეგლი, თავდაცვითი ნაგებობები და სხვ. კვლევის არეალი ისტორიული სოფლის ავთენტურ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც შენარჩუნებულია უძველესი არქიტექტურა და ისტორია. ისტორიულ ლანდშაფტს ქმნის როგორც ცალკეული შენობები, ისე სამეურნეო და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა.

ასურეთის ისტორიული ლანდშაფტის ფუქციური ზონირება განვახორციელეთ სამი ძირითადი პრინციპის რეალიზაციის მიზნით. ესენია: შენარჩუნება, გაუმჯობესება და განვითარება. ამგვარი მიდგომა ითვალისწინებს კვლევის ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდებს. ისტორიული ლანდშატის შემთხვევაში, ფუნქციური ზონირებისას სასურველია გათვალისწინებულ იქნას მათი ასაკი, მნიშვნელობა (ფასეულობა), კომპაქტურობა, ერთგვაროვნება, ტრანსფორმაციის ხარისხი, ბუნებრივი ელემენტების მდგომარეობა და სხვ.

1. შენარჩუნება უნდა განისაზღვროს ხანგრძლივი ისტორიის (რამდენიმე საუკუნე), მაღალი ეროვნული მნიშვნელობის, ძალიან კომპაქტური, ერთგვაროვანი ისტორიული ძეგლების და დაბალი ტრანსფორმაციის ისტორიული ლანდშაფტისთვის;
2. გაუმჯობესება უნდა განისაზღვროს საშუალო ხანგრძლივობის ისტორიის (1-2 საუკუნე), საშუალო დონის ეროვნული მნიშვნელობის, საშუალო დონის კომპაქტური ისტორიული ძეგლების და საშუალო ტრანსფორმაციის ისტორიული ლანდშაფტისთვის;
3. განვითარება უნდა განისაზღვროს დაბალი ხანგრძლივობის ისტორიის (ერთ საუკუნეზე ნაკლები), მაღალი ტრანსფორმაციის და ბუნებრივი გარემოს არსებითი ხვედრითი წილის მქონე ისტორიული ლანდშაფტისთვის (N. Elizbarashvili, mcxeTis istoriuli landSaftis dagegmareba 2015).

ასურეთის ისტორიულ ლანდშაფტში გამოიყოფა სამი ზონა:

1. შენარჩუნების ზონა, რომლის ფარგლებშია წარმოდგენილი ასურეთის მე-19 საუკუნის ისტორიული ლანდშაფტი;
2. გაუმჯობესების ზონა, რომელიც მოიცავს უფრო ვრცელ მეორე ტერიტორიას, სადაც ფრაგმენტულადაა შემონახული გერმანული განსახლება;
3. განვითარების ზონა, რომელიც მოიცავს ბუფერულ ტერიტორიას და წარმოადგენს ტურისტული ობიექტების შესაძლო განვითარების არეალს.

ნახ. 3. ასურეთის ისტორიული ლანდშაფტის შენარჩუნების ზონა

ნახ. 4. ასურეთის ისტორიული ლანდშაფტის გაუმჯობესების ზონა

ნახ. 5. ასურეთის ისტორიული ლანდშაფტის განვითარების ზონა

ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის აქ არსებული ისტორიული ლანდშაფტი წარმოადგენს ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს. მოსახლეობას დაწყებული აქვს სხვადასხვა მომსახურების ობიექტების გახსნა და ტურისტებისათვის შეთავაზება, მაგრამ ეს მხოლოდ ძალიან მცირედია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება ამ სოფელში განვითარდეს. აუცილებელია დაიგეგმოს მდგრადი ტურიზმის განვითარება. არ უნდა შეექმნას საფრთხე აქ არსებულ ისტორიულ არქიტექტურას და, ასევე, შენარჩუნებული უნდა იყოს მისი ავთენტური იერსახე, რათა არ დაიკარგოს ტურისტებისათვის მიმზიდველი გარემო. ამგვარი ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის შემოსავლის გაზრდას, ასევე ისტორიული ლანდშაფტის ავთენტური იერსახის შენარჩუნებას.

დასკვნები

ისტორიულ ლანდშაფტს უდიდესი ეროვნული ღირებულება აქვს, ისტორიული ლანდშაფტების დოკუმენტირება და შენარჩუნება წარმოადგენს მეცნიერებისთვის შედარებით ახალ და ხშირად გაუგებარ ნაწილს, ამიტომ ბევრი ისტორიული პეიზაჟი იკარგება, სანამ მათი მნიშვნელობის გაცნობიერება მოხდება. ამგვარად, მნიშვნელოვანია მათი გამოვლენა, შენარჩუნება და დაცვა.

შეგვიძლია თამამად ვაღიაროთ, რომ საქართველო გამოირჩევა ისტორიული ლანდშაფტის სიმრავლით, განსაკუთრებით ქვემო ქართლი. ქვემო ქართლი მდიდარია სხვადასხვა პერიოდის, ძალიან საინტერესო კულტურული ძეგლებითა და ულამაზესი, მრავალფეროვანი ბუნებით, ტყეებით, ტბებით, მინერალური და თერმული წყლებითა და კურორტებით. ქართველებთან ერთად უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ხოლო მე-19 საუკუნის 20-იან წლებში კი ცარისტულმა რუსეთმა აქ გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლა და გერმანული კოლონიები გაჩნდა. გერმანელი ხალხის კულტურამ, ტრადიციებმა და ცხოვრების სტილმა თავისი კვალი დაამჩნია ქვემო ქართლის ისტორიას.

ასურეთის ისტორიული ლანდშაფტი წარმოადგენს ტურისტებისათვის ძალიან საინტერესო ზონას, სადაც შესაძლებელია მდგრადი ტურიზმის განვითარება, ტერმინი მდგრადობა უკავშირდება იმგვარ მოვლენასა თუ პროცესს, როცა ცვლილებების შედეგად არ იცვლება საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონე, არ იკარგება წინააღმდეგობის უნარი, არ ირღვევა საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების საიმედოობა. მასში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხება ბუნებრივი თუ საზოგა-

დოებრივი მოვლენებისა და პროცესების იმგვარი შეთანაწყობა, რომელიც სივრცესა და დროში არ არღვევს არსებულ თანასწორობას (ელიზბარაშვილი, და სხვ. 2018). ისტორიული ლანდშფტის დაგეგმარება შესაძლებელია განხორციელდეს ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიის საფუძველზე, მისი საშუალებით შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე ზონა (შენარჩუნების, გაუმჯობესების და განვითარების), რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იქნება ისტორიული ლანდშაფტის ასაკი, მნიშვნელობა (ფასეულობა), კომპაქტურობა, ერთგვაროვნება, ტრანსფორმაციის ხარისხი, ბუნებრივი ელემენტების მდგომარეობა და სხვა (N. Elizbarashvili, mcxeTis istoriuli landSaftis dagegmareba 2015).

ასურეთის გერმანული ლანდშაფტის დაგეგმარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის და ქვეყნისთვის შემოსავლის გაზრდას იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ისტორიული ლანდშაფტის სტრუქტურას.

კვლევის პერსპექტივები

ასურეთი წარმოადგენს ერთადერთ დასახლებას, სადაც ყველაზე მასშტაბურად არის შემორჩენილი ერთიანი ავთენტური იერსახე გერმანული კულტურის. ასურეთის ფუნქციური ზონირება ხელს შეუწყობს მისი ავთენტური იერსახის შენარჩუნებას და სამომავლო, მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვას. ქვემო ქართლის განხილული მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორიული ლანდშატების კვლევა და შენარჩუნება არსებით და კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს.

აღნიშნული კვლევები გამოადგება საქართველოს სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს, რათა მომზადდეს ქვემო ქართლის გერმანული დასახლებების ისტორიული ლანდშაფტი იუნესკოს კულტურული ლანდშაფტის ნომინაციაზე წარსადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ელიზბარაშვილი, ჰ მეესენი, ა ხოეციანი, გ მელაძე, თ კოლერი. 2018. *მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა. 9-12.* თბილისი.
2. ა. სონღულაშვილი. 2009. *საქართველოში მცხოვრები გერმანელების სამეურნეო ყოფა და ტრადიციები.* https://dzeglebi.ge/
3. კონტრადენკო. 1902. *ეთნოგრაფიული რუკა თბილისის გუბერნიის.* თბილისი.
4. მ. ფორჩხიძე. 2017. *„ლანდშაფტური ისტორია“, როგორც სასწავლო რესურსი.* 1 March. https://mastsavlebeli.ge/.
5. Elizbarashvili, Gogoladze, Sandodze, Grigolia, და Qobalia. 2023. “Cultural Landscapes: Essence and application perspectives in Georgia.” *SPRINGER NATURE* pp.95-110.
6. Nodar Elizbarashvili, G Meladze, (2014). Principles, methods and results of planning the historical landscape of the city of Mtsheta (The old capital of Georgia). In: Cities in the globalizing world and Turkey: A theoretical and empirical perspective. St.Kliment Ohridski university press. – Sofia, pp. 496-511.
7. Nodar Elizbarashvili, Luiza Bubashvili, Miranda Gurgenidze, Karthlos Manvelidze, Rusudan Elizbarashvili, Shalva Abramishvili (2024). Heritage Landscape and Historical Context – Essence and Principles of Planning in Georgia. Global journal of Botanical Science, vol.12, p.1-6. https://www.savvysciencepublisher.com/index.php/gjbs/article/view/1034/1109,
8. ნ. ელიზბარაშვილი (დ. ნიკოლაიშვილი, ლ. მაჭავარიანი, და სხვ. თანაავტორობით). ლანდშაფტური დაგეგმარება: მეთოდოლოგია და გამოცდილება. თბილისი–ბონი– ირკუტსკი. – თბ., თჯს გამოცემა, 2009, – 200. გვ.
9. ნ. ელიზბარაშვილი. 2015. „მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაგეგმარება“ (მონოგრაფია)-ში. თბ., „უნივერსალი“
10. Fairclough, და Oscar Aldred & Graham;. 2003. *HISTORIC LANDSCAPE CHARACTERISATION.* EH & SCC.
11. Giorgi, Balakhadze. 2016. https://ka.wikipedia.org
12. HOSKINS, W. G. 1954. “The Agricultural History Review”. The British Agricultural History Society. https://web.archive.org/
13. P.J.Fowler. 2023. *World Heritage Cultural Landscapes.*
14. Tishler, William H. 1982. “Historical landscapes: An international preservation perspective”. 91–103.

გამომცემლობის რედაქტორი	**მაია ეჯიბია**
დამკაბადონებელი	**ლალი კურდღელაშვილი**
გარეკანის დიზაინერი	**მარიამ ებრალიძე**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house